



საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
1922 წლიდან

ლევან მაისურაძე

ასიმეტრიული ომის პირობებში საქართველოს ტიპის სახელმწიფოების თავდაცვითი ძალების მოქმედებები და ეფექტები

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სადოქტორო პროგრამა: სამხედრო ინჟინერია

შიფრი 1114

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი თბილისი, 0160, საქართველო

2022წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამშენებლო ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ლევან მაისურაძის** მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ასიმეტრიული ომის პირობებში საქართველოს ტიპის სახელმწიფოების თავდაცვითი ძალების მოქმედებები და ეფექტები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

-----, ----- 2022 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი **ელგუჯა მეძმარიაშვილი**

რეცენზენტი: _____

რეცენზენტი: _____

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2022წ

ავტორი: ლევან მაისურაძე

დასახელება: ასიმეტრიული ომის პირობებში საქართველოს ტიპის
სახელმწიფოების თავდაცვითი ძალების მოქმედებები და ეფექტები

სადოქტორო პროგრამა: სამხედრო ინჟინერია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი

სხდომა ჩატარდა: -----

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა _____

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცულ მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

დისერტაციაში სამხედრო მეცნიერებისა და ხელოვნების მიდგომების გათვალისწინებით წარმოდგენილია ასიმეტრიული ომის ასპექტები. განხილულია და ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესებულია სხვადასხვა საბრძოლო ვითარებაზე მორგებული მათემატიკური მოდელები. დადგენილია ასიმეტრიული ომისთვის ტერიტორიის სამხედრო-საინჟინრო მოწყობისთვის საჭირო ღონისძიებების თანამიმდევრობა და თავდაცვის ძალების სტრუქტურა, რომელმაც პატარა და შედარებით ნაკლები შეიარაღების მქონე ქვეყნის პირპობებში უნდა უპასუხოს ასიმეტრიულ გამოწვევებს.

პირველ თავში – „ასიმეტრიული ომის ზოგადი მიმოხილვა“ – გაანალიზებულია თემასთან დაკავშირებული არაერთი ლიტერატურა და მათზე დაყრდნობით აღწერილია ასიმეტრიული ომის არსი თანამედროვე სამხედრო ხელოვნების ჭრილში, განსაზღვრულია ამ ტიპის ომის წარმოების ბუნება და წარმოდგენილია ტრადიციული ომისაგან მისი ძირითადი განმასხვავებელი ასპექტები. ასევე განხილულია ომის თაობები და პარტიზანული მოძრაობის შესაძლებლობები ასიმეტრიული ომის საწარმოებლად.

ნაშრომის მეორე თავში – „ასიმეტრიული ომის საფუძვლები“ – ყურადღება გამახვილებულია სამხედრო სტრატეგიის ფორმებსა და ასიმეტრიულ ომში მათი გამოყენების ოპტიმალურ მოდელზე. განხილულია წინააღმდეგობის მოძრაობის სტრატეგია და განსაზღვრულია ასიმეტრიულ ბრძოლებში საბრძოლო ფუნქციების გამოყენების თავისებურებები. გაანალიზებულია ახალი ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა და გავლენა ასიმეტრიული ომის მიმდინარეობაზე. დადგენილია ამ ტიპის ომის წარმოებისთვის ხელსაყრელი პირობები.

ნაშრომის მესამე თავში – „ასიმეტრიული ომისთვის მათემატიკური მოდელები“ – წარმოდგენილია ლანჩესტერის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, რომლის საფუძველზე შემუშავებულია მათემატიკური მოდელები ასიმეტრიული ბრძოლისთვის. მათი გამოყენებით შესაძლებელია სამხედრო ოპერაციების მოდელირება და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანა. დადგენილია მათემატიკური მოდელებით მიზნებზე ცეცხლის თანამიმდევრული მასირების ეფექტურობა. შემუშავებულია განტოლებათა სისტემები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება მოწინააღმდეგის გასანადგურებლად დანაწევრების საჭირო რაოდენობის განსაზღვრა და მოულოდნელობის ეფექტის დროის განზომილებაში გამოყენება.

ნაშრომის მეოთხე თავში – „თავდაცვის ძალების გამოყენება ასიმეტრიულ ომში“ – განსაზღვრულია ხელოვნული გარემოს შექმნის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მოდელი. შესწავლილია საომარი კამპანიის წარმოების ფაზები და დადგენილია ასიმეტრიულ ომზე მორგებული ფაზები. წარმოდგენილია ბრძოლაში ხელსაყრელი პოზიციის მნიშვნელობა და ოპერაციების განვითარების დინამიკა ასიმეტრიული

ომისთვის. შემოთავაზებულია ასიმეტრიული ომისთვის თავდაცვის ძალების ორგანიზაციული მოდელები.

ჩატარებული კვლევებისა და დასკვნების საფუძველზე ნაშრომში შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ასიმეტრიულ ომში საქართველოს ტიპის სახელმწიფოების თავდაცვის ძალების გამოყენების ეფექტურობის გაზრდის. კერძოდ, სამხედრო სტრატეგიებიდან შეთავაზებული გამოფიტვის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს გენერალური ბრძოლებისთვის თავის არიდებას, მცირე ზომის ქვედანაყოფებით მოწინააღმდეგეზე მუდმივ ზეწოლას და, შესაბამისად, პარტიზანული ბრძოლების წარმოებას. შეთავაზებულია ასიმეტრიულ ომზე მორგებული თავდაცვის სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ომის საწყის ეტაპზე მოწინააღმდეგის შეყოვნებას და სასურველი საბოლოო შედეგის მიღწევამდე განაგრძობს პარტიზანული მეთოდებით ბრძოლას. მათემატიკური მოდელების გამოყენებით დადგენილია მოწინააღმდეგის დამარცხების შესაძლებლობა მოულოდნელობისა და ძალთა დანაწევრების პრინციპების გამოყენებით და განსაზღვრულია ასიმეტრიულ ომში ტერიტორიის სამხედრო-საინჟინრო მოწყობისთვის ღონისძიებების თანამიმდევრობა.

Abstract

The dissertation presents aspects of asymmetric warfare, taking into account the approaches of military science and art. Mathematical models adapted to different combat situations are reviewed and improved based on the analysis. The sequence of measures required for the military-engineering arrangement of the territory for asymmetric warfare is established and the structure of the defense forces, which must respond to the asymmetric challenges in the small and relatively less armed countries.

The first chapter - "General Overview of Asymmetric Warfare" - analyzes a number of related literature and describes the essence of asymmetric warfare in the context of modern martial arts, defines the nature of this type of warfare and presents its main distinguishing aspects from traditional warfare. Generations of war and the capabilities of the guerrilla movement to wage asymmetric warfare are also discussed.

The second chapter of the paper - "Fundamentals of Asymmetric Warfare" - focuses on the forms of military strategy and the optimal model of their use in asymmetric warfare. The strategy of the resistance movement is discussed and the peculiarities of the use of combat functions in asymmetric battles are defined. The importance and impact of the use of new technologies on the course of asymmetric warfare are analyzed. Favorable conditions for the production of this type of war have been established.

The third chapter of the paper - "Mathematical models for asymmetric warfare" - presents the system of differential equations of Lancaster, on the basis of which mathematical models for asymmetric warfare are developed. Using them, it is possible to model military operations and draw important conclusions. The efficiency of sequential mass firing of targets by mathematical models has been established. Systems of equations have been developed that can be used to determine the number of divisions needed to destroy an opponent and to use the surprise effect in a time dimension.

The fourth chapter of the paper - "The use of defense forces in asymmetric warfare" - defines the model of military-engineering support for creating an artificial environment. The production phases of the war campaign are studied and the phases tailored to asymmetric warfare are identified. The importance of a favorable position in battle and the dynamics of the development of operations for asymmetric warfare are presented. Organizational models of defense forces for asymmetric warfare are proposed.

Based on the conducted studies and conclusions, the paper develops recommendations that will help increase the effectiveness of the use of the defense forces of Georgian-type states in asymmetric warfare. In particular, the exhaustive strategy offered by military strategies, which involves avoiding general battles, putting constant pressure on the enemy with small units, and, consequently, conducting guerrilla warfare. An asymmetric warfare defense structure is proposed, which ensures that the opponent is delayed in the initial stage of the war and

continues to fight by guerrilla methods until the desired final result is achieved. Mathematical models determine the possibility of defeating the enemy using the principles of surprise and separation of forces, and determine the sequence of measures for the military-engineering arrangement of the territory in an asymmetric war.

შინაარსი

შესავალი	12
ლიტერატურის მიმოხილვა	15
თავი I. ასიმეტრიული ომის ზოგადი მიმოხილვა	15
1.1. ასიმეტრიული ომის არსი	15
1.2. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება	19
1.3. ასიმეტრიის ომის ბუნება	28
1.4. ტრადიციული და ასიმეტრიული ომის თაობები	32
1.5. პარტიზანული მოძრაობის შესაძლებლობები ასიმეტრიულ ომში	39
კვლევის შედეგები და მათი შეჯამება	42
თავი II. ასიმეტრიული ომის საფუძვლები	42
2.1. სამხედრო სტრატეგიის ფორმირება	42
2.2. ასიმეტრიული ომის სტრატეგიის ოპტიმალური მოდელი	46
2.3. წინააღმდეგობის მოძრაობის სტრატეგია	52
2.4. საბრძოლო ფუნქციების გამოყენება ასიმეტრიულ ომში	54
2.5. ასიმეტრიულ ომში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება	68
2.6. ასიმეტრიული ომის წარმოების პირობები	72
თავი III. ასიმეტრიული ომისთვის მათემატიკური მოდელები	75
3.1. ლანჩესტერის განტოლებათა სისტემა	75
3.2. საცეცხლე ზემოქმედების ეფექტი ასიმეტრიულ ბრძოლაში	79
3.3. რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგის დამარცხება დანაწევრებით....	83
3.4. მოულოდნელობის ეფექტი ასიმეტრიულ ბრძოლაში	87
3.5. სამიზნეზე ინფორმაცია	91
თავი IV. ასიმეტრიულ ომში თავდაცვის ძალების გამოყენება	95
4.1. სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა ასიმეტრიულ ომში	95
4.2. საომარი კამპანიის ფაზირება	104
4.3. პოზიციის მნიშვნელობა და ოპერაციების განვითარების დინამიკა ასიმეტრიულ ბრძოლებში	113
4.4. ძალთა ორგანიზება ასიმეტრიული ომისთვის	123
4.5. თავდავის ძალებით ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებების წარმოება	132

დასკვნა	145
ბიბლიოგრაფია	148

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური, ეკონომიკური, ინფორმაციული, ინფრასტრუქტურული, ფიზიკური გარემოს და დროს (PMESII-PT) – ცვლადების აღწერა.....	23
ცხრილი 2. მოწყვლადობის მიხედვით საბრძოლო ფუნქციების დავალებები.....	57

ნახაზების ნუსხა

ნახ. 1. ომში ძალისხმევის ფოკუსირება	16
ნახ. 2. ომის დონეები	20
ნახ. 3. განსხვავებული საბრძოლო კულტურები	31
ნახ. 4. სახელმწიფოს სიძლიერის ინსტრუმენტების სინქრონიზებული გამოყენება	42
ნახ. 5. სტრატეგიის პირამიდა	44
ნახ. 6. სტრატეგიის შემუშავების მეთოდი საშუალების, ხერხისა და მიზნის გამოყენებით	46
ნახ. 7. გამოფიტვისა და განადგურების სტრატეგიები	47
ნახ. 8. საბრძოლო ძალის ელემენტები	54
ნახ. 9. R და B ძალის დნაკარგი	88
ნახ. 10. გადარჩენილი ძალების რაოდენობა დროში	89
ნახ. 11. ხელოვნური გარემოს შექმნის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მოდელი ასიმეტრიული ომისთვის	97
ნახ. 12. სამოქალაქო საინჟინრო საშუალებების გამოყენებით სამხედრო- საინჟინრო უზრუნველყოფის ეფექტურობის გაზრდა	102
ნახ. 13. საომარი კამპანიის ფაზების მოდელი	106
ნახ. 14. ოპერაციის დიაგრამა	118
ნახ. 15. წინააღმდეგობის მოძრაობის სტრუქტურა	128
ნახ. 16. ასიმეტრიული ომზე მორგებული თავდაცვის ძალების სტრუქტურა	130
ნახ. 17. პარტიზანტთა ბატალიონის სტრუქტურა	130
ნახ. 18. ჩასაფრების ორგანიზება	137

შესავალი

უკვე ათწლეულებია მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის ძალების აღმშენებლობის პროცესი, რომელიც მოითხოვს თანამედროვე გამოწვევებზე საპასუხოდ ქვეყნის სამხედრო პოტენციალის მეცნიერულ ანალიზსა და მის შესაბამის განვითარებას. იმ პირობებში, როდესაც კვლავ მაღალია რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების საფრთხე, საყურადღებოა ქვეყნის თავდაცვის ძალების ოპტიმალური მოქმედებების განსაზღვრა. ვინაიდან ომის შემთხვევაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის იარსებებს მნიშვნელოვანი დისბალანსი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობაში, ომი ასიმეტრიულ ხასიათს მიიღებს. წარსულში წარმოებული ასიმეტრიული ომებისა და 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების ანალიზმა წარმოაჩინა, რა როლი აქვს შეიარაღებითა და ტექნიკით აღმატებული მოწინააღმდეგის თავდასხმების მოგერიების დროს წარმატებების მისაღწევად პარტიზანული ბრძოლის მეთოდების გამოყენებას.

აღნიშნული ნაშრომი აქტუალურია იმით, რომ მასში გაანალიზებულია ასიმეტრიულ ომში საქართველოს ტიპის სახელმწიფოებისთვის თავდაცვითი ძალების მოქმედებების ოპტიმალური მოდელები და მათი გამოყენების ეფექტები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მნიშვნელოვნად ამაღლებას.

ნაშრომში განხილულია ასიმეტრიული ომის ძირითადი მახასიათებლები და მისი პერსპექტივა ისეთი თანამედროვე ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დროს, როდესაც მოწინააღმდეგეთა სამხედრო ძალებს შორის არსებობს დისბალანსი, ე.ი. ერთ-ერთ მებრძოლ ძალას საგრძნობი უპირატესობა აქვს. პარტიზანული ომის, როგორც ასიმეტრიული ომის ერთ-ერთი სახეობის, მაგალითზე ყურადღება გამახვილებულია კონვენციური და არარეგულარული ძალების მოქმედებების კოორდინაციის მნიშვნელობაზე, მოსახლეობის მხარდაჭერის

განსაკუთრებულ როლსა და პარტიზანთა შეტევითი ბრძოლის ეფექტიანობაზე. განხილულია კონკრეტული რეკომენდაციები ასიმეტრიული ომის მთლიანი ციკლის თანამიმდევრული ფაზების (თავდაცვის, წონასწორობის, თავდასხმის) მიხედვით.

ასიმეტრიული ომის მახასიათებლების ანალიზი გვაჩვენებს, რომ სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შეკავება შესაძლებელია საქართველოს თავდაცვის ძალების ასიმეტრიული ბრძოლის წარმოების შესაძლებლობების გაზრდითა და მოსახლეობის მიერ პარტიზანული მოქმედებების წარმოებით.

ნაშრომში განხილულია ბრძოლის მათემატიკური მოდელები, მათი გამოყენებით საბრძოლო გათამაშებების ჩატარებისა და მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობა. მათემატიკური მოდელებიდან ყურადღება გამახვილებულია ულიამ ლანჩესტერის მიერ შემუშავებულ დიფერენციალურ განტოლებებზე, რომლებიც დღემდე გამოიყენება სამხედრო თეორეტიკოსების მიერ. ასევე განხილულია ასიმეტრიული ვითარება, რომელიც გვხვდება ბრძოლის ველზე ვიწრო გასასვლელებში, სადაც შეუძლებელია მთელი საცეცხლე ძალის კონცენტრირება. ლანჩესტერის განტოლების გამოყენება საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ პარიტეტის მისაღწევად საჭიროა სამიზნეების გასანადგურებლად ცეცხლის თანამიმდევრობით მასირება.

დანაწევრებით ძალთა განადგურების მიზნით, ნაშრომში ასევე შემოთავაზებულია მათემატიკური მოდელი, რომლის საშუალებითაც თითოეული ბრძოლისათვის შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორ უნდა დაიყოს მოწინააღმდეგის ძალები ოპტიმალურ რაოდენობად. კვლევის საფუძველზე დადგენილია დროის ფაქტორის გავლენა მოულოდნელობის ეფექტზე და შემუშავებულია მათემატიკური მოდელი, რომლითაც შესაძლებელია მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ეფექტური პერიოდის განსაზღვრა.

ადგილმდებარეობის სამხედრო ასპექტების სწორი შეფასება და ხელოვნური გარემოს სამხედრო-საინჟინრო მოდელის შექმნა მნიშვნელოვნად ზრდის ასიმეტრიულ ომში თავდაცვის ძალების წარმატებით გამოყენების შესაძლებლობას. შესაბამისად, სახელმწიფოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების საომარი კამპანიისთვის მომზადებას განაპირობებს საინჟინრო უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას იძლევა ასიმეტრიული (პარტიზანული) საბრძოლო მოქმედებების სასარგებლოდ შეიცვალოს გარემო პირობები.

საქართველოს ტიპის სახელმწიფოს უნდა შეეძლოს ასიმეტრიული საომარი მოქმედებების წარმოება. შესაბამისად, თავდაცვის ძალების ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ნაშრომშია წარმოგენილი, უზრუნველყოფს როგორც ასიმეტრიული, ასევე პარტიზანული საბრძოლო მოქმედებების წარმოებას ხელთ არსებული რესურსების, უსაფრთხოების გარემოსა და მოსახლეობის ფართო მასების გამოყენების შესაძლებლობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩართულმა ძალებმა სინქრონულად შეძლონ ფუნქციონირება, ხოლო ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო ასპექტების გათვალისწინებით.

მიღებული შედეგების საიმედოობა განპირობებულია თეორიული კვლევის მეთოდების გამოყენებით. გაანალიზდა და მნიშვნელოვანი დასკვნები მომზადდა ასიმეტრიულ, ასევე პარტიზანულ ომებში სამხედრო ძალების გამოყენების ხერხებსა და მეთოდებზე, რომლებმაც განსაზღვრა წარმატებები ასიმეტრიულ ბრძოლებში.

ჩატარებული კვლევები და სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები იძლევა იმის საფუძველს, რომ სახელმწიფომ ეფექტურად განახორციელოს ასიმეტრიული თავდაცვითი ომისთვის მომზადება; სამხედრო ძალების აღმშენებლობის დროს გაითვალისწინოს ასიმეტრიულ ომზე მორგებული სტრუქტურა და საბრძოლო შესაძლებლობები.


ლიტერატურის მიმოხილვა

თავი I. ასიმეტრიული ომის ზოგადი მიმოხილვა

1.1. ასიმეტრიული ომის არსი

სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სამხედრო ძალა, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს უსაფრთხოების გამოწვევებზე ადეკვატური რეაგირება. ზოგჯერ ამ უმთავრესი ფუნქციის განხორციელებას ხელს უშლის ისეთი გარემოება, როცა შედარებით მწირი რესურსის მქონე პატარა ქვეყანა იძულებულია ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მასზე ბევრად ძლიერ სახელმწიფოსთან ჩაერთოს ომში. უახლესი სამხედრო ტექნოლოგიებით აღჭურვილ ადმატებულ მოწინააღმდეგესთან საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმა ქმნის ასიმეტრიული ომის საფუძველს. შესაბამისად, საომარ საფრთხეებზე ეფექტური რეაგირებისთვის მიზანშეწონილია ქვეყნის სამხედრო ძალების ისე მომზადება და აღჭურვა, რომ მან შეძლოს საჭიროებისამებრ მოსახლეობის ფართო მასების ჩართვით ასიმეტრიული ომის წარმოება აგრესორი სახელმწიფოს წინააღმდეგ. [1]

ასიმეტრიულ ომს ისეთ კონფლიქტს უწოდებენ, როდესაც დაპირისპირებული მხარეების რესურსებში მნიშვნელოვანი დისბალანსია ან რადიკალურად განსხვავებული ტაქტიკითა და სტრატეგიით მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები. ისინი ცდილობენ ერთმანეთის სუსტი მხარეები ბრძოლის დროს თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. როდესაც კონვენციური მოქმედებები მიმართულია უმეტესწილად დაპირისპირებული სამხედრო ძალის გასანეიტრალებლად, ასიმეტრიული ომი ითვალისწინებს მოსახლეობის ფართო მასების საბრძოლო მოქმედებებში ჩართვას (იხ. ნახ. 1). ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგის დასამარცხებლად გამოიყენება სხვადასხვა ხასიათის ფარული და სპეციფიკური მეთოდები, მაგალითად: პარტიზანული ბრძოლა, დივერსია, ფსიქოლოგიური ომი თუ სხვ. [2]



ნახ. 1. ომში ძალისხმევის ფოკუსირება

ასიმეტრიულ ომში შედარებით სუსტი მხარე არაპირდაპირი მოქმედების ტაქტიკასა და სტრატეგიას მიმართავს, რათა საკუთარი თავდაცვითი აღჭურვილობისა და ძალების ნაკლოვანებები გაანეიტრალოს როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად. ეს მიდგომა განსხვავდება ტრადიციული ანუ პირდაპირი მოქმედების სტრატეგიისგან, როდესაც მხარეებს შედარებით თანაბარი საბრძოლო ძალა და რესურსი აქვთ. ამ პირობებში ისინი ეყრდნობიან ტაქტიკას, რომელიც განსხვავდება მხოლოდ შესრულების ხერხებითა და დეტალებით, თუმცა მთლიანობაში მსგავსია. ეს მეთოდი ეფუძნება მცირე ზომის ქვედანაყოფებით ბრძოლას და ფართომასშტაბიანი შეტაკებების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. [3]

ტერმინი პირველად ენდრიუ მაკომმა გამოიყენა სტატიაში: „დიდი სახელმწიფოები რატომ მარცხდებიან პატარა ომებში – ასიმეტრიული კონფლიქტის პოლიტიკა“, რომელიც 1975 წელს დაიბეჭდა აკადემიურ ჟურნალში – World Politics. „ასიმეტრიული“ მოხსენიებული იყო როგორც ძალთა მნიშვნელოვანი დისბალანსი კონფლიქტში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარეებს შორის. „ძალა“ ამ კონტექსტში ნიშნავს მატერიალურ ძალას, მაგალითად: დიდ არმიას, დახვეწილ იარაღს, მოწინავე ეკონომიკასა და ა.შ. [4] თავდაპირველად მაკომის ანალიზი მეტწილად უგულებელყოფილი იქნა, მაგრამ ცივი ომის დამთავრებამ ამ საკითხისადმი ახალი ინტერესი გამოიწვია

სამხედრო თეორეტიკოსების მხრიდან. 1990-იანი წლების ბოლოს მაკომის მოსაზრება აქტუალურობას იძენს, ხოლო 2004 წლის შემდეგ აშშ-ის სამხედრო თეორეტიკოსებმა საფუძვლიანად დაიწყეს ასიმეტრიულ ომთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა.

ასიმეტრიული ომი მკაფიოდ განსხვავდება კონვენციური ოპერაციებისაგან ორი ასპექტით. პირველი, ეს არის ომი, რომელიც მოიცავს საზოგადოებას. კონფლიქტის მიზანია, არა სამხედრო უპირატესობის, არამედ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება. სამხედრო ძალას შეუძლია წვლილი შეიტანოს ამგვარი კონფლიქტის გადაჭრაში, მაგრამ ამას არ ექნება გადაწყვეტი მნიშვნელობა. სამხედრო ძალების ეფექტური გამოყენების შედეგად შეიძლება შეიქმნას ისეთი პირობები, რომლებშიც სახელმწიფო ძალაუფლების სხვა ინსტრუმენტები შეძლებენ მათი ზეგავლენის გამოყენებას. მეორე ასპექტის მიხედვით, ასიმეტრიული ომი აქცენტს აკეთებს არაპირდაპირ მიდგომაზე და მიზნად ისახავს პირდაპირი სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილებას. ის ცდილობს არარეგულარული ძალებისა და არაპირდაპირი მეთოდების (როგორცაა დივერსია) კომბინირებას მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ხშირად სუსტი მხარისთვის ეს არის ბრძოლის ერთადერთი რეალური საშუალება. ასიმეტრიული მოქმედებებით ხდება მტრის ნებისყოფის გატეხა მისი უწყვეტი დაუძლურებითა და დაბალი დონის მუდმივი ზეწოლით. [3]

აღსანიშნავია, რომ ასიმეტრიულ ომში დაპირისპირებულ ძალებს შორის წონასწორობა საგრძნობლადაა დარღვეული. როდესაც კონვენციური მოქმედებები მიმართულია უმეტესწილად მტრის სამხედრო ძალის გასანეიტრალებლად, ასიმეტრიული მიდგომა გამარჯვების მოსაპოვებლად იყენებს ფარულ თუ სპეციფიკური ხასიათის სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად: პარტიზანულ ბრძოლას, დივერსიასა და სხვ. რადგან დაპირისპირებულ მხარეთა სამხედრო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, ბრძოლის ველზე ისინი ცდილობენ ერთმანეთის მოწყვლად მხარეებზე მოახდინონ ზემოქმედება. ამ ვითარებაში არაკონვენციური ომის

ტაქტიკასა და სტრატეგიას იყენებს ნაკლები პოტენციის მქონე მხარე, რათა საკუთარი აღჭურვილობისა და ძალების ნაკლოვანებები მაქსიმალურად გაანეიტრალოს როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად. ამგვარი მიდგომა ტრადიციულ (სიმეტრიულ) ომს განასხვავებს ასიმეტრიული ომისაგან, რადგან სიმეტრიულ ომში ჩართულ მხარეებს აქვთ შედარებით თანაბარი რესურსი, სამხედრო ძალა და იყენებიან მსგავს ტაქტიკას, განსხვავდება მხოლოდ შესრულების ხერხებითა და დეტალებით. [5]

ტრადიციული საბრძოლო მოქმედებები წარმართება ძირითადად ერთმანეთთან დაკავშირებული თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების სახით, მაგრამ როდესაც რომელიმე მხარე ამბობს უარს ბრძოლის კლასიკური ფორმის გამოყენებაზე და პარტიზანულ თუ დივერსიულ ოპერაციებზე გადადის, მოქმედებები ასიმეტრიულ ხასიათს იღებს. მაშასადამე, დივერსიულ და პარტიზანულ მეთოდებს ერთ-ერთი მებრძოლი მხარე მაშინ მიმართავს, როდესაც აზრი არ აქვს სამხედრო ღია დაპირისპირებას, რადგან მტრის ძალები ბევრად მეტია და გამარჯვების პერსპექტივა ნაკლებია. ამდენად, ასიმეტრიული ომის წარმართვის შემთხვევაში გამარჯვების ერთადერთ შანსს აძლევს სწორედ სუსტ მხარეს. [6]

ფართომასშტაბიან სიმეტრიულ ომში გარდაუვალი მარცხის ან დამარცხების საფრთვის შემთხვევაში ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედი ძალა ორიენტირებულია მოსახლეობის ფართო მასების მხარდაჭერასა და ოკუპანტების წინააღმდეგ პარტიზანებად საბრძოლო მოქმედებებში მათ ჩართვაზე. ამ შემთხვევაში კონფლიქტი ასიმეტრიული ომის ხასიათს მიიღებს. მასში მთავარ მამოძრავებელ ძალას (ლოკომოტივს) თავდაცვის ძალები წარმოადგენს (მაგალითად, რუსეთის შეჭრა უკრაინაში 2022 წლის თებერვალში). ამგვარ მიდგომასთან დაკავშირებით საინტერესოა ჩინელი სამხედრო თეორეტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის, მაო ძე დუნის, პარტიზანული ომის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, მოსაზრება. იგი თვლიდა, რომ სახელმწიფოს დასაპყრობად შემოჭრილ მტერთან საბრძოლველად მნიშვნელოვანია იმ სახალხო ლიდერების ჩართულობა, რომელთაც ადგილობრივი ხელისუფლება დაუჭერს მხარს. [7]


სამხედრო ხელოვნების კუთხით ასიმეტრიული ომის წარმოება მოიცავს რეგულარული (კონვენციური) და არარეგულარული (პარტიზანები) ძალების მომზადებას, ორგანიზებას, ყველა საჭირო საშუალებებით მათ უზრუნველყოფასა და შესაბამისი მოქმედებების კოორდინაციას. უმთავრესი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ასიმეტრიული ბრძოლის წარმატებაზე ან წარუმატებლობაზე, არის: სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა რეგიონში; მოწინააღმდეგის ძალების მიერ შერჩეული მოქმედებების ტაქტიკა და შეიარაღება; პარტიზანული ფორმირებების ჩამოყალიბების შესაძლებლობები; საზოგადოებრივი გარემო, სადაც ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებები გაიშლება. გარდა აღნიშნულისა, მტრის წინააღმდეგ ასიმეტრიული ბრძოლის ეფექტურობას განაპირობებს თავდაცვის ძალების უნარი გაწვრთნას, მოამზადოს და აღჭურვოს მოსახლეობის ფართო მასები პარტიზანებად, რათა უზრუნველყოს ერთობლივი საომარი მოქმედებების წარმოება.

1.2. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება

თავდაცვის ძალების წარმატება მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული სამხედრო ხელოვნებაზე, რომელიც ომის ნებისმიერ დონეზე განსხვავებულ კომპლექსურ მიდგომებს წარმოაჩენს და საჭიროებს სახელმძღვანელო ფუნდამენტური პრინციპების სათანადო შერჩევას. სამხედრო ხელოვნება, რომლის მიზანია სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემის შექმნა და აღმშენებლობა, უნდა ეფუძნებოდეს დროულ და ეფექტიან რეაგირებას სამხედრო საფრთხეებზე, ასევე ეყრდნობოდეს მსოფლიო გამოცდილებით ომის წარმოების თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების გამოყენებას. სამხედრო ხელოვნების ამოცანა უნდა იყოს ისეთი სამხედრო უსაფრთხოების სისტემის შექმნა და აღმშენებლობა, რომელიც დაეყრდნობა ომის წარმოების უახლეს მეთოდებსა და ხერხებს, თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით შეძლებს საფრთხეებზე ეფექტიან და დროულ რეაგირებას. [8]

სამხედრო ხელოვნება, როგორც სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილი, მოიცავს ხმელეთზე, ზღვაზე, ჰაერში, კიბერსივრცეში ომის წარმოებისა და მომზადების არა მარტო პრაქტიკას, არამედ თეორიასაც. სამხედრო მეცნიერება, სახელმწიფოს თავდაცვის დოქტრინა და პოლიტიკა, სამხედრო ტექნიკისა და იარაღის განვითარების დონე, სამრეწველო ნედლეულის არსებობა და სამობილიზაციო რესურსი – ყოველივე ეს განაპირობებს სამხედრო ხელოვნების განვითარებას. ამას ასევე განსაზღვრავს თავდაცვის ძალების შემადგენლობა, რაოდენობა, სამხედრო ტრადიციებისადმი დამოკიდებულება, სამოქმედო რაიონის გეოგრაფია და სხვ. [9]

ომის წარმოებას თანამედროვე სამხედრო ხელოვნება განიხილავს ტაქტიკურ, ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეებზე (იხ. ნახ. 2). ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და მათ შორის ზღვარი არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი. ისინი ერთმანეთთან აკავშირებენ დაგეგმვის დონეებს, პასუხისმგებლობებს და უზრუნველყოფენ მოსაზრებების თავმოყრას პრობლემების გაანალიზებისა და მოგვარებისათვის. ტექნოლოგიების განვითარების მიუხედავად, კვლავ არსებითია ომის დონეებად დაყოფა, რადგან ომის რომელიმე კონკრეტულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს და აისახება სხვა დონეზე. [10]



ნახ. 2. ომის დონეები

ომის სტრატეგიული დონე გულისხმობს ქვეყნის ეროვნული მიზნების მიღწევისთვის სამხედრო ძალების გამოყენებას, რომელიც ინტეგრირებული უნდა იყოს სახელმწიფოების სიძლიერის ინსტრუმენტებთან. ამ დონეზე განისაზღვრება უსაფრთხოების სფეროში ეროვნული სტრატეგიული მიზნები და მიმართულებები.

ომის ოპერატიული დონე მოიცავს საბოლოო სტრატეგიული მდგომარეობის მისაღწევად საომარ კამპანიასა და ოპერაციებში ტაქტიკური ძალის გამოყენებას. ოპერატიულ დონეზე ბრძოლებში ჯარების რამდენიმე სახეობა იღებს მონაწილეობს. მათი მოქმედებები კოორდინირებულია სივრცეში, დროში და ორიენტირებულია ოპერაციის რაიონში ოპერატიული და/ან სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე. ასეთი მოქმედებები შეიძლება ჩატარდეს ერთდროულად ან თანმიმდევრულად საერთო გეგმის შესაბამისად, ხოლო მართვა ხორციელდება ერთი მეთაურის მიერ. [10]

ომის ტაქტიკური დონე მოიცავს ქვედანაყოფების, ნაწილების ბრძოლისთვის მომზადებას, ომის წარმოების პრაქტიკასა და თეორიას. ტაქტიკური დონის მეთაურები იყენებენ საბრძოლო სიძლიერეს, რათა შეძლონ ამოცანის შესრულება ბრძოლებში, შეტაკებებსა და მოქმედებებში მცირე ქვედანაყოფების მონაწილეობით. ბრძოლა წარმოადგენს ერთმანეთთან დაკავშირებული შეტაკებების კომპლექსს, რომელიც გრძელდება უფრო დიდხანს და მასში ჩაბმულია უფრო დიდი ძალები, ვიდრე ცალკეულ შეტაკებაში. ბრძოლებს შეუძლია გავლენა მოახდინონ კამპანიის ან ფართომასშტაბიანი ოპერაციის მსვლელობაზე. შეტაკება არის ტაქტიკური ხასიათის კონფლიქტი ქვედა ეშელონების დაპირისპირებულ სამანევრო ძალებს შორის. როგორც წესი, შეტაკებები ტარდება ბატალიონის დონეზე და უფრო ქვედა დონეებზე. ისინი, ჩვეულებრივ, ხანმოკლეა და მათ შესრულებას სჭირდება წუთები, საათები ან დღეები.

ბოლო პერიოდში მსოფლიოში წარმოებულმა სამხედრო კონფლიქტებმა ასიმეტრიული ომის ხასიათი მიიღო, რადგან ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დაპირისპირებული

ძალების შესაძლებლობები, ტექნოლოგიები და ტაქტიკა. ძირითადი ძალისხმევა მოიცავდა მოწინააღმდეგეზე ინფორმაციულ და ფსიქოლოგიურ წნეხს. აღნიშნული გარემოებები უზიძგებს თავდაცვის ძალებს, ბრძოლის წარმოების ახალი მეთოდების გათვალისწინებით განავითარონ ასიმეტრიული შესაძლებლობები როგორც მომავლის პერსპექტივა, რადგან სწორედ ასიმეტრიული ომი იძლევა საქართველოს ტიპის პატარა სახელმწიფოებისთვის რიცხოზრვად აღმატებულ მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების საშუალებას. [11]

თანამედროვე მსოფლიოში ტექნოლოგიურმა განვითარებამ მრავალფეროვანი გახადა ომში მიზნის მისაღწევად პირდაპირი და არაპირდაპირი სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობა. ომის თანამედროვე ხასიათი, რა თქმა უნდა, შეიცავს კლასიკურ კონცეფციებს, მაგრამ ამავდროულად ის გამოირჩევა წინა თაობის ომებისგან იმით, რომ მასში სამხედრო ცვლადთან ერთად კომბინირებულად გამოიყენება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ინფორმაციული, ინფრასტრუქტურული, ფიზიკური გარემოსა და დროის ცვლადები (იხ. ცხრილი 1). ხშირ შემთხვევაში სამხედრო ცვლადი ვლინდება გვიან ეტაპზე. სწორედ ეს ნოვაციური ომის იდეა აქვს გამოყენებული რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის უფროსს, ვლადიმერ გერასიმოვს, 2014 წლის რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფლიქტის დროს. ის აღნიშნავს: „სამხედრო და არასამხედრო საშუალებების კომბინირებული, კოორდინირებული გამოყენების მიზანია არა განადგურება, არამედ მოწინააღმდეგე სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების დაუძღვრება. არა მოწინააღმდეგის ჯარისკაცების დახოცვა, არამედ მათი საბრძოლო სულისკვეთების ჩახშობა და წინააღმდეგობის უნარის წართმევა. მთავარი სამიზნე ადამიანის ფსიქიკა და საინფორმაციო სივრცეა“. [7]

თანამედროვე (ახალი თაობის) ომს აქვს სპეციფიკური მახასიათებლები, როგორებიცაა: ახალი ტექნოლოგიები, მაღალი სიზუსტის იარაღი, დისტანციური მოქმედების საშუალებების ფართოდ გამოყენების

შესაძლებლობა, კარგად გაწვრთნილი და მობილური მცირე ქვედანაყოფების მოქმედებები, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ოპერაციების წარმოება ყველა სფეროში და ფართო მიზნებით, ერთიან საინფორმაციო გარემოში ძალებისა და საშუალებების მართვა. ახალი თაობის ომის დროს კონფლიქტი ხშირ შემთხვევაში მიმდინარეობს გამოუცხადებლად და აგრესორი მხარე უარყოფს მასში მონაწილეობას. ამის მაგალითია 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსია და უკრაინის აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები. [12]

ცვლადი	აღწერა
პოლიტიკა	<ul style="list-style-type: none"> ❖ ცენტრალური მთავრობა; ❖ პოლიტიკური პარტიები და ინტერესები; ❖ ადგილობრივი მთავრობები.
სამხედრო	<ul style="list-style-type: none"> ❖ შეიარაღებული ძალები და ხელმძღვანელობა; ❖ შიდა უსაფრთხოება; ❖ სამხედრო ინდუსტრიული კომპონენტები და უზრუნველყოფა.
ეკონომიკური	<ul style="list-style-type: none"> ❖ წარმოება და მიწოდება; ❖ მოხმარება და განაწილება.
სოციალური	<ul style="list-style-type: none"> ❖ ძირითადი საჭიროებები; ❖ სოციალური ჯგუფები და ინტერესები.
ინფრასტრუქტურა	<ul style="list-style-type: none"> ❖ კომუნალური კომპლექსები და ტრანსპორტირება; ❖ მრეწველობა და საზოგადოებრივი თავშეყრის ობიექტები.
ინფორმაცია	<ul style="list-style-type: none"> ❖ გლობალური საინფორმაციო ქსელი; ❖ ეროვნული საინფორმაციო ქსელი; ❖ თავდაცვის საინფორმაციო ქსელი.
ფიზიკური გარემო	<ul style="list-style-type: none"> ❖ გეოგრაფია და ადამიანის მიერ შექმნილი სტრუქტურები; ❖ კლიმატი და ამინდი.
დრო	<ul style="list-style-type: none"> ❖ რეგულარულად მიმდინარე მოვლენების სიხშირე და თანმიმდევრობა; ❖ მოსახლეობის სამუშაო, სამსახურებრივი და თავისუფალი დროის აქტივობების განრიგი.

ცხრილი 1. პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური, ეკონომიკური, ინფორმაციული, ინფრასტრუქტურული, ფიზიკური გარემოს და დროს (PMESII-PT) – ცვლადების აღწერა.

დღეს კონფლიქტებში ბევრად ეფექტურად გამოიყენება კარგად გაწვრთნილი მცირე ზომის ქვედანაყოფები როგორც კონვენციური, ასევე ასიმეტრიული (არალეგურალური) ძალების სახით. შესაბამისად გაზრდილია სპეციალური ოპერაციების ძალების როლი, რადგან მათ უნდა შეძლონ აწარმოონ ოპერაციები ნებისმიერი ოპერატიული გარემოს პირობებში. როგორც სპეციალური ოპერაციების ძალების ქვედანაყოფების, ისე პარტიზანების გამოყენება მეტად ეფექტურია მტრულ და გაურკვეველ გარემოში. ისინი ახორციელებენ ინფილტრაციას მოწინააღმდეგის კონტროლირებად ტერიტორიაზე რთული რელიეფისა და ამინდის მიუხედავად, ატარებენ ოპერაციებს იმ დროს და იმ ადგილზე, სადაც ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება შეუძლებელია.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ჩეჩნეთში წარმოებულმა ომებმა წარმოაჩინა ასიმეტრიული ტაქტიკის გამოყენების ეფექტურობა, როდესაც ჩეჩენი მებრძოლები (პარტიზანები) 1994-1996 წლებში მთელი ორი წლის განმავლობაში უპირისპირდებოდნენ მათზე გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგეს. პროფესიონალი სამხედროებით დაკომპლექტებულ რაზმებში აერთიანებდნენ მოხალისეებს და ადგილმდებარეობის ხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით მცირე ჯგუფებით ებრძოდნენ მოწინააღმდეგეს. ასიმეტრიული მოქმედებების ქვაკუთხედი იყო მტრის ძლიერი მხარეებისთვის თავის არიდება ან მათი განეიტრალება, ხოლო მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებით ახლო ბრძოლების წარმართვა. ასიმეტრიული მოქმედებების ტაქტიკის გამოყენების თვალსაზრისით, ამ ომში ასევე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, მცირე ჯგუფებად ბრძოლების წარმართვას.

[14]

ასიმეტრიული ტაქტიკის გამოყენების ერთ-ერთ წარმატებულ მაგალითს წარმოადგენს 2020 წლის შემოდგომაზე ყარაბაღის ომში აზერბაიჯანის სპეციალური ოპერაციის ძალების მიერ განხორციელებული ლაჩინის კორიდორისთვის შეზღუდვის ოპერაცია. ტრადიციული ომის

სახმელეთო ძალების ფრონტალური შეტაკებები წარმატებით ჩანაცვლდა მაღალმანევრული უკონტაქტო საბრძოლო მოქმედებებით. აქ კი წამყვანი როლი ითამაშა მცირე ქვედანაყოფებით ბრძოლის ტაქტიკის მიზანმიმართულად გამოყენებამ. კარგად მომზადებულმა და გაწვრთნილმა სპეციალური დანიშნულების ჯგუფებმა ეფექტურად იმოქმედეს ყარაბაღში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში სტრატეგიული და ოპერატიული დანიშნულების ტერიტორიების გაკონტროლების თვალთახედვით, რის შედეგადაც მიაღწიეს კიდევ მიზანს. მათ შეძლეს შეჟონვა, რთული რელიეფის გადალახვა და ლაჩინის კორიდორზე კონტროლის დამყარება. შედეგად შეზღუდეს მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო მარშრუტი იმ დროს, როდესაც იქ ჯერ კიდევ არ იყვნენ მისული აზერბაიჯანის სახმელეთო ჯარების ნაწილები. [15]

სპეციალური ოპერაციების ძალები ასევე ეფექტურად გამოიყენეს უკრაინაში, სადაც ე.წ. „მწვანე კაცუნებმა“ წინააღმდეგობის გაწევის გარეშე 2014 წლის 27 თებერვალს, გამთენიისას, დაიკავეს ყირიმის პარლამენტი, შემდეგ რეგიონალური მთავრობის შენობა და სიმფოროპოლის აეროპორტი. მათ ასევე შეძლეს სამხედრო ბაზების ბლოკირება და უკრაინელი სამხედროების განიარაღება, ხოლო 10 დღის შემდეგ უზრუნველყვეს რეფერენდუმის ჩატარება უკრაინიდან გამოყოფის მოთხოვნით. [13]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთმა გამოიყენა უკრაინაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი და გადაამწყვეტი მოქმედებები წამოიწყო ზუსტად იმ დღეს, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა დროებითი მთავრობა ჩამოაყალიბეს. იმ მომენტში არ იყვნენ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღები პირები და არც ძალოვან უწყებებს ჰქონდათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. სწორედ ეს უკანასკნელია ახალი თაობის ომის ერთ-ერთი მიზანი – „წინააღმდეგობის გაწევის სურვილის დაკარგვა“. აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ასიმეტრიული მოქმედებებით, შეიარაღებული ბრძოლის გარაშე, მოწინააღმდეგის დამარცხების შესაძლებლობას. [16]

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბოლო პერიოდში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებში აქტიურად გამოიყენება უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლიან ომის ბუნებას. 2006 წლის ლიბანის მეორე ომი, რომელიც ასიმეტრიული მოქმედების ხასიათს ატარებდა ისრაელის შეიარაღებულ ძალებსა და ჰესბოლას შორის, იყო ისტორიაში პირველი ომი, რომელშიც დაფიქსირდა უფრო მეტი უპილოტო ფრენის საათი, ვიდრე მოიერიშე ავიაციისა. [17]

უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების მაღალმა ეფექტიანობამ ბიძგი მისცა სახელმწიფოებს დაეწყოთ სხვადასხვა დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატებით საკუთარი შეიარაღებული ძალების აღჭურვა. მათი საბრძოლო შესაძლებლობების ზრდასთან ერთად დაიხვეწა ბრძოლის წარმოების მეთოდები. საფრენი აპარატები კონცენტრირდა ქვედანაყოფებში, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდნენ მოწინააღმდეგისთვის. რეალურ დროში ბრძოლის ველზე ოპერატიული ინფორმაციის მიღებამ, სადაზვერვო და შემტევი შესაძლებლობების კომბინაციამ შექმნა იმის პირობა, რომ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გამხდარიყო უპილოტოების გამოყენება, რამაც უზრუნველყო ბრძოლაში საჰაერო უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა და ადამიანური დანაკარგის გარეშე ამოცანის შესრულება. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებამ ეკონომიკურად შედარებით სუსტ სახელმწიფოებს გაუჩინა შესაძლებლობა უპილოტო ავიაციის განვითარებით უზრუნველყონ სადაზვერვო და საბრძოლო მიზნით ასიმეტრიული ოპერაციების საჰაერო მხარდაჭერა. [12]

სირიასა და ყარაბაღში ჩატარებული ოპერაციების წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებას. მათი საშუალებით გაიზარდა სამიზნის აღმოჩენისა და განადგურების შესაძლებლობები როგორც მიზანჩვენებისა და ცეცხლის კორექტირების კუთხით, ასევე სამიზნეზე „კამიკაძე“ დრონებით იერიშის მიტანით. უპილოტო საფრენი აპარატებით გადაღებული იერიშის

ვიდეოკადრების ინტერნეტით გავრცელებამ დამანგრეველი გავლენა მოახდინა მოწინააღმდეგის ფსიქიკაზე, რამაც გააადვილა ოპერაციებში წარმატების მიღწევა. [12]

ახალი თაობის ომებში ასევე განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება საინფორმაციო ოპერაციებზე, რომლებიც სამხედრო ოპერაციების განუყოფელი ნაწილია. ინფორმაციული ოპერაციების მთავარი მიზანია ინფორმაციული უპირატესობის მოპოვება და შენარჩუნება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწორი გადაწყვეტილებების მიღება. იგი აერთიანებს სამხედრო ქმედებებს, ძალებსა და შესაძლებლობებს ოპერატიული გარემოს დომინირებით (ჰაერი, ხმელეთი, ზღვა და კოსმოსი), რათა შექმნას და/ან შეინარჩუნოს სასურველი შედეგი მოწინააღმდეგის მეთაურებზე, ძალებზე (რეგულარულ ან არარეგულარულ), ინფორმაციაზე, ინფორმაციულ სისტემასა და სხვ.

საინფორმაციო უპირატესობის მნიშვნელობაზე უძველესი დროიდან მახვილდებოდა ყურადღება. ჩინელი სამხედრო თეორეტიკოსი სუნ ძი სამხედრო ხელოვნების ტრაქტატში აღნიშნავს: ყველა ომი დაფუძნებულია მოტყუებაზე. ის გვთავაზობს თავი ავარიდოთ მტრის კონცენტრირებულ ძალებს და მოტყუებით დავესხათ მათ თავს. შეიძლება ითქვას, რომ რეალურად სუნ ძიმ სტრატეგია ააგო ასიმეტრიაზე, რაც ძალზე მსგავსია იმ სიტუაციისა, რომელშიც დღეს 21-ე საუკუნის კონფლიქტები მიმდინარეობს. [18]

საინფორმაციო ომში ასიმეტრია მოიცავს გარკვეული სახის დროის ასპექტს. მას შეიძლება ჰქონდეს როგორც მოკლევადიანი, ასევე ხანგრძლივი ეფექტები. თუ დავაკვირდებით ბოლო პერიოდში წარმოებულ სამხედრო კონფლიქტებს, მაგალითად, 2020 წლის ყარაბაღის ომს, დავინახავთ, რომ აზერბაიჯანელების „კამიკამე“ უპილოტოების მიერ ქვედანაყოფებზე შეტევების ამსახველმა ვიდეოკადრებმა გამანადგურებლად იმოქმედა სომხეთის თავდაცვის ძალებზე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა დეზერტირობა და მოშალა საბრძოლო სულისკვეთება. [19]

თანამედროვე ომებში განსაკუთრებული ადგილი ასევე უკავია კოსმოსურ სივრცეს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის სამხედრო ძალების შესაძლებლობებს. მის მიმართ ინტერესი სულ უფრო გაძლიერდა ავღანეთში თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ ომში და 2003 წელს ერაყში სამხედრო კამპანიის მიმდინარეობისას. ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედი ძალების წინააღმდეგ კოსმოსური სივრცით სარგებლობის პიკი მიღწეული იქნა სირიაში მეამბოხეებისა და ისლამული სახელმწიფოს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. თანამგზავრები გამოიყენებოდა გამოსახულებითი დაზვერვისათვის და ზუსტი იარაღის ცეცხლის სამართავად. [18]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო პერიოდში წარმოებულმა სამხედრო კონფლიქტების ანალიზმა მკაფიოდ გამოავლინა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები. საინფორმაციო ომმა, სპეციალური ოპერაციების ძალებისა და უპილოტო საფრენი აპარატების ფართო გამოყენებამ გაზარდა საომარი მოქმედებების ეფექტურობა, რაც მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებებს იძლევა. შესაბამისად, თავდაცვის საშუალებების სრულყოფა ორიენტირებული უნდა იყოს ასიმეტრიული შესაძლებლობების გამოყენების პრესპექტივებზე, რადგან საქართველოს ტიპის სახელმწიფოებისთვის თავდაცვის ძალების მკვეთრად ლიმიტირებული რესურსი ვერ უზრუნველყოფს ყველა მიმართულების თანაბრად განვითარებას.

1.3. ასიმეტრიის ომის ბუნება

ყველა ომს თავისი საფუძველი აქვს, რომელთა გამომწვევი მიზეზის დადგენა ანალიტიკოსს აწვდის ინფორმაციას ომის ბუნებასა და მის ზოგად მახასიათებლებზე. მიღებული მასალა უზრუნველყოფს სამხედრო სპეციალისტებს საჭირო ინფორმაციით, რომ დაგეგმვის პროცესის განსახორციელებლად ჩატარდეს ამოცანის ანალიზი. ამ უკანასკნელზე უნდა იყოს დაფუძნებული ყველა შემდგომი საქმიანობა. ამიტომ, სამხედრო ძალების გამოყენებისას, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ კლაუზევიცის მითითება, რომ: „პირველი, უზენაესი, ყველაზე შორს მიმავალი ქმედება,

რომელიც სახელმწიფო მოღვაწემ და სარდალმა უნდა გააკეთოს, არის განსაზღვროს ომის სახე, რომელშიც იგი ერთვება“.¹

შესაბამისად, რაც არ უნდა ვიფიქროთ ასიმეტრიული ომის მეთოდების გამოყენებაზე (ფარულობა, სიჩქარე, მოულოდნელობა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება), აშკარაა, რომ მათ აქვთ მიდრეკილება გაითვალისწინონ ევოლუციური პროგრესი და ასიმეტრიული მოქმედებების უპირატესობა ყოველთვის არ არის რესურსებით ძლიერი ძალის მხარეს.[20]

ასიმეტრიული ომი საუკუნეებს ითვლის, მისი ერთ-ერთი უძველესი ფაქტი აღწერილია ბიბლიაში, ეს იყო დავითისა და გოლიათის შერკინება. ფილისტიმელებსა და ებრაელებს შორის ხანგრძლივი დაპირისპირების შემდეგ ფილისტიმელების რიგებში გამოჩნდა გიგანტი, სახელად გოლიათი და მოუწოდა ებრაელებს, რომ ბრძოლის ბედის გადასაწყვეტად მასთან შესაბამელად ყველაზე ძლიერი მეომარი გამოეყვანათ. გოლიათი გარეგნულად უზარმაზარი იყო, მძიმე ჯავშანი ეცვა, ფართო იყო დაცული და დიდ შუბი ჰქონდა. გამოწვევამ საგონებელში ჩააგდო ებრაელთა მეფე საული, რადგან არავინ ეგულებოდა გოლიათის სწორი. ბოლოს მეფეს ეახლა ახალგაზრდა მწყემსი დავითი და სთხოვა შებრძოლების ნება მიეცა. მეფისთვის აშკარა იყო, რომ ახალგაზრდა მწყემსის ფიზიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვანად ჩამორჩებოდა გოლიათისას, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში იწვრთნებოდა ბრძოლებისთვის. დავითმა შეძლო მეფის დარწმუნება. იგი გოლიათს დაუპირისპირდა შურდულით. მან მტერს თავში ქვა გაართყა და წაქცეულ გოლიათს მისივე ხმლით მოჰკვეთა თავი. როცა ფილისტიმელებმა ეს დაინახეს, შეშინებულნი გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. დავითის ეს გამარჯვება მოულოდნელობის ფაქტორმა განაპირობა. [21]

ასეთი გამარჯვებების არაერთი ფაქტი ახსოვს ისტორიას. „ემმაკური“ მეთოდები ხშირად უკავშირდება იმ სარდლებს, რომლებმაც ასიმეტრიული მოქმედებებით წარმატების მისაღწევად თავიანთ

¹ Carl von Clausewitz, On War, Princeton University Press, Princeton, NJ: 1984, pps. 88 & 584


სტრატეგიაში უხეში ძალის ნაცვლად მიმართეს გონებასა და არატრადიციულ გადაწყვეტილებებს, ფსიქოლოგიურ ასპექტებს. ყოველთვის, როდესაც დაქვემდებარებული ძალა ეწინააღმდეგებოდა უფრო ძლიერ მტერს, ბევრი ხრიკი იყო საჭირო მოწინააღმდეგის დამარცხებისთვის. ამ მიდგომას ბერძნებმა *mētis* დაარქვეს, რომელიც სიბრძნესა და ეშმაკობას აერთიანებდა. ეს თვისება მეტად მიღებული იყო, როგორც ათენური ხასიათის ერთ-ერთი გამორჩეული ნიშანი და ბრძოლის კომპონენტი.

რომაული ეპოქის მთავარსარდალი, რომელმაც წარმატებით გამოიყენა ეს კომპონენტი ჰანიბალის კართაგენის არმიასთან ბრძოლაში, იყო კვინტუს ფაბიუს მაქსიმუსი. ტრადიციული რომაული სტრატეგიის ნაცვლად მან მიმართა ე.წ. „ფაბიანის სტრატეგიას“, რომელიც იყო შეყოვნების ტაქტიკა და მტერს დისფუნქციურს ხდიდა. იგი თავს არიდებდა დაპირისპირებულ მხარესთან გენერალურ ბრძოლაში ჩაბმას მუდმივი მანევრის საშუალებით, ხოლო უკან დახევისას ანადგურებდა ტერიტორიებს, რათა მოწინააღმდეგე მთლიანად დამოკიდებული ყოფილიყო საკომუნიკაციო ხაზებიდან მომარაგებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს აღიქმებოდა, როგორც ომში ბრძოლის ველიდან გაქცევა, მისმა სიბრძნემ წარმატება მოუტანა რომის იმპერიას. ფაბიანის სტრატეგია სრულად გასაგები იყო ჰანიბალისთვის, რომელიც იმ პერიოდისათვის წააწყდა მოულოდნელ წინააღმდეგობას, რამაც გამოფიტა მისი ძალები. [2]

ძველ საბერძნეთში დიდი ყურადღება ექცეოდა *metis*-ს (სიბრძნესა და ეშმაკობას), ხოლო ფალანგაში ბრძოლა მთლიანად დამოკიდებული იყო *bie-*ზე (ძალაზე, რაოდენობაზე) განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დიდი არმიები იბრძოდნენ. არარეგულარული მეზრძოლები ძირითადად *mētis*-ს ეყრდნობოდნენ და წარმატებით მოძრაობდნენ ცვალებად გარემოებებში. ამ ორი ძალიან მკაფიო საბრძოლო კულტურის ერთობლიობამ შექმნა ასიმეტრია.

ორი ძირითადი საბრძოლო კულტურიდან პირველს, რომელსაც ტრადიციულ საბრძოლო კულტურას ვუწოდებთ და ემყარება *bie*-ს, აქვს ორი

ძირითადი ფორმა (განადგურება და გამოფიტვა). მეორე, რომელსაც ამ ნაშრომში ასიმეტრიული ეწოდება, ემყარება mētis-ს და აქვს ორი განსხვავებული ფორმა: პარტიზანული ბრძოლა და დივერსია (იხ. ნახ. 3).



ნახ. 3. განსხვავებული საბრძოლო კულტურები

ტრადიციული საბრძოლო კულტურის პირველი ფორმა – განადგურება – მოითხოვდა გადამწყვეტ ბრძოლას მტრის ჯარის დასამარცხებლად უმთავრესად საბრძოლო ძალის გამოყენებით. ეს ფორმა ემყარება თავდაცვას, შეკავებას და მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის განადგურებას, ამიტომ იგი ეფუძნება არა იმპროვიზაციას, არამედ დეტალურ გეგმას, რომლიც უნდა განხორციელდეს.

ტრადიციული საბრძოლო კულტურის მეორე ფორმა გამოფიტვა (მანევრული ომი) დიდი ალბათობით გამოიყენებოდა მაშინ, როდესაც არსებულ სამხედრო საშუალებებს გადამწყვეტი ბრძოლა არ შეეძლოთ. იგი ითვალისწინებს მოწინააღმდეგეზე მუდმივ ზეწოლას სისუსტეებზე იერიშის მიტანით. მართვა ხორციელდება დეცენტრალიზებულად, ხოლო აქცენტი კეთდება არა გეგმაზე, არამედ დაქვემდებარებული მეთაურების ინიციატივაზე. გამოფიტვის მიზანია იყოს აქტიური და მოქნილი, რომ წონასწორობიდან გამოიყვანოს მოწინააღმდეგე.

ასიმეტრიული საბრძოლო კულტურის პირველ ფორმას – პარტიზანულ ბრძოლას – ყველაზე ხშირად მიმართავენ მეთაურები,

ოკუპაციის წინააღმდეგ მებრძოლები და, საერთოდ, არარეგულარული მეომრები, რომლებიც იბრძვიან დამპყრობელი არმიების ან ლეგიტიმური მთავრობების წინააღმდეგ ლეგიტიმაციისა და ძალაუფლების მოსაპოვებლად. პარტიზანული ომი არის ხანგრძლივი, ძალზე არაპროგნოზირებადი და ემყარება ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას. მათი მთავარი სტრატეგია ხალხის მასაზე ზემოქმედება, ლეგიტიმურობისა და მხარდაჭერის მოპოვებაა.

ასიმეტრიული საბრძოლო კულტურის მეორე ფორმა – დივერსია – სადავო მოვლენაა, რადგან დივერსიის შესახებ საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტება არ არსებობს, მაგრამ კვლევის საფუძველზე, რომელიც სხვადასხვა განმარტებას ანალიზებს, დაასკვნეს, რომ იგი ემყარება ძალადობას პოლიტიკური აღიარების მოსაპოვებლად ძირითადად რბილ სამიზნეებზე (არამებრძოლებზე) თავდასხმის გზით. დივერსია საშიშია, რადგან ის პირდაპირ არ უპირისპირდება მთავრობას ან სამხედრო ძალებს, მაგრამ აქვს პოტენციური დააშინოს საზოგადოება და გამოიწვიოს მთავრობის არაეფექტური რეაგირება.

1.4. ტრადიციული და ასიმეტრიული ომის თაობები

ომის წარმოების ტრადიციული მეთოდები თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პარალელურად იცვლება, ხოლო ახალი ტაქტიკა და საბრძოლო მოქმედებების განხორციელების ინსტრუმენტები, როგორებიცაა: საინფორმაციო ომი, ასიმეტრიული ომი, მედიაპროპაგანდისტული ომი და ჰიბრიდული ომი – წარმოშობს ბუნდოვანებას საბრძოლო და არასაბრძოლო მოქმედებებს, ასევე ომიანობასა და მშვიდობიანობას შორის. თანამედროვე ომის ძირითადი ჩარჩო შემუშავებულია კარლ ფონ კლაუზევიცის მიერ სახელმძღვანელოში „ომის შესახებ“. მისი განმარტებით ომი „წარმოადგენდა სახელმწიფოებს შორის დუელს უფრო დიდი მასშტაბით“, რომლის მიზანი იყო „პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით“. უილიამ ს. ლინდმა ჩამოაყალიბა თეორია ომის ოთხი თაობის შესახებ. საწყის წერტილად აიღო 1648 წელს დადებული

ვესტფალიის ზავი. თითოეული თაობა წარმოადგენდა ომში ბრძოლის გზას. დანიელ ჰ. ებოტმა განაგრძო ეს ჩამონათვალი და მას დაუმატა მეხუთე თაობის ომი, რომელსაც აღქმის ბრძოლა უწოდა.[2]

პირველი თაობის ომში ბრძოლები ფორმალური, ხოლო ბრძოლის ველი ძალიან სტრუქტურირებული იყო, სადაც წესრიგი, სამწყობრო მომზადება, უნიფორმა და მკაცრი იერარქია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მე-19 საუკუნის შუა ხანებში წესრიგმა ბრძოლის ველზე დაიწყო ნგრევა. ტექნოლოგიური მიღწევებით (თოფებითა და ტყვიამფრქვევებით) აღჭურვილი არმიებისთვის ძველი ხაზისა და კოლონის ტაქტიკის განხორციელება შეუძლებელი ხდებოდა.

მეორე თაობის ომი დაკავშირებული იყო ნაჭდევებიანი მუშაკებისა და სახაზინო ნაწილიდან დასატენი შეიარაღების შექმნასთან, ასევე არაპირდაპირი საცეცხლე საშუალებებისა და ტყვიამფრქვევების განვითარებასთან (მაგ., არტილერია). საბრძოლო მოქმედებები ემყარებოდა ხაზოვანი ცეცხლისა და მოძრაობის ტაქტიკას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დისციპლინასა და სინქრონიზაციას, რაც მოითხოვდა ბრძანებებისა და განკარგულებების უსიტყვოდ შესრულებას, ხოლო მეთაურების მიერ გამოვლენილი ინიციატივები არღვევდა სინქრონიზაციას. ვ. ლინდი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტორზე, რომ თანამედროვე დოქტრინებში ასახული გამოფიტვის სტრატეგია სათავეს იღებდა მეორე თაობის ომებიდან და მის მიზანს წარმოადგენდა დაუძღვრება, ხოლო აქცენტი კეთდებოდა წესებზე, პროცესებსა და პროცედურებზე. სამხედრო თეორიტიკოსები სწორედ ამ პერიოდიდან ცალკე გამოყოფენ ოპერატიულ ხელოვნებას, როგორც ე.წ. ხიდს სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის.

მესამე თაობის ომის მოდელი ფოკუსირებული იყო სიჩქარეზე, მოულოდნელობასა და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე. იგი შეიქმნა გერმანიის არმიის მიერ და ცნობილია როგორც „ბლიცკრიგი“ ანუ მანევრული ომი. მესამე თაობის ომი სულ უფრო არაწრფივია და არაპირდაპირ ზემოქმედებს მოწინააღმდეგის შინაგან პროცესებსა და მეთოდებზე. ამ

კონტექსტში ინიციატივა წახალისებულია და ყველაფერი დამოკიდებულია ქვედანაყოფების განაწილებაზე, ასევე მეთაურის ჩანაფიქრის ფარგლებში მოქმედებაზე. სატრანსპორტო საშუალებებისა და ავიაციის გამოყენებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ოპერაციის რაიონების სიღრმე, რაც წინა თაობის ომებში მხოლოდ რამდენიმე ჰექტარით შეიძლება შემოფარგლულიყო.

მეორე და მესამე თაობის ომების მსოფლმხედველობის შედეგები ჯერ კიდევ იერარქიულ ბიუროკრატიულ ორგანიზაციებშია გამჯდარი. სამხედრო ტაქტიკამ დიდი გავლენა მოახდინა კორპორაციებსა და მათ ხელმძღვანელობაზე. ეს არის ის, რაზეც დღეს ორგანიზაციების უმეტესობა დგას. მეოთხე თაობის ომს აქვს ისეთი მახასიათებლები, როგორცაა დეცენტრალიზაცია და ინიციატივა. როგორც ლინდი აღწერს, მეოთხე თაობის ომში სახელმწიფო კარგავს ომის მონოპოლიას. მთელ მსოფლიოში, სადაც სახელმწიფო სამხედრო ძალები ებრძვიან ასიმეტრიულ ძალებს, უმეტეს შემთხვევაში სამხედრო ძალები მარცხდებიან ან საომარი მოქმედებები უსასრულოდ გრძელდება. ახალი საბრძოლო სისტემების შესაძლებლობების ზრდამ უზრუნველყო საომარი მოქმედებების რეალურ დროში, 24-საათიან უწყვეტ რეჟიმში, წარმართვა. საინფორმაციო გარემოსა და კიბერსივრცეზე მოქმედებები ასევე მეოთხე თაობის ომის განუყოფელი ნაწილი გახდა.

მეხუთე თაობის ომი არის აღქმებისა და ინფორმაციის ბრძოლა, ასევე კულტურებისა და მორალური ომი, რომელიც ამახინჯებს მასების აღქმას, რათა უზრუნველყოს მანიპულირებული ხედვა სამყაროსა და პოლიტიკაზე. იგი ყველა დროის ყველაზე საშიშ საომარ თაობას წარმოადგენს, რადგან იყენებს კულტურულ ხატებსა და რელიგიურ გრძნობებს მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.

გამოჩენილი ძველი ბერძენი ისტორიკოსი თუკიდიდე (ძვ. წ. 460–400), რომელმაც ვერ შეძლო სპარტელთა მიერ ამფიპოლის ოკუპაციის აღკვეთა, მიხვდა, რომ გადასახლება მას შესაძლებლობას აძლევდა გასცნობოდა სპარტელთა ომს და სტრატეგიას. მისი ცნობილი დაკვირვება ეხებოდა

პელოპონესის ომს, იგი აღნიშნავდა: „ომმა გარდაუვალი გახადა ათენის ძალაუფლების ზრდა და მის მიმართ შიში სპარტაში“. ეს დაკვირვება ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილებების მიღებაზე დიდი გავლენა იქონია ვითარებაში გარკვევამ და შერჩეული იქნა შესაბამისი სტრატეგია.[2]

იგივე მოვლენა შეიმჩნევა სუნ ძის კლასიკურ ნაშრომში „ომის ხელოვნება“. იგი წერს: „ას ბრძოლაში ასი გამარჯვების მოპოვება ღირსების მწვერვალი როდია. მტერზე ბროლის გარეშე გამარჯვება – აი რა არის დიდების მწვერვალი“. სუნ ძის ნაწერების მიხედვით, მოტყუების გასაღები უბრალოდ მოულოდნელი საქმის გაკეთებაა დავითის მსგავსად გოლიათთან ბრძოლისას. ამისათვის საჭიროა მოწინააღმდეგის საფუძვლიანი შესწავლა. ასიმეტრიული ომის სტრატეგებს ყოველთვის ურჩევნიათ ინფორმაცია, რომელიც მიიღება რელიეფის მცოდნე ადამიანებისგან (სასურველია ადგილობრივი მცხოვრებლებისგან) და მტრის მდგომარეობის სიღრმისეული ანალიზი სისუსტეების დასადგენად. ერთი რამ არის საერთო: ასიმეტრიული ომის მომხრეები ყოველთვის ცდილობდნენ ეჯობნათ მოწინააღმდეგისთვის მოხერხებულობით, ნაცვლად იმისა, რომ უხეში ძალით გაენადგურებინათ იგი. [22]

თუკი დიდესა და სუნ ძის მსგავსად, ნიკოლო მაკიაველსაც მიეცა სახელმწიფოს საქმეების წარმართვის საშუალება. მისი მიდგომა „მაკიაველი“ ხშირად არასწორად არის გაგებული, მაგრამ ეს არსებითად აღწერს მანიპულირებისა და მოტყუების უნარს, როგორც ძალაუფლების მიღების გზას. მაკიაველს ესმოდა, რომ ვერასოდეს შეეცდები პრობლემისგან თავის დაღწევას მოწინააღმდეგესთან შეხვედრის გარეშე. ამასთან, ცვლილებებისა და სირთულის მიღებით შეგიძლია ვითარების გაანალიზება, მოქმედებების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა და მასების დარწმუნების გზით უდიდესი გავლენის მოპოვება.

პირველი თაობის ომის დროს არასაკმარისი ძალები ყოველთვის არჩევდნენ გამოფიტვის სტრატეგიას. ეს სტრატეგია (განადგურების ან ტოტალური ომის სტრატეგიისგან განსხვავებით, სთავაზობდა ტრადიციულ

მიდგომას) აისახა კლაუზევიცის 1827 წლის ნაშრომში, სადაც პრუსიელმა სტრატეგმა გააცნობიერა, როდესაც სამხედრო საშუალებები არ არის საკმარისი გადამწყვეტი ბრძოლისთვის, გამოფიტვის სტრატეგიის განხორციელება არის სწორი გამოსავალი. [23]

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ასიმეტრიული ომი ძირითადად ასოცირდება ინდიელების ბრძოლასთან კოლონიზატორების წინააღმდეგ და ასევე აშშ-ის ბრძოლასთან დამოუკიდებლობისთვის. იმ დროს პარტიზანულ ომს ჰქონდა თავდაცვითი ხასიათი, ის მიმდინარეობდა თავის ტერიტორიაზე როგორც ტრადიციული ბრძოლის ალტელნატივა, არალეგალურ ძალებს ჰქონდათ ისეთი უპირატესობები, როგორებიცაა: მოსახლეობის მხარდაჭერა და ადგილმდებარეობის ცოდნა. თითქმის ყველა ეს კამპანია მიზნად ისახავდა გამოფიტვის სტრატეგიას გამარჯვების მოსაპოვებლად.

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ასიმეტრიული ბრძოლას დროებითი ხასიათი ჰქონდა და ამ ტიპის ომის სტრატეგიის შექმნა არასოდეს ყოფილა იოლი, ხოლო მეორე თაობის ომის დროს ასიმეტრიულ ომს მკაფიო დოქტრინა არ გააჩნდა. თომას ედვარდ ლოურენსმა, არქეოლოგმა, რომელიც არაბთა აჯანყებაში იბრძოდა ოსმალეთის ოპოზიციის წინააღმდეგ, საფუძველი ჩაუყარა დოქტრინას პარტიზანული ომის პრინციპებზე დაყრდნობით. სანამ ის არაბებთან ერთად იბრძოდა, მან დაწერა მოგონებები კამპანიის შესახებ, რომელიც დღემდე კლასიკურ ნაწარმოებად რჩება. „სიბრძნის შვიდ სვეტში“ ლოურენსმა აღნიშნა, რომ მცირე, სწრაფმა და კარგად აღჭურვილმა ძალამ შეძლო მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება. ის მიუთითებდა, რომ გამარჯვება დამოკიდებულია ცეცხლის სიჩქარეზე, დამალვასა და სიზუსტეზე. ლოურენსის ოპერაციები, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი კამპანიის დამხმარე ძალა იყო და მისმა წარმატებამ საფუძველი ჩაუყარა ასიმეტრიული ომის პარალელურად სიმეტრიული ომის წარმოების შესაძლებლობას. [24]

სტრატეგიის შექმნის შემდეგი მცდელობა ჰქონდა მათ ძედუნს, რომელმაც დაადასტურა, რომ კარგად სტრუქტურირებული პარტიზანული

ბრძოლის სტრატეგია თავისთავად გამარჯვებისკენ მიმავალი გზა იყო. მან ხალხი წყალს, ხოლო პარტიზანი თევზს შეადარა. იგი აღნიშნავდა, მოსახლეობაზე ორიენტირებული მიდგომით შესაძლებელი იყო უკიდევანო ზღვის მიღება, რომელიც გადაყლაპავდა მტერს, ხოლო პარტიზანებს ისე გაუადვილებდა ბრძოლას, როგორც თევზებს – წყალი ცურვას. მამო შექმნა სტრუქტურაც, რომელშიც პარტიზანული ომის პირველი ეტაპი იყო სტრატეგიული თავდაცვა, რასაც მოჰყვა ჩიხი და ბოლოს შეტევითი მესამე ეტაპი. [25]

მას შემდეგ ბევრმა სცადა ამ მიდგომის გამოყენება. ვიეტნამში გენერალმა ვუ ნგუენ გიაპმა ეს კონცეფცია განავითარა მაშინ, როდესაც მან შეძლო სხვადასხვა ეტაპზე გადაადგილება გარემოებების მიხედვით (მოსგან განსხვავებით, რომელიც ეტაპებს თანმიმდევრულ ნაბიჯებად თვლიდა). მამაც და გიაპმაც შეხედეს პარტიზანულ ომს როგორც ვარიანტს, რომელსაც მხოლოდ მაშინ ირჩევდნენ, როდესაც ისინი უფრო სუსტები იყვნენ, ვიდრე მოწინააღმდეგეები.

ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით 1959 წელს კუბაში ბატისტას რეჟიმის დამხობამ (ჩე გევარას მიერ შექმნილ კონცეფციაზე დაყრდნობით) ბიძგი მისცა ლათინური ამერიკის სოფლების მოსახლეობის ამბოხს. მაგრამ სამხრეთ ამერიკაში ამ აჯანყებას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. კიდევ რამდენიმე ადამიანი ცდილობდა კუბის წარმატების გამეორებას უშედეგოდ, ხოლო ჩე მოკლეს ბოლივიაში, როდესაც აორგანიზებდა აჯანყებას ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. [3]

1970-იანი წლების დასაწყისში, მესამე თაობის ტრადიციული ომის დროს, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში სოფლის აჯანყებების ზოგადი მარცხის გამო იმედგაცრუებამ, როგორც ჩანს, ყურადღება გადაიტანა ქალაქურ პარტიზანულ ომზე, აქცენტი გააკეთა კოლექტიური დივერსიის გამოყენებაზე. ფილოსოფოსების – ჰერბერტ მარკუზისა და რეგის დებრაის – სწავლებების მიხედვით და კარლოს მარიგელას მიერ დაწერილი პრაქტიკული სახელმძღვანელოთი, ურბანული პარტიზანული მოძრაობა

ვირუსივით გავრცელდა და უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია. ურბანულმა არარეგულარულმა ომმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ისეთ ადგილებში, როგორცაა ჩრდილოეთ ირლანდია, შრი-ლანკა და ისრაელ-პალესტინა და გახდა კონფლიქტის ძირითადი ფორმა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ დაიწყო მუსლიმთა რელიგიური მიზნების კრისტალიზაცია ლოკალიზებულ აჯანყებებში, ამბოხებულ დივერსიულ ორგანიზაციაში, როგორცაა ოსამა ბინ ლადენის ალ-ქაიდა. 2001 წლის 11 სექტემბერს შეერთებულ შტატებზე მოულოდნელი შეტევა განხორციელდა, რომელმაც ასიმეტრიული მიდგომის სახე მიიღო ახალ დონეზე. გეგმა, რომელიც განახორციელა ისლამური ექსტრემისტების მცირე ჯგუფმა, მთელმა მსოფლიომ მიიჩნია ასიმეტრიული ომად. აშშ-ის მთავრობამ დივერსიას გლობალური ომი გამოუცხადა. ასე დაიწყო ომის ახალი თაობის ერა. [8]

საერთო ჯამში, შეგვიძლია დავასკვნათ, რადგან ასიმეტრიული ომი ვითარდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა დაპირისპირებულ მხარეთა რაოდენობა ნებისმიერ ოპერატიულ გარემოში. სამხედროებმა ახლა უნდა გაითვალისწინონ არა მხოლოდ მტრის ძალები, არამედ არალეგალური ორგანიზაციების (პარტიზანების, დივერსანტების, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების) შესაძლებლობები. უფრო მეტიც, ადგილზე იზრდება კერძო სამხედრო კონტრაქტორების რიცხვი, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ თანამედროვე კონფლიქტებში.

მონაწილე მხარეები (ტექნოლოგიური მიღწევების გამო) უფრო მეტად არიან ურთიერთდაკავშირებული ისე, როგორც არასდროს. მათ შორის კავშირები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ქმნის ძალიან რთულ საოპერაციო გარემოს მუდმივად ცვალებადი ინტერესებითა და ალიანსებით, რისი ახსნა და გაგება ძნელია.

1.5. პარტიზანული მოძრაობის შესაძლებლობები ასიმეტრიულ ომში

ასიმეტრიული ომი მნიშვნელოვნად განსხვავდება ფართომასშტაბიანი კონვენციური ომისგან, რადგან საბრძოლო მოქმედებები ერთიანი ფრონტის ხაზისა და გენერალური ბრძოლის გარაშე მიმდინარეობს, ხოლო წარმატების მისაღწევად გამოიყენება პარტიზანული ქვედანაყოფები. ამგვარი კონფლიქტების სიხშირე და სიმძიმე უახლოეს ათწლეულებში კვლავაც მოსალოდნელია, რაც საქართველოს ტიპის სახელმწიფოების მხრიდან ადეკვატური რეაგირების უნარს მოითხოვს. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია 2022 წლის თებერვლიდან უკრაინაში რუსეთის მიერ დაწყებული საომარი მოქმედებები. გაჩნდა ახალი დოქტრინული სახელმძღვანელოების შექმნის საჭიროება, რათა მათში აისახოს რეგულარული თავდაცვის ძალებისა და საშუალებების, ასევე პარტიზანების გამოყენების ხერხები, მეთოდები და პროცედურები.

პარტიზანული ომები არ არის უნიკალური მათი პოლიტიკური ასპექტით, მაგრამ პოლიტიკური განზომილება ხაზგასმულია იმით, რომ მისი პოლიტიკური დღის წესრიგი სწორედ ისაა, რაც გამოიყენება კონფლიქტის გასამძაფრებლად. პარტიზანულ ორგანიზაციებს, როგორც წესი, არ აქვთ რაიმე ფარული დღის წესრიგი. მათი პოლიტიკური მოტივაცია და მიზნები ემსახურება როგორც კოლექტიური გამაერთიანებელი ძალა ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ჩე გევარამ, ისევე როგორც მათი დე დუნმა, ხაზი გაუსვა, რომ „პარტიზანული ომი არის მასების ომი“ და მისი შეუცვლელი მოთხოვნაა ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება. ასეთ კონფლიქტებში სწორედ მოსახლეობა წარმოადგენს გრავიტაციის ცენტრს და ეროვნული სიძლიერის საფუძველს. [26]

პარტიზანული ომი შეიძლება განპირობებული იყოს საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ფაქტორით, რაც ძირითად უკმაყოფილებას იწვევს. უკმაყოფილება წარმოიშობა რეალური თუ აღქმული ჩაგვრისგან და შეიძლება წარმოიშვას მრავალი ფორმით – პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური, ეთნიკური თუ იდეოლოგიური, რაც ცალ-ცალკე ან ერთდროულად შეიძლება წარმოადგენდეს პარტიზანული მოძრაობების

წაქეზების მიზეზს. მარტივად რომ ვთქვათ, პარტიზანული ომი არის ორგანიზებული აჯანყება გაბატონებული პირობების წინააღმდეგ, რომელსაც მკვიდრი მოსახლეობა განიხილავს როგორც მთლიანად ან ნაწილობრივ რეპრესიულს ან გაუცხოებულს. მას სიტყვებით, „პარტიზანული ოპერაციები მჩაგვრელსა და ჩაგრულებს შორის შეტაკების გარდაუვალი შედეგია, როდესაც ეს უკანასკნელნი მიაღწევენ თავიანთ გამძლეობას“.²

იმისათვის, რომ პარტიზანული ომი დაიწყოს და მოძლიერდეს, საზოგადოება უნდა იყოს დაუცველი ან ფლობდეს იმ პირობებს, რომლებიც საჭიროა წინააღმდეგობის მოძრაობის გასაგრძელებლად ან დასაწყებად. დაუცველობაზე რეაგირებამ შეიძლება შეაჩეროს წინააღმდეგობის გაწევის ნება ან გაზარდოს იგი. პასუხის გაცემის წესი ემყარება უამრავ სხვა ცვლადს, როგორცაა: მოსახლეობის ზოგადი განათლება, საზოგადოების ტრადიციული ღირებულებები და სტანდარტები, მთავრობის ხასიათი და ის, თუ რამდენად შეეგუება იგი განსხვავებულ აზრს. [27]

დაუცველი საზოგადოება არის უკმაყოფილო, რომელსაც აქვს სოციალური არეულობისა და პროტესტის დიდი პოტენციალი. პარტიზანულ ლიდერს შეუძლია ამ დაუცველი საზოგადოების შიგნით მოახდინოს მასობრივი მხარდაჭერის სტიმულირება და ორგანიზება, რომელიც აქცევს მათ პროტესტის პოტენციურ ენერგიას პარტიზანული ომის კინეტიკურ ძალეებად.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიზანული ომი მოიცავს მხოლოდ სამხედრო და გასამხედროებულ ოპერაციებს, უნდა აღინიშნოს, რომ ის არ შეიძლება იყოს იზოლირებული იმ პოლიტიკური განზომილებიდან, რომელსაც ემსახურება. კლაუზევიცის ომის სამება გამოიყენება როგორც დაბალი ინტენსივობის კონფლიქტსა და პარტიზანულ ომში, ისე ჩვეულებრივი კონფლიქტის დროს. მისი დებულება: „ომი არის პოლიტიკის

² Mao Tse Tung, Guerrilla Warfare, The Nautical and Aviation Publishing Company of America, Baltimore, MD: 1992, pp. 69

გაგრძელება სხვა საშუალებებით“, კიდევ უფრო მეტად ეხება არატრადიციულ კონფლიქტს. არატრადიციული კონფლიქტები არის პოლიტიკური ომები პირდაპირი მნიშვნელობით. ამრიგად, პარტიზანულ საქმიანობაზე სამხედრო პასუხის გაცემისას, სამხედრო მოქმედებები უნდა იყოს კოორდინირებული ეროვნული ძალაუფლების სხვა ინსტრუმენტებთან, რათა უზრუნველყოს კონფლიქტზე სინერგიული რეაგირება და გადაწყვეტა. ასიმეტრიული ომის ბუნების გასაგებად აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს პოლიტიკის, მოსახლეობისა და სამხედრო საქმიანობის ურთიერთდამოკიდებულებაზე და იმაზე, თუ როგორ ახდენს თითოეული ფაქტორი გავლენას ასიმეტრიული (პარტიზანული) ომის დინამიკაზე. [28]

ასიმეტრიულ ომში პარტიზანული მოძრაობის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი მისი პოლიტიკური არსია, რომლის საშუალებითაც პარტიზანები აღწევენ თავიანთ მიზნებს და შესაბამისად საბოლოო შედეგს. მაო წერდა იმის აუცილებლობის შესახებ, რომ არ დაკარგულიყო პოლიტიკური მიზანი, რადგან მის გარეშე პარტიზანული ომი არ შედგებოდა. იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური მიზნები არ დაემთხვეოდა ხალხის მისწრაფებებსა და მათ თანაგრძნობას, თანამშრომლობა და დახმარება შეუძლებელი იქნება.

პარტიზანული ომის საზოგადოებასთან ურთიერთობის მხარე ყველაზე ადვილად შეუმჩნეველია, რადგან ჩვენ ყველანი ვფიქრობთ, რომ ომი არის საკმაოდ პირდაპირი პროცესი დაპირისპირებული სამხედრო ძალების დამარცხებისა და წინააღმდეგობის გაწევის უნარის განადგურებისთვის. მაომ პირველადი აქცენტი გააკეთა მკვიდრი მოსახლეობის მხარდაჭერაზე ბრძოლისუნარიანი ფსიქოლოგიური კამპანიების ჩატარებით, რომელიც მან პარტიზანული სტრატეგიის მთავარ ასპექტად განსაზღვრა. ამგვარად, მასების მხარდაჭერის მოპოვება და შენარჩუნება ასიმეტრიულ ომში პარტიზანული მოძრაობის წარმატების წინაპირობას წარმოადგენს. [27]


კვლევის შედეგები და მათი შეჯამება

თავი II. ასიმეტრიული ომის საფუძვლები

2.1. სამხედრო სტრატეგიის ფორმირება

თავდაცვის ძალები უსაფრთხოების ერთიანი სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურაა. საფრთხეებზე რეაგირებისთვის მათი სწორი მართვა სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიის სფეროა. ამდენად, ომი თავისი არსით შეიძლება ორ ძირითად, პოლიტიკურ და სამხედრო, შემადგენლად დაიყოს. მის პოლიტიკურ შემადგენელს განსხვავებული მიზანი აქვს. თუ სტრატეგია მიზნის მიღწევის ხელოვნებაა, მაშინ ფიზიკური ძალის გამოყენება გენერალურ ბრძოლებში მოწინააღმდეგის არმიების განადგურების მიზნით ჯერ კიდევ არ არის სტრატეგია. მითუმეტეს, რომ შესაძლოა ამგვარი გამარჯვებითაც ვერ იქნას მიღწეული რეალური პოლიტიკური მიზანი, რის მაგალითი მრავლადაა მსოფლიოს ისტორიაში: ვიეტნამის ომი 1964-1975 წლებში, ავღანეთის ომი 1979-1989 წლებში, ჩეჩნეთის პირველი ომი 1994-1996 წლებში, ლიბანის მეორე ომი 2006 წელს და სხვ. [23]

სტრატეგიულ დონეზე ომი გულისხმობს ქვეყნის ეროვნული მიზნების მიღწევისთვის სამხედრო ძალების გამოყენებას, რომლებიც ინტეგრირებულია ქვეყნის სიძლიერის ინსტრუმენტებთან (იხ. ნახ. 4). ამ დონეზე სახელმწიფო, ხშირად ქვეყნების დაჯგუფების წევრის სახით, განსაზღვრავს ეროვნულ ან მრავალეროვნულ (ალიანსის ან კოალიციის) სტრატეგიულ მიზნებს და იყენებს ქვეყნის ძირითად რესურსებს.



ნახ. 4. სახელმწიფოს სიძლიერის ინსტრუმენტების სინქრონიზებული გამოყენება.

სამხედრო სტრატეგიული დონე გულისხმობს:

- ❖ ეროვნული და მრავალეროვნული სამხედრო მიზნების ჩამოყალიბებას;
- ❖ ინიციატივების თანამიმდევრობის დადგენას;
- ❖ სახელმწიფოს მიერ სამხედრო და სხვა სახის ინსტრუმენტების გამოყენების საზღვრების განსაზღვრასა და ამასთან დაკავშირებული რისკის შეფასებას;
- ❖ მიზნების მისაღწევად გლობალური მასშტაბის გეგმების ან საბრძოლო მოქმედებათა თეატრში განხორციელებული ომის გეგმების შემუშავებას;
- ❖ სტრატეგიული გეგმების შესაბამისად სამხედრო ძალებისა და სხვა შესაძლებლობების მიწოდებას.

საქართველოს სახელმწიფოს მაგალითზე შეიძლება აღინიშნოს, რომ სამხედრო სტრატეგიის ძირითადი პრინციპები ასახულია ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მთავარ სამხედრო-პოლიტიკურ დოკუმენტს. იგი ეფუძნება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას და ითვალისწინებს საფრთხეების შეფასების დოკუმენტს. მასში გათვალისწინებულია მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ელემენტის გამოყენების მეცნიერება და ხელოვნება ეროვნული ინტერესების დაცვისა და უზრუნველყოფისათვის. [29]


თანამედროვე დასავლური სამხედრო თეორეტიკოსების მოსაზრებით, ეროვნული სტრატეგიის ფორმირება გულისხმობს პროცესს, რომელიც მიზნების, ხერხებისა და საშუალებების გამოყენებაზეა დაფუძნებული. აქვე აღვნიშნავთ, რომ არის გარკვეული პრინციპული განსხვავება ტერმინის საბჭოურ და ამერიკულ შინაარსებს შორის.

რუსული სამხედრო თეორეტიკოსების მოსაზრება გამომდინარეობდა მსოფლიოს მკვეთრად იდეოლოგიური ხედვიდან. საბჭოთა სტრატეგიები დოქტრინულ დოკუმენტებს ქმნიდნენ არა იმდენად საზოგადოების რეალური ინტერესების გათვალისწინებით, არამედ მმართველი პარტიის

უკომპრომისო პროგრამის მიხედვით: „ომის წარმოება მოწინააღმდეგის საბოლოო განადგურებამდე და სოციალიზმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით გამარჯვებამდე“. [20]

ოფიციალურად ამგვარი მიდგომა დომინირებდა მას შემდეგაც კი, როდესაც იგი სავსებით ცხადად აღარ შეესაბამებოდა რეალურ საგარეო პოლიტიკურ პრაქტიკას. სწორედ ამ ხისტმა მიდგომებმა განაპირობეს ოპერატიულ-სტრატეგიული კონცეფციებისა და გეგმების ხასიათი, შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და შემადგენლობა, დისლოკაცია და განლაგება. ალბათ არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ საბჭოური სამხედრო აზროვნება კლავიზაციისეულ ძველ პრუსიულ სკოლას ეყრდნობოდა.

ამდენად, ის, რასაც ამერიკელები დიდ სტრატეგიას უწოდებენ, გამოიხატება ფორმულაში: სახელმწიფო ინტერესები პლუს ხერხები და საშუალებები. საბჭოთა სკოლის მიხედვით, სახელმწიფო ინტერესების სიხისტის გამო უგულებელყოფილი იყო სახელმწიფოს საშუალებები და ხერხები. მეტიც, იგი შთანთქმული იყო აგრესიული იდეოლოგიის მიერ და არ ითვალისწინებდა საზოგადოების რეალურ ინტერესებს. სტრატეგია საბჭოური სკოლის მიხედვით უფრო დოგმაა, ანგლოსაქსური სკოლის მიხედვით კი – პროცესი. ამის თვალნათლივ გამოსახატავად შეგვიძლია მოვიშველიოთ გრაფიკული გამოსახულება (ნახ. 5).



ნახ.5. სტრატეგიის პირამიდა

როგორც ნახაზიდან ჩანს, სტრატეგია, ზოგადად, პოლიტიკური ინტერესების მიღწევის, ომის წარმოების ფორმირებისა და ხერხების, საჭირო საშუალებებისა და რესურსების ვექტორების გადაკვეთის მწვერვალზე ფორმირდება. რაც მეტია პირამიდის მოცულობა, მით მეტია სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში. ამავე დროს, მოცემული ვექტორები ერთმანეთის უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. კერძოდ, ინტერესების ვექტორის გაზრდა მოითხოვს რესურსების გაზრდას. რესურსების გაზრდა შესაძლებელია გადასახადების გაზრდით, გადასახადების გაზრდა კი თავისთავად ემუქრება მოსახლეობის მატერიალურ მდგომარეობას ანუ ინტერესებს. ასევეა ხერხების ვექტორი, რომელშიც იგულისხმება მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების ფორმები, მაგალითად, თავდაცვის ნაცვლად – შეტევა, ძალის დემონსტრირების ნაცვლად – დარტყმის მიყენება, მცირემასშტაბიანი მოქმედებების ნაცვლად – მსხვილმასშტაბიანი ოპერაცია. შესაბამისად, აღნიშნული მოქმედებების ცვლილება გამოიწვევს ხარჯების გაზრდას, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს რესურსებს და შესაბამისად – ინტერესებს. [23]

დღეისათვის ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო ხელოვნებაში ფართოდ გამოიყენება აშშ-ის არმიის ომის კოლეჯის პროფესორის, გადამდგარი პოლკოვნიკის, არტურ ფ. ლიკე უმცროსის მიერ სამხედრო სტრატეგიის შემუშავების მიზნების, საშუალებებისა და გზების (Ends, Ways, Means) თეორია. მან 1989 წლის მაისში გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით „სამხედრო სტრატეგიის განსაზღვრა“, რომელშიც აღწერა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბებულიყო სამხედრო სტრატეგია. მისი აზრით, სწორედ მიზნების, გზების და საშუალებების ანალიზით გაეცემოდა პასუხი კითხვას – რა იყო მოქმედების სტრატეგია. მის მიერ ჩამოყალიბებული თეორია დღესდღეისობით კვლავ რჩება სამხედრო და ასევე არასამხედრო სტრატეგიის შემუშავების საუკეთესო საშუალებად (იხ. ნახ. 6). [20]




ნახ. 6. სტრატეგიის შემუშავების მეთოდი საშუალების, ხერხის და მიზნის გამოყენებით

2.2. ასიმეტრიული ომის სტრატეგიის ოპტიმალური მოდელი

სამხედრო სფერო მუდმივად ვითარდება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია XVIII-XIX საუკუნეები, როდესაც ჩამოყალიბდა პირველი კლასიკური სამხედრო სტრატეგიები. ისინი მორგებული იყო ძირითადად კონვენციური საბრძოლო მოქმედებებს ტიპებზე. ამ პერიოდის ცნობილმა სამხედრო თეორეტიკოსებმა: კარლ ფონ კლაუზევიცმა, ჰენრი ჟომინმა, ჰენრი დიტრიხ ბიულოვმა, მოლტკე უფროსმა და სხვებმა, ყველაზე უკეთ ჩამოაყალიბეს კლასიკური სტრატეგიის ბუნება და არსი, ამიტომ მათ სამხედრო სტრატეგიის მამამთავრებად მოიხსენიებენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაპოლეონის როლი, რომელმაც თავისი მიღწევებით ამ პერიოდის ომებში დიდი გარდატეხა მოახდინა, რაც დღემდე შესაბამისი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. [11]

კლასიკური სტრატეგიები სამხედრო მოქმედებების მხოლოდ თეორიულ ნაწილს არ წარმოადგენს. ეს იმ ცნობილი სამხედრო მოღვაწეების გამოცდილებაა, რომელთაც საკუთარი პრაქტიკის გამოყენებით შექმნეს გამოფიტვისა და განადგურების სტრატეგიების თეორიები. განმარტების გარეშეც კი შესაძლებელია ზემოთ აღნიშნული სტრატეგიების შესახებ მნიშვნელოვანი წარმოდგენის შექმნა, თუმცა მათი საფუძვლიანად განხილვა

(იხ. ნახ. 7) უფრო ნათლად წარმოაჩენს მათ შორის განსხვავებასა და ასიმეტრიულ ომში გამოყენების მიზანშეწონილობას. [8]



ნახ. 7. გამოფიტვის და განადგურების სტრატეგიები

განადგურების სტრატეგია მიზანად ისახავს, ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით გამოიწვიოს ან აიძულოს მტერი გამართოს გადამწყვეტი ბრძოლები მოწინააღმდეგის ძალების სრული განადგურების მიზნით. განადგურების სტრატეგიის ძირითადი იარაღი გენერალური ბრძოლაა. გამოფიტვის სტრატეგია ითვალისწინებს მოწინააღმდეგის ძირითად ძალებთან გენერალური ბრძოლების თავი არიდებას. იგი წარმართება მოწინააღმდეგის სუსტი წერტილების მონახვით და მათზე ზემოქმედებით. [23]

ზოგ შემთხვევაში მოწინააღმდეგე ძალის მოქმედებები მიმართულია გენერალური ბრძოლისაგან თავის არიდებაზე ან დაზავებაზე, რაც მეტყველებს იმაზე, რომ იგი არ იყენებს განადგურების სტრატეგიას და აღიარებს მოწინააღმდეგის უპირატესობას. აქვე აღსანიშნავია, რომ გამოცდილი მთავარსარდლები, რომლებმაც იციან როგორც საკუთარი, ასევე მტრის შესაძლებლობები, არასდროს დასთანხმდებიან ზავს, თუ მოწინააღმდეგეს შედარებით დიდი უპირატესობა არ გააჩნია. ხშირ შემთხვევაში განადგურების სტრატეგია ომის მოგების ერთადერთი გზაა. მაგალითად, 1918-1921 წლების საქართველო-რუსეთის ომში მტრის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს სამხედრო ძალების განადგურება, რაც

მას უხსნიდა გზას ქვეყნის დასაპყრობად და, შესაბამისად, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. [21]

როგორც აღვნიშნეთ, ძლიერი და დიდი ქვეყნის მთავარი მიზანი მოწინააღმდეგის განადგურებაა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მოწინააღმდეგის უპირველეს ამოცანას, გარდა ქვეყნის სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურის განადგურებისა, იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების დემორალიზება და განიარაღება. ეს მაგალითი აჩვენებს, რომ, განადგურების სტრატეგიის თანახმად, თუ სამხედრო ძალებს შეუძლიათ წინააღმდეგობის გაწევა ბრძოლაში, ის მტრის მთავარი სამიზნეა. [13]

თანამედროვე ომებიდან გამოფიტვის სტრატეგიის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთში წარმოებული ომი. ამ ომში ავღანელები იყენებდნენ განსხვავებულ ტაქტიკას, როგორც მცირე ზომის ქვედანაყოფებით პარტიზანულ ბრძოლებს, ასევე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. ასეთმა ტაქტიკურმა მოქმედებებმა აიძულა მოწინააღმდეგე დაეხარჯა დიდი სამხედრო რესურსი, რამაც საბოლოო ჯამში უარი ათქმევინა ბრძოლაზე. ამკარაა, ზემოთ აღნიშნულმა სტრატეგიამ სამხედრო შესაძლებლობებით აღმატებულ მტერთან ბრძოლაში გაამართლა. [23]

განადგურების სტრატეგიის მაგალითია ნატოს კოალიციური ძალების მხრიდან 1991 წელს ერაყში განხორციელებული ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის საბრძოლო პოტენციალის განადგურება. ეს იყო კონვენციური ტიპის ომი, რომელშიც ძალებით აღმატებულმა მხარემ (კოალიციურმა ძალებმა) გამოიყენა განადგურების სტრატეგია და მიზანსაც მიაღწია. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ განადგურების სტრატეგია ყოველთვის არის ძლიერი მხარის სწორი არჩევანი. [30]

გამოფიტვის სტრატეგიის თვალსაჩინო მაგალითია გიორგი სააკაძის ბრძოლები სპარსეთის წინააღმდეგ. იგი არ ემხრობოდა მტერთან პირდაპირ შეხებას, როდესაც სხვა გამოსავლის მოძებნა შეიძლებოდა. მას მიაჩნდა, რომ

მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებითა და ხელსაყრელი პოზიციების დაკავებით მცირე ძალებსაც შეეძლოთ აღმატებული მოწინააღმდეგის დასუსტება, რასაც იგი წარმატებით ახორციელებდა. ამის მაგალითია 1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ბრძოლაში გიორგი სააკაძის გამარჯვება. ამავე წლის 1 ივლისს მარაბდის ველზე მისი სტრატეგიული ხედვის გაუთვალისწინებლობის გამო დამარცხდა ქართველთა ჯარი. მას მიაჩნდა, რომ სიცხეში და გაშლილ რელიეფზე მოწინააღმდეგე შეძლებდა რიცხოვრივი უპირატესობის გამოყენებას. მიუხედავად ქართველთა მარცხის, მომდევნო დღეებში ქსნის ხეობაში ირანელთა 12-ათასიანი ლაშქარი სრულად განადგურდა პარტიზანული ბრძოლებით. ჯამში, ასეთი მოქმედებებით ქართლ-კახეთის წინააღმდეგ წარმოებულმა ძირითადმა ბრძოლებმა სპარსეთის 120- ათასიანი ლაშქარი გაანახევრა. [11]

გამოფიტვის სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა ფორმაა პარტიზანული მოქმედება. ამგვარი მოქმედებები მიმდინარეობს მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების ზურგში. მიჩნეულია, რომ პარტიზანული მოქმედებები სათავეს იღებენ ესპანური გერილიადან. კერძოდ, 1808 წელს, როდესაც ნაპოლეონმა დაიპყრო ესპანეთი და ხელისუფლებამ ომი დამთავრებულად ცნო, ადგილობრივ მოსახლეობაში სპონტანურად იფეთქა აჯანყებამ საფრანგეთისა და მისი მარიონეტული ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყება ომში გადაიზარდა, რომელიც 6 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცვა მთელი ესპანეთი. ნაპოლეონის წინააღმდეგ ასევე 1812 წელს ჩამოყალიბდა მძლავრი პარტიზანული მოძრაობა. ესპანეთისაგან განსხვავებით, რუსეთს მასთან კაპიტულანტურ ზავზე ხელი არ მოუწერია და პარტიზანული მოქმედებების შედეგადაც ნაპოლეონი საბოლოოდ დამარცხდა.

ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პარტიზანულმა მოძრაობამ ამერიკელების წინააღმდეგ ვიეტნამში. ოლონდ ამ შემთხვევაში ჩრდილოეთ ვიეტნამი (ფაქტობრივად, სულ სხვა სახელმწიფო) ებრძოდა სამხრეთ ვიეტნამს, სინამდვილეში, ამერიკის შეერთებულ შტატებს. სტრატეგიამ

გამართლა და ჩრდილოეთ ვიეტნამმა განდევნა ამერიკელები სამხრეთ ვიეტნამიდან და შეიერთა იგი. [12]

პარტიზანული მოქმედებები, როგორც ომის წარმოების ძირითადი ფორმა, შემუშავებული აქვთ შვეიცარიელ სამხედრო თეორეტიკოსებს, რომლებიც გამოიყენებენ ტოტალურ დაცვას როგორც შეკავების სტრატეგიას. ის შედგება ოთხი განზომილებისგან: სამხედრო, სამოქალაქო, ინფორმაციული და ფსიქოლოგიური. თავდაცვის გეგმის შესაბამისად შვეიცარიული თავდაცვის ძალები პირველები ერთვებიან ბრძოლაში, ხოლო შემდეგ სამოქალაქო პირები უერთდებიან მათ. იმისათვის, რომ მათი ურთიერთქმედება წარმატებული იყოს, შემუშავებული აქვთ შესაბამისი თეორიული ნაშრომები ტაქტიკაში, ასევე რჩევები და ინსტრუქციები როგორც შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის, აგრეთვე რიგითი მოქალაქეებისათვის. [20]

პარტიზანული მოქმედებების მაგალითები ძალიან ბევრია. განვიხილოთ ოთხი განსხვავებული ფორმის პარტიზანული მოქმედება:

1. ესპანური გერილია (ესპ. ომი) უკვე დაპყრობილ სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლებიდან მართვის გარეშე (მეტიც – მისი ნების საწინააღმდეგოდ) პარტიზანული მოძრაობის სპონტანურად წარმოშობის მაგალითია. აქ არ არის მოწინააღმდეგის ზურგი, ვინაიდან ომი ხელისუფლების მიერ საბოლოოდ დამთავრებულია, მეომარი მოწინააღმდეგე აღარ არსებობს, ხოლო სხვა ქვეყნის ჯარები ხელისუფლებასთან ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე განფენილია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;

2. რუსული პარტიზანული მოძრაობა ნაპოლეონის წინააღმდეგ არის მოწინააღმდეგის მიერ მეორე სახელმწიფოს დაპყრობილ ტერიტორიულ ნაწილზე მოქმედებების სპონტანურად აფეთქების მაგალითი. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა, რომ პარტიზანული მოქმედებები მართული თუ არა, კოორდინირებული მაინც იყოს ცენტრიდან, ხოლო შედეგები, უშუალოდ გამოყენებული თუ არა, გათვალისწინებული მაინც.

3. ვიეტნამის შემთხვევა იმის ნათელი მაგალითია, თუ რამდენად არის შესაძლებელი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე პარტიზანული მოქმედებების

ინსპირირება, აქტიური მხარდაჭერის შედეგად ომის მოგება და ტერიტორიების დაკავება.

4. შვეიცარიის მაგალითი გამოკვეთს შემთხვევას, რომ შესაძლოა სახელმწიფომ თავდაცვის სისტემა ააგოს მთლიანად პარტიზანული სტრატეგიის საფუძველზე, რაც კოორდინირებულად სამხედრო ძალებისა და სამოქალაქო პირების პარტიზანებად გამოყენების საშუალებას იძლევა.

ნიშანდობლივია, რომ პარტიზანული მოქმედებების სტრატეგია თავისი არსით მოიცავს დივერსიის ელემენტებსაც. მიუხედავად ამისა, 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის კონვენციის საფუძველზე ტყვე პარტიზანი გათანაწორებულია ჩვეულებრივ სამხედრო ტყვესთან და სარგებლობს შესაბამისი უფლებებითა და პრივილეგიებით. [31]

ასევე აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სტრატეგიებში ერთბაშად დიდი რაოდენობის მსხვერპლის შესამცირებლად გამოფიტვის სტრატეგიას უკვე იყენებენ დიდი სახელმწიფოებიც, რათა უფრო მოქნილი და მანევრული სტრატეგიით, ნაკლები დანაკარგებით მიაღწიონ შედეგს. ასევე მიიჩნევა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს თავისი შესაძლებლობები განადგურების სტრატეგიამ ამოწურა. [20] აღნიშნული მოსაზრება თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების კომპლექსურობიდან გამომდინარეობს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2022 წლის ომი უკრაინაში, როდესაც სამხედრო მოსამსახურეებითა და შეიარაღებით აღმატებულმა რუსეთის ფედერაციის არმიამ გამოიყენა გამოფიტვის სტრატეგია. მისი არსი მდგომარეობდა მოწინააღმდეგის სამხედრო და ეკონომიკური შესაძლებლობების დასუსტებაში, რასაც უნდა დაეთრგუნა წინააღმდეგობის გაწევის უნარი. შექმნილი გარემოება აიძულებდა უკრაინას დათანხმებულიყო კაპიტულაციურ ხელშეკრულებას.

აქიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გამოფიტვის სტრატეგიის განხორციელებას ართულებს დროში გაწელილი მოქმედებები და მოითხოვს მეტ განსჯას. შესაბამისად, სუსტ ძალას უჩნდება შესაძლებლობა თავი აარიდოს მტერთან გენერალურ ბრძლაში ჩართვას და ასიმეტრიული

მოქმედებების ტაქტიკით, პარტიზანების გამოყენებით დაამარცხოს მოწინააღმდეგე.

2.3. წინააღმდეგობის მოძრაობის სტრატეგია

ასიმეტრიული ომის სტრატეგიის პოლიტიკური ასპექტის კრიტიკული ელემენტია „ხალხის გულისა და გონების მოგება“ (მაო ძე დუნი), რაც მიიღწევა ინტენსიური ინფორმაციული და პროპაგანდისტული კამპანიებით. ეს ძალისხმევა პოლიტიკური რეჟიმის შესასუსტებლად ხორციელდება საბრძოლო მოქმედებების ყველა ეტაპზე და გრძელდება შეწინააღმდეგების უნარის მოსპობამდე. შესაბამისი წინააღმდეგობის მოძრაობისთვის ვარიაციები შემუშავებულია ბარდ ო'ნილის მიერ, რომელმაც ჩამოაყალიბა ბრძოლის მემარჯვენე, მემარცხენე და მასობრივი სტრატეგიები. [24]

მემარჯვენე სტრატეგია აღწერილია, უპირველეს ყოვლისა, როგორც პოლიტიკური სტრატეგია, რომლის მიზანი არის პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციებში შეღწევა. გამოიყენება პროპაგანდა, რაც ზოგჯერ თან ახლავს საბოტაჟსა და დივერსიას ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, მაგრამ ძალადობას უმეტესად თავს არიდებს და მცირე ყურადღება მახვილდება შეიარაღებული ელემენტების ფორმირებაზე. ეს სტრატეგია გულისხმობს კოალიციების ორგანიზებას, კონტროლს და ძალების გამოყენებას პოლიტიკურ ორგანიზაციებზე გავლენის მოსახდენად და პოზიციის გასამყარებლად, რაც იძლევა მთავრობის გამოწვევის საშუალებას. ასევე, მემარჯვენე სტრატეგიის მიზანია გამოიწვიოს სამთავრობო კრიზისი, გაზარდოს აჯანყებულთა ძალა და საბოლოოდ ხელში ჩაიგდოს ხელისუფლება, როდესაც საკმარისად დასუსტდება და დისკრედიტირდება. [32]

მემარცხენე სტრატეგია შექმნილია რევოლუციური სიტუაციის შესაქმნელად, განსაკუთრებით ძალადობის აქტების საშუალებით. ხელისუფლების წინააღმდეგ მასების უეცარი აჯანყების წახალისების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტული ინციდენტი. ეს კონკრეტული სტრატეგია იყენებს პარტიზანულ ლიდერებს ორმაგი

(პოლიტიკური და სამხედრო) როლით. მცირედი ყურადღება ექცევა მასობრივი ორგანიზაციების ფორმალურ განვითარებას.

მასობრივი სტრატეგია, ბარდ ო'ნილის მიხედვით, არის მასობრივი მობილური ომის გაჭიანურებული სტრატეგია, რომლის მთავარი მიზანია მასების ორგანიზება. მას ახასიათებს პარტიული კომპლექსური სტრუქტურა, რომელიც დაფუძნებულია გადაკეტილი მექანიზმების წარუმატებელ „უჯრედულ სისტემაზე“ და გამოიყენება პარტიზანული მოძრაობის ყველა ასპექტის გასაკონტროლებლად.


აღნიშნული სტრატეგიებისთვის სისტემა შექმნილია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონკრეტული უჯრედის წევრებს შეეზღუდოთ ამ უჯრედის სხვა წევრებთან კომუნიკაცია, რათა თავიდან აიცილონ სხვა უჯრედების კომპრომატირება დატყვევების შემთხვევაში. ანალოგიურად, ქვედანაყოფის ლიდერებს უშუალო კონტაქტი აქვთ პერსონალთან მხოლოდ მათ სამეთაურო ჯგუფში, ანუ უშუალო ზემდგომებსა და ქვეშევრდომებთან.

წინააღმდეგობის მოძრაობის სტრატეგიის გამაძლიერებელ ფაქტორად გამოიყენება ასიმეტრიული ომი, რომელიც ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. შესაბამისად, პროპაგანდისტული კამპანიები არის მასობრივი მხარდაჭერის მობილიზაციის განუყოფელი ნაწილი. იგი მიმართულია აგრესორი სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი მთავრობის წინააღმდეგ უკმაყოფილების გაზრდისკენ. პარტიზანები აძლიერებენ მოსახლეობის მობილიზაციას და სთავაზობენ დამოუკიდებლობას, როგორც ყველა პრობლემის მოგვარების მთავარ გზას. [11]

ფსიქოლოგიური ეფექტის მისაღწევად, როგორცაა მთავრობის ლეგიტიმურობის შელახვა და უუნარობა, გამოიყენება დივერსია, მკვლევლობები, რომელთა მაგალითები მრავლად მოიპოვება ბოლო პერიოდში ავღანეთში და ერაყში წარმოებულ ომებში. ეს ქმედებები ასევე ემსახურება მთავრობის მიმართ იმედაცრუებას, რომელიც შემდეგ პარტიზანებს აიძულებს მიმართონ ძალადობას მოსახლეობის მხრიდან არალეგიტიმურად აღქმული ხელისუფლების წინააღმდეგ.

2.4. საბრძოლო ფუნქციების გამოყენება ასიმეტრიულ ომში

ბრძოლებში წამატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია საბრძოლო ძალის ფორმირება და მისი სწორი გამოყენება. ამ ძალაში შედის ექვსი საბრძოლო ფუნქცია: მართვა და კონტროლი, გადაადგილება და მანევრი, ცეცხლი, დაზვერვა, უზრუნველყოფა, დაცვა. ისინი გაძლიერებულია ლიდერობით და შევსებულია ინფორმაციით (იხ. ნახ. 8). მეთაურები იყენებენ საერთო-საჯარისო შენაერთებს, რათა გაზარდონ საბრძოლო ძალის ზემოქმედება დამატებითი და გამაძლიერებელი შესაძლებლობების მეშვეობით. განსაზღვრული მიზნისთვის ძალების მორგებით, დავალების შესაბამისად ძალების ორგანიზებითა და ურთიერთმხარდაჭერით სახმელეთო ძალები ქმნიან საერთო-საჯარისო შენაერთებს.



ნახ. 8. საბრძოლო ძალის ელემენტები.

ქვედანაყოფები, მიუხედავად ტიპისა, ქმნიან და/ან ინარჩუნებენ საბრძოლო ძალას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ოპერაციების წარმატებით ჩატარებას. შესაბამისად, მეთაურებმა უნდა უზრუნველყონ სახმელეთო კომპონენტები, რომ მათ ის პოტენციური საბრძოლო ძალა ჰქონდეთ, რომლითაც შეძლებენ სრული სპექტრის ოპერაციების წარმოებას. შესაბამისად, სახმელეთო ძალები ახორციელებენ საბრძოლო ძალების შერწყმას მტრის დასამარცხებლად და ვითარების გასაკონტროლებლად.

მეთაურები აბალანსებენ არალეტალური და ლეტალური მასირებული ზემოქმედების უნარიანობას, ასევე ქვედანაყოფების გაშლისა და უზრუნველყოფის საჭიროებებს ამოცანის სწრაფად შესრულებლად. [10]

მთელი ასიმეტრიული ოპერაციის განმავლობაში საბრძოლო ძალის შექმნა და შენარჩუნება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია წარმატებისთვის. მეთაურები ამოცანის შესაბამისად აყალიბებენ დაკომპლექტებულ დაჯგუფებებს, რათა მაქსიმალურად გაზარდონ საწყისი მებრძოლი ძალების შესაძლებლობები. მეორე ეშელონის ქვედანაყოფები ზრდიან მოქმედებების ხანგრძლივობას და იძლევიან სიღრმეში მოქმედების შესაძლებლობას. საბრძოლო ძალის შექმნას ხელს უწყობს ბევრი ფაქტორი, სახელდობრ:

- რეზერვის გამოყენება;
- ერთობლივი მხარდაჭერის კონცენტრირება;
- ბრძოლაში ჩაბმული ძალების როტაცია;
- უზრუნველყოფის საშუალებების მომზადება მოქმედებების ტემპისა და სინქრონიზაციის შესანარჩუნებლად.

„საბრძოლო ძალა არ არის რიცხოვრივი სიდიდე. მისი შეფასება შესაძლებელია, მაგრამ არ შეიძლება მისი გამოთვლა“³. საბრძოლო ძალა ყოველთვის ფარდობითია. მას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პირობებსა და მოწინააღმდეგის შესაძლებლობებთან მიმართებაში, აგრეთვე მხოლოდ დროის იმ მომენტსა და სივრცის იმ წერტილში, სადაც ის გამოიყენება. გარდა ამისა, ის, თუ როგორ ქმნის და იყენებს საბრძოლო ძალას მოწინააღმდეგე, შეიძლება პრინციპულად განსხვავდებოდეს იმისაგან, თუ როგორ აკეთებს ამას ჩვენი სახმელეთო კომპონენტი. საბრძოლო ძალა ნებისმიერი ოპერაციის დაწყებამდე არის არარეალიზებული პოტენციალი, რომელიც ლიდერების მეშვეობით გარდაიქმნება მოქმედებად. ინფორმაცია გამოიყენება საბრძოლო ფუნქციების დავალებების შესასრულებლად, მოქმედების სრულყოფისა და

³ FM 3-0 Operations, აშშ, 2017.

ოპერატიული გარემოს ფორმირებისთვის. საბრძოლო ძალა იძენს გადაწყვეტ მნიშვნელობას, როდესაც მას იყენებენ გამოცდილი მეთაურები, რომლებიც ხელმძღვანელობენ გაწვრთნილ ჯარისკაცებსა და ქვედანაყოფებს, ასევე სამოქალაქო მოსახლეობით დაკომპლექტებულ პარტიზანულ რაზმებს. საბოლოოდ მეთაურები წარმატებას მიაღწევენ გადაწყვეტ დროსა და ადგილას აღმატებული საბრძოლო ძალის გამოყენებით. [10]

ლიდერობა ვრცელდება როგორც ჯარისკაცებზე, ისე საბრძოლო ფუნქციებზე. ლიდერობა საბრძოლო ძალის გამამდიერებელი და გამაერთიანებელი ელემენტია. თავდაჯერებული, კომპეტენტური და ინფორმირებული ლიდერი ზრდის საბრძოლო ძალის ყველა სხვა ელემენტის ეფექტურობას ოპერატიული იდეების მკაფიო ფორმულირებითა და სამხედრო ძალებში დისციპლინისა და მოტივაციის უზრუნველყოფით. ეფექტურ ლიდერობას საბრძოლო ფუნქციების შესრულებისას შეუძლია ნაკლოვანებების კომპენსირება, ვინაიდან ის საბრძოლო ძალის ყველაზე დინამიკური ელემენტია და, პირიქით, ცუდ ლიდერობას შეუძლია გააქარწყლოს უპირატესობა საბრძოლო შესაძლებლობებში. ლიდერები ადამიანებს აძლევენ მოტივაციას, რათა შეასრულონ მოქმედებები, მოახდინონ აზროვნების კონცენტრირება და მიიღონ გადაწყვეტილებები ისე, რომ სარგებლობა მოუტანონ თავიანთ ორგანიზაციულ ერთეულს, ჯარისკაცებს უნერგავენ გამარჯვების ნებას.

საბრძოლო ფუნქცია არის ჯგუფი დავალებებისა და სისტემებისა, რომელთაც აქვთ საერთო მიზანი და რომლებსაც მეთაურები იყენებენ ამოცანების შესასრულებლად და სასწავლო მიზნების მისაღწევად. მეთაურები საბრძოლო ფუნქციების საშუალებით აიოლებენ ბრძოლის მართვას. გადამწყვეტი, მაფორმირებელი და უზრუნველყოფის ოპერაციები აერთიანებენ ყველა საბრძოლო ფუნქციას საბრძოლო ძალის შესაქმნელად. არც ერთი საბრძოლო ფუნქცია არ არის მხოლოდ გადამწყვეტი, მაფორმირებელი ან უზრუნველმყოფი. ასიმეტრიულ ომში სამხედრო

შესაძლებლობის გათვალისწინებით საბრძოლო ფუნქციების გამოყენება მოითხოვს ინკლუზიურ მიდგომას, რაც ხშირ შემთხვევაში განსხვავდება კლასიკურ საომარ მოქმედებებში მათი გამოყენებისგან. [21]

ასიმეტრიულ ომში საბრძოლო ფუნქციების გამოყენების შესაძლებლობის ანალიზი გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. შესაბამისად მნიშვნელოვანია გავაკეთოთ პროგნოზი, საბრძოლო ფუნქციების რომელი დავალებები შეიძლება გახდეს მოწყვლადი (იხ. ცხრილი 2). აღნიშნულის გათვალისწინებით, მეთაურებს შესაძლებლობა ექნებათ გაატარონ საჭირო ღონისძიებები საბრძოლო ძალის შესანარჩუნებლად.

გადადგენა და მანქანი	დაზერა	ცეხლი	ძალიადევა	უზრუნველყოფა	ამოცანათმართვა
გადაადგენლობა	ძლიერის ფორმირების მართვა	მარტის მართვა	სასერი-სარაკეო ოდედევა	ტექ. მომხმურება ტრანსპორტორტა.	სამდგრო შედედომში შედედმანის გამხორციელება
მანქანი	ფორტანში გარკვევის მართვა	მარტის აღმარტა და ადედმდეტ. დადეტა	მმ მრამდისუნ. ადედეტა	მომხმურება	სამხმდეტო სკეო. ოტრაციტის
მარტდამრო ცეხლი	დაზ. ოდედოდეტ რკეო. მარტრტა	სდეტბლე მართვა	ოტრაციტის უსარტობოტა	სდეტე მომხმურება	ტდეტის ომტადეცა, გამხორტე და დდეტეოტორტა
რაციონის დაკეტა	მარტმდე შედეტ. დადეტევის მართვა	დედეტეობის შედეტა	სდეტეობი ძლიერის უტბლე დარტანტის ოდედეტან ადეტა	შოდეტე სინტონო უზრუნველყოტა	სასერი სდეტის კონტროლი
მომხმურების დე კონტროლი		არდეტეალური ცეხლი	რტბ დადეტა	მმხმდეტეოტობის მომხმურება	ინფორმაციის დადეტა
მრამდის ცეტეო ხდედეტობის გარტრტეტა.			სდეტედეტეოტონო-მარტა	ჯანმდეტობის დადეტა	

მოწყვლადობა				
დაბალი		სამუტალი	მაღალი	

ცხრილი 2. მოწყვლადობის მიხედვით საბრძოლო ფუნქციების დავალებები.

მართვა და კონტროლის საბრძოლო ფუნქცია ურთიერთკავშირში მყოფი სისტემები და დავალებებია. ისინი მეთაურს ხელმძღვანელობასა და უფლებამოსილების შესრულებაში ეხმარება. მასში ერთიანდება იმ ტიპის დავალებები, რომლებიც უკავშირდება საკუთარი ძალების შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, ღირებული ინფორმაციის მართვას, დაქვემდებარებულების ხელმძღვანელობასა და მართვას. მათი მეშვეობით

მეთაურები ახორციელებენ ამოცანის შესრულების მიზნით საბრძოლო ფუნქციების ინტეგრირებას. [33]

ასიმეტრიულ ომში ქვედანაყოფების მეთაურები და შტაბები აანალიზებენ, სად და როგორ დაამარცხონ მოწინააღმდეგე. წარმატების მისაღწევად მეთაურმა შეიძლება განსაზღვროს დამარცხების მექანიზმი, რაშიც ერთი ან რამდენიმე კონტრშეტევის წარმოება შედის. ბრძოლაში თავიანთი ქვედანაყოფის როლის გაანალიზების შემდეგ, დაქვემდებარებული მეთაურები და შტაბები გეგმავენ, როგორ მიაღწიონ წარმატებას. ასიმეტრიულ (პარტიზანულ) ბრძოლებში დაბრკოლებებისა და ცეცხლის ეფექტების თავმოყრით ოპერაციის რაიონში მიიღწევა მოწინააღმდეგის დამარცხება. ეს პროცესი ხშირად ზემდგომი ეშელონის კონტრშეტევის პარალელურად მიმდინარეობს. დაყოვნების ოპერაციაში კი, მეთაური წარმატებას რამდენიმე მოქმედების კომბინაციით მოიპოვებს. ესენია: მანევრი, ცეცხლით მხარდაჭერა, დაბრკოლებების აღმართვა და შესაფერისი დროის დადგომამდე ან ზემდგომი ეშელონის კონტრშეტევისთვის ბრძოლის ველის მოწყობამდე გადამწყვეტი შეტაკების თავიდან აცილება. [27]

რეგიონების მიხედვით მოქმედმა ძალებმა საბრძოლო ჯგუფის ძალთა სტრუქტურა ისე უნდა ააწყონ, რომ თავდაცვის დავალების შესრულება გაუადვილდეთ. ოპერაციების კონცეფციის წარმოსახვისა და აღწერისათვის საბრძოლო ჯგუფის მეთაური და შტაბი ოპერატიულ მონახაზს იყენებენ.

ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედ ძალებს საბრძოლო ოპერაციების ჩატარება ხშირ შემთხვევაში მოუწევს ურთიერთმხარდამჭერი სასროლი მანძილის მიღმა. ამ შემთხვევაში თავდაცვის ოპერაციების ჩასატარებლად საჭიროა ქვედანაყოფების მეთაურისა და მისი შტაბის გონივრული მუშაობა, რათა განისაზღვროს მხარდამჭერი საშუალებების განლაგება, პრიორიტეტები და შესაძლებლობები. ადგილმდებარეობის ანალიზის დროს მეთაურმა და შტაბმა დაკვირვებით უნდა შეისწავლონ საკვანძო და გადამწყვეტი ადგილმდებარეობა, ბრძოლაში ჩაბმის რაიონები, მომწყვდევის

პუნქტები, ურთიერთხედვის ხაზები და უკანა ფერდობის შესაძლებლობები, რათა სრულად ისარგებლონ საცეცხლე ძალის მასირების უპირატესობით თავდაცვითი მანევრების მხარდასაჭერად. [21]

ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედი ქვედანაყოფებისთვის ოპერაციების რაიონის გამოყოფის შემდეგ ძალებს შორის მოწინააღმდეგის შესაძლო თავისუფალი მოქმედების ადგილები უნდა განსაზღვროს და დაიგეგმოს რეკოგნოსცირება როგორც პარტიზანების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის საშუალებებით. მეთაურებმა ასევე უნდა გაითვალისწინოს კონტაქტში არმყოფი ქვედანაყოფების გადაადგილება თავდამსხმელი მოწინააღმდეგის მისამართით საბრძოლო ძალის ეფექტების თავმოყრისთვის.

რეგიონული წინააღმდეგობის მოძრაობის ძალების მეთაურებმა უნდა განსაზღვრონ ბრძოლაში ჩაბმის რაიონები, სადაც ყველა ხელთარსებული შეიარაღებისა და მხარდაჭერის სისტემის ეფექტების თავმოყრით მოწინააღმდეგის შეკავებას ან განადგურებას აპირებს. მეთაური ბრძოლაში ჩაბმის რაიონის სიდიდესა და ფორმას საცეცხლე პოზიციებიდან შეიარაღების სისტემების ხილვადობისა და მაქსიმალური სასროლი მანძილის მიხედვით განსაზღვრავს. მეთაური ასევე ითვალისწინებს იმას, რომ ბრძოლაში ჩაბმის რაიონები მოწინააღმდეგის მიახლოების მარშრუტებს ფარავდეს. ელემენტებს, რომლებიც გამიზნულად უკან დარჩებიან ან შეჭრის ადგილზე მოხვდებიან, შეუძლიათ შეტყობინება გადასცენ ან ცეცხლი გამოიძახონ, თუ მიახლოებულ მოწინააღმდეგეს შენიშნავენ. [33]

მოწინააღმდეგის შეტევის შესაფერხებლად და სურვილზე ხელის ასაღებად, ასიმეტრიული ძალების მეთაურები კომბინირებულად იყენებენ ცეცხლს, თავდაცვის პოზიციებს, კონტრმობილურობის დაბრკოლებებსა და კონტრშეტევებს. მან ხელი უნდა შეუშალოს მოწინააღმდეგის ოპერაციის სინქრონიზაციას, რათა დაუპირისპირდეს მის ინიციატივას, არ დაუშვას მის მიერ საბრძოლო ძალის კონცენტრირება ასიმეტრიული (პარტიზანური) ძალების მისამართით და აიძულოს მოწინააღმდეგე, წავიდეს იქ, სადაც

შესაძლებელი იქნება მოულოდნელობისა და ძალთა არათანაბარი განაწილების პრინციპების გამოყენება. შეფერხების შედეგად, მეთაური ამარცხებს ან არასწორი მიმართულებით წასვლას უბიძგებს მოწინააღმდეგის რეკოგნოსციების ძალებს, ხელს უშლის მანევრირებაში, აბრკოლებს რეზერვებს, ანეიტრალებს ცეცხლით მხარდაჭერის საშუალებებს და შლის მართვასა და კონტროლს.

მოწინააღმდეგის შეტევის საფრთხის გასანეიტრალებლად მნიშვნელოვანია კონტრმობილურობისა და მობილურობის ზომებთან ჩასაფრებების კომბინირება. კონტრშეტევა, ბატარეის საწინააღმდეგო ცეცხლი, დაბრკოლებები და საკვანძო ან გადამწყვეტი ადგილმდებარეობის შენარჩუნება ხელს უშლის მოწინააღმდეგეს თავდაცვის ნაწილებთან საბრძოლველად ჭარბი, კონცენტრირებული ძალის გამოყენებაში.

მოწინააღმდეგეზე ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედების დროს მნიშვნელოვანია ორმხრივი მხარდაჭერა, რომელიც სხვადასხვა რაიონში მოქმედი ძალებით ოპერაციების სინქრონული შესრულებით მიიღწევა. მას აქვს ორი ასპექტი – მხარდამჭერი ცეცხლის სასროლი მანძილი და მხარდაჭერის მანძილი. სასროლი ცეცხლის მანძილზე მხარდამჭერა არის დისტანცია, რომლითაც ერთი ქვედანაყოფი მეორისგან არის გეოგრაფიულად დაშორებული, თუმცა არ სცდება ამ უკანასკნელის შეიარაღების სისტემების მაქსიმალურ სასროლ რადიუსს. ორმხრივი მხარდაჭერა არსებობს მაშინ, როდესაც პოზიციები და ქვედანაყოფები პირდაპირი და არაპირდაპირი ცეცხლით მხარდაჭერის მანძილზე იმყოფებიან, თუმცა მოწინააღმდეგეს არ აძლევენ თავდასხმის ან მომიჯნავე პოზიციებიდან ცეცხლის გახსნის საშუალებას. [27]

ორმხრივი მხარდაჭერა ზრდის ყველა თავდაცვის პოზიციის სიძლიერეს, ხელს უშლის ბოლომდე დამარცხებას და აღკვეთს პოზიციებს შორის ინფილტრაციას. ღამით ან შეზღუდული ხილვადობის პერიოდში მეთაურმა შეიძლება პატარა ტაქტიკური ქვედანაყოფები ერთმანეთთან ახლოს განალაგოს იმისათვის, რომ ორმხრივი მხარდაჭერის უპირატესობა

შეინარჩუნოს. ქვედანაყოფების ლიდერებმა ერთმანეთთან უნდა შეათანხმონ ორმხრივი მხარდაჭერის ბუნება და მასშტაბი.

მხარდასაჭერი და მხარდამჭერი ქვედანაყოფების შესაძლებლობები გავლენას ახდენს მხარდაჭერის მანძილზე. ქვედანაყოფები შეიძლება მხარდაჭერის მანძილზე იყვნენ, მაგრამ თუ მხარდასაჭერ ქვედანაყოფს არ შეუძლია კავშირის დამყარება მხარდამჭერ ქვედანაყოფთან, მაშინ მხარდამჭერმა ქვედანაყოფმა შეიძლება ვერ შეძლოს ოპერაციის შედეგზე გავლენის მოხდენა. ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ ქვედანაყოფები არ იმყოფებიან მხარდაჭერის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფიზიკურად ახლოს არიან ერთმანეთთან. მხარდაჭერის მანძილზე შემდეგი ფაქტორები ახდენს გავლენას: ადგილმდებარეობა და მობილურობა, დისტანცია, მოწინააღმდეგის შესაძლებლობები, მეგობარი ძალების შესაძლებლობები და რეაგირების დრო. [11]

მობილურობის საშუალებით მოქნილობა გრაფიკული კონტროლის ზომებს მოითხოვს, რათა კონტრშეტევებისა და ძალთა გადაადგილებების დროს ამოცანით მართვას შეუწყოს ხელი. მანევრის ეფექტური სინქრონიზებისთვის საჭიროა კონკრეტული მარშრუტები, ფაზის ხაზები, შეტევის და ცეცხლით მხარდაჭერის პოზიციები, საბრძოლო პოზიციები, ბრძოლაში ჩაბმის რაიონები, მიზნის მონიშვნის წერტილები და ცეცხლით კონტროლის სხვა ზომები.

ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადება თავდაცვის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ნაწილია. ის ასიმეტრიულ ომში მეთაურებს ეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, თუ სად მოუყაროს თავი საბრძოლო ძალას, სად წავიდეს რისკზე და სად დაგეგმოს გადამწყვეტი ოპერაციის ჩატარება. ასიმეტრიული ბრძოლის მოქნილი გეგმის შემუშავების ხელშესაწყობად, ბრძოლის ველის სადაზვერვო მომზადება მოწინააღმდეგის ყველა შესაძლო სამოქმედო გეგმას განიხილავს. მთავარი საყურადღებო ფაქტორები ადგილმდებარეობის ანალიზი, მოწინააღმდეგის ქვედანაყოფის სიდიდისა და სავარაუდო სამოქმედო გეგმის განსაზღვრაა მასთან დაკავშირებული

გადაწყვეტილების მიღების წერტილებთან ერთად, ასევე, მოწინააღმდეგის დაუცველი მხარეების დადგენა.

სადაზვერვო მასალებზე დაყრდნობით განისაზღვრება მოწინააღმდეგის სავარაუდო ობიექტები, მათთან მისაახლოებელი მარშრუტები და შესაბამისად, მუშავდება ინტერესის დასახელებული და სამიზნე რაიონები. შეისწავლება მოწინააღმდეგის ჩასაფრებების, რეიდებისა და კონტრშეტევის ოპერაციების წინააღმდეგ მოქმედების მოდელები.

მეთაურები და შტაბები ადგილმდებარეობის შესასწავლად რეკოგნოსცირების, თვალთვალისა და საინჟინრო ხელმისაწვდომ საშუალებებს იყენებენ. ამით მეთაური ცდილობს, დაადგინოს მოწინააღმდეგისა და საკუთარი ძალების ჯავშანტექნიკის, ქვეითებისა და საჰაერო მიახლოების მარშრუტები. მეთაურები ყველაზე დიდი უპირატესობის მქონე რაიონს მოწინააღმდეგის ძირითადი შეტევის რაიონად თვლის, ის ასევე აფასებს ადგილმდებარეობის სხვა ასპექტებსაც. საბრძოლო ჯგუფები სახმელეთო და საჰაერო მობილურობის დერეფნებისა და მიახლოების მარშრუტების შეფასების საფუძველზე მსჯელობენ, სად შეუძლია მოწინააღმდეგეს მანევრირება, რომ მის სავარაუდო მიზნებს მიაღწიოს ან რა შეზღუდვების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ საკუთარი ძალები მანევრისა და ძალთა განლაგების თვალსაზრისით. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადგილმდებარეობის, მაგალითად, მომწყვდევის პუნქტების განსაზღვრა, რომლებიც მოწინააღმდეგის შესაძლო დაუცველ მხარეებს ქმნიან და ასიმეტრიული ტაქტიკით შეტევის წამოწყების საშუალებას აძლევენ. [12]

მოწინააღმდეგის შესაძლო დაუცველი მხარეების განსაზღვრისათვის, შტაბი აკვირდება მის ტაქტიკას, ადგილმდებარეობას, ამინდს, მისი და მეგობარი ძალების შესაძლებლობებს. მოწინააღმდეგესთან რომ მისთვის არახელსაყრელ ადგილმდებარეობაზე ჩაებას ბრძოლაში, შტაბი ადგენს იმ შემზღუდავ ადგილებს, რომლებმაც შესაძლოა შეანელონ მისი შეტევა, გამოიწვიონ ძალების დაქსაქსვა, შექმნან მართვისა და კონტროლის სირთულეები ან აიძულონ მოწინააღმდეგე, ვიწრო გასასვლელში,

მაგალითად, ვიწრო ველებზე, გასასვლელელებში ან დასახლებულ რაიონებში, ჩაატაროს ვარჯიშები. შტაბი ასევე ადგენს მომწყვდევის პუნქტებს ან ბუნებრივ დაბრკოლებებს, რომელთაც შესაძლოა მოწინააღმდეგის ტემპი შეანელონ, ძალები ერთმანეთს დააშორონ ან მათი კონცენტრაცია დაუცველი გახადონ (მდინარეებისა და არხების გამო). შტაბი არჩევს ადგილმდებარეობას, რომელიც ბუნებრივად ისეთ რაიონებში მოაქცევს მოწინააღმდეგის ფორმირებებს, რომ თავდამცველ ძალებს ხელსაყრელი საცეცხლე და სათვალთვალო სექტორები გაუჩნდებათ, ფლანგურ ცეცხლსაც სასურველი პოზიციებიდან გახსნიან. შტაბი ისეთ რაიონებსაც ადგენს, რომელთა საკვანძო ან თავდაცვისთვის მოსახერხებელი რელიეფი ცეცხლის მასირებას შეუწყობს ხელს. [10]

სადაზვერვო ინფორმაციის ჩვეულებრივი მოთხოვნებისაგან განსხვავებით, პარტიზანებმა (წინააღმდეგობის მოძრაობამ) პროცესში უნდა ჩართოს ახალი წევრები. მოძრაობის წევრები ახლებს აკვირდებიან, რათა დარწმუნდნენ, რომ ისინი არ არიან მოწინააღმდეგის საიდუმლო აგენტები.

ცეცხლით მხარდაჭერის დამგეგმავებმა მაქსიმალურად უნდა ისარგებლონ მათ განკარგულებაში არსებული მოსამზადებელი დროით, რათა დაგეგმონ და კოორდინაცია გაუწიონ მხარდამჭერ ცეცხლს. მათ უნდა იზრუნონ ცეცხლით მხარდაჭერის საშუალებების შევსებაზე, ასევე, ყველა უსაფრთხოების ძალისა და ქვედანაყოფის დაცვის გეგმების ხელშეწყობაზე.

ასიმეტრიულ ომში თავდამსხმელის ტემპის დაგდებასა და სინქრონიზაციის ჩაშლაში დიდ როლს თამაშობს ცეცხლით მხარდაჭერა. საჭიროების შემთხვევაში, გადამწყვეტ ადგილებსა და დროს, ჭარბი ცეცხლის მასირება მაქსიმალურად ზრდის ჩამხშობი პირდაპირი და არაპირდაპირი ცეცხლის სისტემების ეფექტურობას და შლის იერიშს. ცეცხლით მხარდაჭერის დაგეგმვა და აღსრულება მოქნილი უნდა იყოს სიღრმისეული ოპერაციებისა და თავდაცვითი მანევრის მხარდაჭერის დროს.

ოპერაციების რაიონში, მოწინააღმდეგის დასაზიანებლად შეიძლება გამოიყენებული იქნას უპილოტო საფრენი აპრატები, დისტანციური მართვის სენსორები, რეკოგნოსციებისა და უსაფრთხოების ძალები. თავდამცველი

ძალის ოპერაციების რაიონში სწრაფ, მძლავრ და ერთდროულ მოქმედებას შეუძლია მოწინააღმდეგის ძალის დასუსტება, დაბნევა და პარალიზება გამოიწვიოს. [33]

ჩვეულებრივ, ასიმეტრიულ ომში მხარდამჭერი უზრუნველყოფის ოპერაციები უფრო დეცენტრალიზებული კონტროლით ხორციელდება, მაგრამ განისაზღვრება ტრანსპორტირებისა და უზრუნველყოფის მკაფიო პრიორიტეტები. ოპერატიულ გარემოში, ჯარისკაცებისა და საბრძოლო მასალების გადაადგილება მჭიდროდ და უწყვეტად უნდა იქნეს კოორდინირებული და გაკონტროლებული პრიორიტეტების სწორად აღქმისა და გაძლიერებისთვის.

გადაადგილების კონტროლის რუტინული ფუნქცია განსაკუთრებით აუცილებელი პროცესი ხდება მთავარი ან ალტერნატიული მომარაგების მარშრუტებზე მოძრაობის კოორდინირებისა და მართვის, ასევე საკომუნიკაციო ხაზებზე გადაადგილების რეგულირებისთვის, კონფლიქტისა და არასასურველი დამთხვევების თავიდან ასაცილებლად. მე-4 და მე-5 კლასის მარაგებს გადაადგილების უფრო მაღალი პრიორიტეტები აქვს თავდაცვის დროს. მოწინააღმდეგის ხედვის არეში მოხვედრის ალბათობის შემცირების მიზნით, დამგეგმავებმა შესაძლოა მომარაგების ოპერაციების ღამით ჩატარებაც განიხილოს.

ასიმეტრიული ძალების ლოგისტიკოსები უნდა ეცადონ, რომ უზრუნველყოფის გეგმა სრულად იყოს შეთანხმებული შტაბის დანარჩენ ნაწილთან. ის ოპერატიული შტაბის ოფიცერთან კოორდინირებით ზრუნავს იმაზე, რომ მომარაგების მარშრუტები სამანევრო მარშრუტებთან ან დაბრკოლებებთან არ გადაიკვეთოს, ამავდროულად, მხარს უჭერს თავდაცვის მთელ სიღრმეს. უზრუნველყოფის დამგეგმავებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მე-4, მე-5 და მე-3 კლასის მარაგი წინასწარ, საკმაოდ მოშორებით განათავსონ უსაფრთხოების რაიონის მხარდასაჭერად კონტრეკოგნოსცირების ოპერაციის დროს. უსაფრთხოების რაიონს მოჰყვება

ძირითადი ბრძოლის რაიონი, ისე რომ საბრძოლო ჯგუფს სწრაფად შეეძლოს თავდაცვიდან თავდასხმაზე გადასვლა. [27]

უსაფრთხოების რაიონში უზრუნველყოფის ოპერაციების დაგეგმვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკოგნოსციებისა და უსაფრთხოების ოპერაციების უზრუნველყოფისთვის, რათა მოწინააღმდეგის ძალებს არ მიეცეთ მეგობარი ძალების განლაგების დადგენის საშუალება. უსაფრთხოების რაიონში მყოფი ძალები შეტევაზე გადასვლის ხაზის წინ არიან განლაგებულნი. მათ თან, სულ მცირე, 72 საათის 1-ელი, მე-3 და მე-5 კლასის მარაგი აქვთ. უსაფრთხოების რაიონის უზრუნველყოფა უნდა მოიცავდეს ხანგრძლივი თვალთვალის პუნქტების საჰაერო და სახმელეთო სამედიცინო ევაკუაციის დაგეგმვას. დამგეგმავებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ მარაგის კლასებისა და უზრუნველყოფის საშუალებების გადაბარება თავდაცვიდან თავდასხმაზე გადასვლისას.

მოწინააღმდეგის მოქმედებები და საბრძოლო ძალების მანევრი ართულებს წინა რაიონის სამედიცინო ოპერაციებს. ასიმეტრიულ ბრძოლებში გათვალისწინებული უნდა იყოს სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო მომსახურება, რომელთაც ნაკლები დრო აქვთ პაციენტთან მისასვლელად, რათა მას სრული გადაუდებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინონ და ის ბრძოლის ადგილიდან გაიყვანონ. მოწინააღმდეგის პირველ შეტევას და კონტრშეტევას ყველაზე მეტი დაშავებული მოწყვება ხოლმე. მოწინააღმდეგის შეტევამ შეიძლება ჩახერგოს სახმელეთო და საჰაერო მარშრუტები, დააყოვნოს პაციენტთა ევაკუაცია სამკურნალო პუნქტებამდე. თავდაცვის სიღრმე და გაშლილობა დროისა და მანძილის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის სამედიცინო ევაკუაციის საშუალებებს. [34]

ასიმეტრიულ ბრძოლაში მნიშვნელოვანია ზომების მიღება ყველა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც ამცირებენ ასიმეტრიული მოქმედებების ტაქტიკას და მინიმუმამდე დაჰყავთ მოწინააღმდეგის მოულოდნელი უპირატესობის მოპოვება. რადგან ქვედანაყოფი იმიტომ

იცავს თავს, რომ საბრძოლო ძალა მოგვიანებით სხვა ვითარებაში გამოიყენოს, მეთაურმა მისი უსაფრთხოება უნდა დაიცვას. ძალები, მისთვის გამოყოფილი ოპერაციების რაიონის ფარგლებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფას რეკოგნოსცირებისა და უსაფრთხოების ძალების დახმარებით ახერხებს. ამის მისაღწევად შესაძლოა კონტრეკოგნოსცირება, საბრძოლო გარე პოსტების, დაცვის ქვედანაყოფის ან უსაფრთხოების ოპერაციების სხვა დავალებების გამოყენება. ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებული შესაძლებლობები და კიბერელექტრომაგნიტური მოქმედებები ძალის უსაფრთხოებას ხელს უწყობენ და მოწინააღმდეგეს თავდაცვის ფორმის ამოცნობისას აბნევენ.

პერსონალსა და ფიზიკურ საშუალებებს თავად აქვთ თვითგადარჩენის უნარი – ეს გახლავთ სამხედრო ძალების შესაძლებლობა, რაც საშუალებას აძლევს მათ, თავი აარიდონ ან გაუძლონ მოწინააღმდეგის მოქმედებებს და გარემო პირობებს, ამავდროულად თავიანთი ძირითადი ამოცანა შეასრულონ. თვითგადარჩენის შესაძლებლობის გასაძლიერებლად, როდესაც რელიეფის თავისებურებები არ იძლევა სათანადო დაფარვას (ცეცხლის ეფექტებისგან დაცვა და შენიღბვა), თვალთვალისგან დაცვა ცვლის ფიზიკურ გარემოს, რომელიც დაფარვასა და შენიღბვას უზრუნველყოფს. ამის მსგავსად, მოწინააღმდეგის დასაბნევა, მიმართულების ასარევა ან თავის ასარიდებლად ბუნებრივ ან ხელოვნურ მასალებს იყენებენ. ამ ყველაფერს, ერთად აღებულს, თვითგადარჩენის ოპერაციები ანუ სამხედრო მოქმედებები ეწოდება, რომლებიც ცვლიან ფიზიკურ გარემოს დაფარვის, შენიღბვისა და კამუფლაჟის გასაუმჯობესებლად. [28]

თვითგადარჩენის ოპერაციებს ყველა ქვედანაყოფი ატარებს თავისი შესაძლებლობის ფარგლებში. თვითგადარჩენის ოპერაციების მხარდასაჭერად საინჟინრო და რქბ საშუალებებს დამატებითი შესაძლებლობები აქვთ. თვითგადარჩენის ოპერაციებისთვის აღმოჩენილი საინჟინრო მხარდაჭერა მისი (საინჟინრო მხარდაჭერის) დაცვის ხაზის გაუმჯობესების ნაწილს წარმოადგენს, ხოლო რქბ მხარდაჭერაში შედის საკვამლე საშუალებების გამოყენება მეგობარი ძალების პოზიციებისა და

სამანერო ძალების მოწინააღმდეგის თვალისგან დასაფარად ან ბრძოლიდან გამოსვლის ან გადაადგილების ხელშესაწყობად.

მიუხედავად იმისა, რომ თვითგადარჩენა ორივე მდგომარეობაში – უძრავშიც და მოძრავშიც – გულისხმობს სამხედრო ძალების შესაძლებლობებს, ის უფრო მეტად სტატკურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული – ეს იქნება საბრძოლო და დამცავი პოზიციების მოწყობა, თუ შენობების გამაგრება. კამუფლაჟისა და შენიღბვის შემთხვევაში, თვითგადარჩენის ოპერაციები როგორც ადგილზე დგომისას, ისე გადაადგილების დროს საჭირო შესაძლებლობებზეა დფუძნებული. თვითგადარჩენის ოპერაციების ჩატარება დაცვის საბრძოლო ფუნქციის ერთ-ერთი დავალებაა, მაგრამ ძალებს მათი გამოყენება სხვა საბრძოლო ფუნქციების მხარდასაჭერადაც შეუძლიათ. მაგალითად, სამხედრო შეცდომაში შეყვანის ოპერაცია, რომელიც ამოცანით მართვის საბრძოლო ფუნქციის ნაწილია, თვითგადარჩენის ოპერაციებმა შეიძლება გაააქტიუროს, რადგან მისი მიზანი მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის თავგზის აზნევაა. ეს შეიძლება გულისხმობდეს ცრუ პოზიციების ან მოწყობილობების გამოყენებას.[35]

ქვედანაყოფის ჯანდაცვა, ჯარისკაცთა მენტალური თუ ფიზიკური კეთილდღეობის ხელშეწყობა, გაუმჯობესება, გაფრთხილება ან აღდგენა ჯანმრთელი და ფიზიკურად მომზადებული ქვედანაყოფის წინაპირობაა. ეს ზომები ხელს უშლის ჯარისკაცთა დაშავებას და დაავადებას, ისინი იცავს მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხეებისგან. თავდაცვითი მოქმედებები შეიძლება უძრავი პოზიციების ხანგრძლივ შენარჩუნებაში გადაიზარდოს, რასაც საპასუხოდ მოჰყვება პერსონალის დაუცველობა დაავადებების, ამინდის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა საფრთხეებისა და გარემოს გავლენის მიმართ, რასაც ძალების მზადყოფნის სწრაფად დასუსტება შეუძლია. მეთაური აძლიერებს გარემოს დისციპლინებს: ტენიანობას, სანიტარიას, ჰიგიენას, დამცავი ტანსაცმლის ტარებასა და სასმელი წყლის მარაგის შემოწმებას. [28]

თავდაცვით მოქმედებებს შეიძლება ასევე მოჰყვეს მოწინააღმდეგის მხრიდან ინტენსიური დაბომბვა ან ისეთი შეტევები, რომლებიც დრამატულ გავლენას მოახდენს ქვედანაყოფის პერსონალის მენტალურ და ქცევით ჯანმრთელობაზე. საარტილერიო არაპირდაპირი ცეცხლით შეტევის მოგერიების შემდეგ ჯარისკაცების საბრძოლო ეფექტურობა შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს მაშინაც კი, თუ ეს მოქმედება დიდხანს არ გაგრძელდება. მეთაურები დაუყოვნებლივ განათავსებენ ხოლმე საბრძოლო სტრესის დასადგენ და სამკურნალო სისტემებს დაზარალებული პერსონალის ჩვეულ ფორმაში ჩადგომის დასაჩქარებლად.

საბაზო ბანაკის უსაფრთხოებისა და თავდაცვის დაგეგმვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, გვახსოვდეს, რომ სათანადოდ შერჩეული პერიმეტრის უსაფრთხოების სისტემა უნდა იყოს ინტეგრირებული, უნდა მოეწყოს სიღრმისეული თავდაცვა, რომელიც უსაფრთხოების რაიონით ისარგებლებს. პერიმეტრის თავდაცვის განხორციელებადი გეგმის შემუშავებისას მეთაურები თავიანთ შტაბებთან ერთად აფასებენ რა ამოცანის ცვლადებს, მთავარ აქცენტს საფრთხეზე აკეთებენ. [28] პერიმეტრის უსაფრთხოებისა და თავდაცვის დაგეგმვა, როგორც დაცვის სხვა ზომები, აერთიანებს ცეცხლსა და დაბრკოლებებს მოცემული ამოცანის, ოპერატიული ცვლადების, მათთან დაკავშირებული შეზღუდვების პირობებში, რომლებიც ოპერაციის რაიონის საბაზო ბანაკის მთელ ფართობზე ვრცელდება. მეთაურები და შტაბი, რომელთაც საბაზო ბანაკის უსაფრთხოებასა და თავდაცვაზე პასუხისმგებლობა აკისრიათ, ინტეგრირების პროცესების საშუალებით გეგმავენ, კოორდინაციასა და სინქრონიზაციას უწევენ მოქმედებებს, რათა თავიანთი რაიონის უსაფრთხოებისა და ბაზის თავდაცვის გეგმების სრული ინტეგრაცია უზრუნველყონ.

2.5. ასიმეტრიულ ომში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება

თანამედროვე მსოფლიოს ახასიათებს დინამიკური ცვლილებები და ახალი სამეცნიერო მიღწევების მყისიერი დანერგვა პრაქტიკაში, მათ შორის

სამხედრო საქმეში. გაშლილ ფრონტზე მასობრივი არმიების გამოყენებით ერთიანი შეტევითი ომის მეთოდები და ტექნიკა მოძველდა. უახლესი ტექნოლოგიების საფუძველზე ახალი შესაძლებლობების წარმოქმნა, საბრძოლო ოპერაციები შედარებით კომპლექსური გახდა, ხოლო საფრთხე – უფრო მრავალფეროვანი და ურთიერთდაკავშირებული. ახალი მიდგომებისა და ტექნოლოგიების გამოყენებამ რესურსებითა და შეიარაღების რაოდენობით სუსტ ქვეყნებს ასიმეტრიული ომში წარმატების მოპოვების შესაძლებლობები გაუჩინა. [18]

ახალი ტექნოლოგიები: ხელოვნური ინტელექტი, გლობალური ავტომატიზირებული სისტემები, მაღალი ოპერატიული მონაცემების კომპიუტერები – ზრდიან სამხედრო აღჭურვილობის ფუნქციონირებას და იძლევიან საგრძნობ ეკონომიკურ სარგებელს.

ქვეყნის ადეკვატური პასუხი თანამედროვე გამოწვევებზე არის უსაფრთხოების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დაჩქარება, პირველ რიგში, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა, რომლებიც ზრდიან მოწინააღმდეგის შეიარაღების სისტემების გამოვლენის, განეიტრალების ან განადგურების საშუალებას. ამჟამინდელი კონფლიქტები ძირითადად მიმდინარეობს კიბერსივრცეში და მედიაში (მათ შორის სოციალური, ბეჭდური და ტელევიზია), ვიდრე ბრძოლის ველზე. დროთა განმავლობაში კიბერტექნოლოგია და ხელოვნური ინტელექტი გახდა ყველაზე მოთხოვნადი საშუალება ასიმეტრიული ომის წარმოებისთვის. ისინი ემსახურებიან პროპაგანდის, ფიზინგისა და მონაცემების მანიპულირების ინსტრუმენტს, ინფორმაციის გავრცელებას, პირადი მონაცემების მოპარვას, რაც გამოიყენება სახელმწიფოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების სფეროს წინააღმდეგ.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება თანამედროვე კონფლიქტებში ასიმეტრიული ომის კრიტიკულ ელემენტად იქცა. ბოლო წლებში შეიარაღებული დაჯგუფებები სულ უფრო ხშირად იყენებენ მათ ტაქტიკური და ოპერატიული მიზნების

წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა კონფლიქტის დინამიკა. ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიის რეგიონში წარმოებული ომების ანალიზი აჩვენებს უპილოტო თვითმფრინავების გამოყენების უფრო საშიშ ფორმას. კერძოდ, ადვილად ხელმისაწვდომი თვითმფრინავების გავრცელებამ, ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიურობის სწრაფმა წინსვლამ შეიძლება მომდევნო წლებში მკვეთრად გააუმჯობესოს სამხედრო ძალების შესაძლებლობები, რაც სამიზნეების ფართო სპექტრზე კოორდინირებული და გამანადგურებელი შეტევის განხორციელების საშუალებას გააჩენს. [21]

მცირე რესურსების მქონე საქართველოს ტიპის სახელმწიფოს მოწინააღმდეგეზე საჭაერო ზემოქმედება შეუძლია გაზარდოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით. ბოლო წლებში საფრენი აპარატის ზომა შემცირდა, იგი მანევრირებადი და სწრაფი გახდა. შეუძლია მეტი ტვირთის გადატანა, უფრო დიდხანს ფრენა, რასაც ხელი შეუწყო ტელეფონის ტექნოლოგიის განვითარებამ, სმარტფონების კომპონენტებმა: გიროსკოპებმა, ამაჩქარებლებმა, GPS-მა, პროცესორებმა და კამერებმა. ამ მიღწევებმა ტექნოლოგიაში გააჩინა მეტი საშუალება, რომ საბრძოლო ჯგუფებმა წარმატებული ოპერაციები განახორციელონ.

ხელოვნურ ინტელექტს, რომელიც სამხედრო სფეროში გამოიყენება, სამი მთავარი უნარი უნდა ჰქონდეს: შეეძლოს ინტელექტუალურად მანევრირება გარემოს გათვალისწინებით; მოწინააღმდეგის სწორი ამოცნობა პოტენციურ სამიზნეებს შორის; სამიზნის დაზიანების შესაძლებლობა სამხედრო ძალების მსგავსად. ეს უკანასკნელი უნარი არაერთხელ იქნა დემონსტრირებული, როდესაც ცალკეული პირები თუ ჯგუფები უპილოტო აპარატებით იარაღდებოდნენ. პირველი უნარის გამოყენებით აპარატი ნავიგაციას ახერხებს ტერიტორიის სკანირებით, მაგრამ პრობლემაა სრული ავტონომიური მანევრი. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომეს პრობლემა მალე მოგვარდება. სამიზნეების იდენტიფიცირება ასევე წარმოადგენს მთავარ სირთულეს, მაგრამ ტექნოლოგიები აღნიშნული მიმართულებით თანდათან იხვეწება. დღეს უკვე ხელმისაწვდომია სახის ამოცნობის ნეირონული

ქსელები. არაერთი პროგრამაა შეტანილი ინტერნეტის მონაცემთა ბაზაში.
[17]

ხელოვნური ინტელექტის დანერგვა პარალელურად ზრდის შეიარაღების სისტემების ავტონომიურობას. უმჯობესდება უპილოტო საფრენი აპარატების მიერ სამიზნეზე „ჯგროდ“ შეტევის შესაძლებლობა. დაპროგრამებული უპილოტო აპარატები უკვე გამოიყენებული იქნა ახლო აღმოსავლეთში, რუსეთის საავიაციო ბაზებზე სირიაში. პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე აპარატების ერთობლივი ქცევით გაჩნდა შესაძლებლობა, რომ მხოლოდ რამდენიმე ადამიანის კონტროლით გაიზარდოს გამოყენებული ტექნიკური და ადამიანური რესურსების რაოდენობა. მაგალითად, კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობები სწრაფად იცვლება, ვიდრე მაშინ, როდესაც თითოეული პლატფორმა გაკონტროლდებოდა ერთი ადამიანის მიერ. ძალა, რომელიც მოქმედებს ასიმეტრიული ტაქტიკით და შეტევისთვის იყენებს ამ ტექნოლოგიებს, მოწინააღმდეგესთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. [37]

ხელოვნურ ინტელექტს ასიმეტრიული ომის ხასიათის შეცვლა შეუძლია. მას აქვს უნარი გაზარდოს თვალთვალის, დაზვერვის, რეკოგნოსცირების შესაძლებლობები. დისტანციური ზონდირება და სატელიტური გამოსახულება, რომელსაც აქვს ხელოვნური ინტელექტი, სახელმწიფოებს ეხმარება მათი ქმედებების ადეკვატურ ინტერპრეტაციაში. ამის საფუძველზე შეიძლება გართულდეს ასიმეტრიული ომის ბუნება.

ახალი ტექნოლოგიების შექმნისა და თავდაცვის პოტენციალის გაძლიერების ამოცანები უნდა განისაზღვროს სახელმწიფოს მიერ, რადგან მისი პრეროგატივაა კერძო ბიზნესის ინტერესებისა და ეროვნული სამხედრო სამეცნიერო ბაზის ერთ სიბრტყეში გაერთიანება. კვლევები, ახალი ტექნოლოგიები, ინვესტიციები აძლიერებენ სახელმწიფოს უნარს, რომ შესაბამისად უპასუხოს სამხედრო თუ უსაფრთხოების გამოწვევებს. სახელმწიფოს ხელშეწყობით თავდაცვის ტექნოლოგიების განვითარება

შეიძლება იქცეს უმნიშვნელოვანეს ეროვნულ პროექტად, რომელიც ხელს შეუწყობს ასიმეტრიული ომისთვის არა მხოლოდ შემაკავებელი იარაღის შექმნას, არამედ ახალი სამხედრო ტექნოლოგიური მიღწევების ექსპორტს.

2.6. ასიმეტრიული ომის წარმოების პირობები

ასიმეტრიულ ომს ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორც კონვენციურ ომს და მასში ჩართული უნდა იყოს ეროვნული სიძლიერის ინსტრუმენტები: დიპლომატიური, ეკონომიკური, სამხედრო, საინფორმაციო. ასიმეტრიული ომი მოითხოვს პარტიზანული ძალების ჩამოყალიბებასა და მხარდაჭერას, რაც საოკუპაციო ძალის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა. მის განსახორციელებლად არსებობს ორი ძირითადი ხელშემწყობი პირობა: მოსახლეობის ნება და ხელსაყრელი ადგილმდებარეობა.

მოსახლეობას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ წინააღმდეგობის სურვილი, არამედ იმ მნიშვნელოვანი გაჭირვების ატანის მზაობაც, რომელიც დაკავშირებულია საოკუპაციო ძალის მიერ გატარებულ შესაბამის კონტროლებთან. ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოსახლეობას, რომელიც დიდი ხნის დაპყრობილია ან იმყოფება რეჟიმის გავლენის ქვეშ, ჰქონდეს ის ნება, რომელიც საჭიროა ხანგრძლივი და ძნელი ბრძოლის შესანარჩუნებლად. მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს რეპრესიულ პირობებში, ინარჩუნებს საკუთარ რელიგიას, კულტურასა და ეთნიკურ იდენტობას, იწყებს რეჟიმთან ასიმილაციას გადარჩენის ინსტინქტის გარეშე. მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან მოსახლეობის დამოკიდებულება მათ „მჩაგვრელებზე“ და მათი რეალური სურვილი, აიტანონ გაჭირვება და გასწიონ რისკი საკუთარი ღირებულებებისა და შეხედულებების დასაცავად. საოკუპაციო ძალის მიერ ახალდაპყრობილი მოსახლეობა თვისობრივად ძალიან განსხვავდება იმ მოსახლეობისგან, რომელსაც მრავალი წელი აქვს გამოვლილი რეპრესიულ მმართველობაში და იბრძვის გადარჩენისთვის. [20]

პარტიზანულ ბრძოლაში წინააღმდეგობის ძალისხმევის მნიშვნელოვანი კომპონენტია საინფორმაციო მოქმედებები, რომლებიც ზრდის დამპყრობელი რეჟიმის ან ოკუპანტის მიმართ უკმაყოფილებას და წინააღმდეგობას სასიცოცხლო მნიშვნელობის ალტერნატივად წარმოაჩენს. აღნიშნულმა მოქმედებებმა შეიძლება გაზარდოს პარტიზანული მოძრაობის მხარდაჭერა სააგიტაციო შეტყობინებების მეშვეობით, რაც იწვევს მათ მიმართ მოსახლეობის თანაგრძნობას. [27]

თითქმის ყველა შემთხვევაში, პარტიზანული მოძრაობა აღმოჩნდება ისეთი მოსახლეობის პირისპირ, რომელიც ნაკლებ მხარდაჭერას უცხადებს მთავრობას, ასევე – სამხედრო ძალების პირისპირ, რომლებიც მხარს უჭერენ პარტიზანულ მოძრაობას. იმისათვის, რომ პარტიზანული ბრძოლა წარმატებული იყოს, საჭიროა პროცესებში არამონაწილე მოსახლეობის საშუალო ფენის, რომელშიც შედიან ორივე მხარის პასიური მხარდამჭერები, დარწმუნება, რომ პარტიზანული მოძრაობა ლეგიტიმურ ერთეულად აღიარონ. ზოგჯერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად პასიური მოსახლეობა ამბოხების საუკეთესო მხარდამჭერი ხდება. როგორც კი პარტიზანების მხარდაჭერის დონე იზრდება, პასიური მოსახლეობა მცირდება.

ოპერაციების ჩასატარებლად პარტიზანულ ძალებს სჭირდებათ ისეთი ადამიანური გარემოცვა და ფიზიკური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მათ უსაფრთხო თავშესაფარს. ასეთ გარემოში უსაფრთხოება საკმარისად უნდა იყოს დაცული იმისათვის, რომ პარტიზანებმა შეძლონ წვრთნის ჩატარება, ორგანიზება და ძალების აღდგენა. პარტიზანებმა უნდა შეარჩიონ უსაფრთხო ზონა შედარებით მიუწვდომელ ადგილას, რომელიც შეზღუდავს მოწინააღმდეგის სამხედრო ძალის დემონსტრირების შესაძლებლობას. ხელსაყრელი ადგილმდებარეობაა ფიზიკურად მიუწვდომელი რელიეფი: მთები, ტყეები და ჭაობები ან ხელოვნურად მოწყობილი უსაფრთხო ზონები. თუმცა ხელოვნურად მოწყობილი უსაფრთხო ზონები ერთადერთია, რომლებშიც ფარულად შეღწევის რისკიც დიდია მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალებისათვის.

ადამიანური გარემოცვის მნიშვნელოვანი ასპექტია შესაძლებლობა, პარტიზანები დაუკავშირდნენ მოსახლეობას მოწინააღმდეგის მიერ კონტროლირებულ რაიონებში, გაავრცელონ ინფორმაცია პარტიზანული მოძრაობისა და მისი მიზნების შესახებ და ჩამოაყალიბონ კომუნიკაციის სასურველი ხაზები მთავარ კომუნიკატორებთან. მათთან ურთიერთობების აქტიური ხელშეწყობა შეამცირებს არსებულ ბარიერებს და გააუმჯობესებს თანამშრომლობას რეგულარულ ძალებსა და პარტიზანებს შორის. [28]

ოპერატიული გარემოს ჩამოყალიბების მიზნით მებრძოლმა ელემენტებმა შეიძლება უარი თქვან ფიზიკური გარემოს შეზღუდვებზე. მაგალითად, ქვედანაყოფებმა შეიძლება გამოიყენონ მოკლეტალღური გადამცემები ტექსტური შეტყობინებებისათვის იქ, სადაც მთის ქედები ზღუდავს სიხშირულად მოდულირებული რადიოგადამცემის ვიზირების ხაზს იმ ტექსტური შეტყობინებების გადასაცემად, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის კონკრეტული სეგმენტისკენ. მოკლეტალღურ გადამცემებს შეუძლია ტექსტური შეტყობინებების მიწოდება მოსახლეობისთვის სამიზნე რაიონში. ასევე ინფორმაციის გავრცელების უზრუნველსაყოფად გაიზარდოს ინტერნეტის გამოყება, რაც ასიმეტრიული ომის წარმოების პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. [38]

თავი III. მათემატიკური მოდელები ასიმეტრიული ომისთვის

3.1. ლანჩესტერის განტოლებათა სისტემა

საბრძოლო მოდელირებისა და სამხედრო ოპერაციების კვლევის აღსაწერად ხშირად მიმართავენ განტოლებათა სისტემებს. მათი საშუალებით შესაძლებელია მრავალფეროვანი სამხედრო კონფლიქტების გაანალიზება და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება. მათ საფუძველზე მუშავდება რეკომენდაციები, რომლებიც აისახება სამხედრო დოქტრინებში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადრეული მოდელები, რომლებიც გამოყენებულია საბრძოლო მოდელირებისთვის, ლანჩესტერის განტოლებებით არის ცნობილი. მათი ავტორია ფრედერიკ უილიამ ლანჩესტერი. მათში ასახულია ორი მოწინააღმდეგე სამხედრო ძალის ერთმანეთზე დამოკიდებულების დინამიკა. ამ მოდელებით შესაძლებელია დადგინდეს, რამდენად ადეკვატურია შემუშავებული სამოქმედო გეგმა და წინასწარ განისაზღვროს სხვადასხვა სახის კონფლიქტის (მაგ., ასიმეტრიული ომის) საბოლოო შედეგები.[39]

ლანჩესტერის განტოლებები ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებათა სისტემებია, რომლებიც დაპირისპირებული ძალების ურთიერთდამოკიდებულებას აღწერენ დროში უწყვეტად. განტოლებების საშუალებით წარმოდგენილია ბრძოლის ცვლილების დინამიკა დროის კონკრეტულ მომენტში. თითოეული მათგანი გამოხატავს, თუ როგორია სხვა ცვლადებთან მიმართებით ერთი მდგომარეობის ცვლილების სიჩქარე. ლანჩესტერის მოდელები ერთმანეთისაგან განსხვავდება ტაქტიკური ვითარებისა და/ან ოპერატიული მდგომარეობის მიხედვით.[39] საბრძოლო მოქმედებებისა და ძალთა სტრუქტურის შესასწავლად ამ მოდელების ვარიაციებს დღესაც ხშირად იყენებენ სამხედრო ოპერატიული დამგეგმავები თუ ანალიტიკოსები.

ორი დაპირისპირებული მებრძოლი მხარის ურთიერთდამოკიდებულების მოდელირება ჩვეულებრივი დიფერენციალური

განტოლებებით ფ.უ. ლანჩესტერმა განახორციელა 1916 წელს. საბრძოლო ერთეულები განტოლებებში წარმოადგენენ ცვლადებს ბრძოლის ველზე. თითოეული ობიექტისთვის საბრძოლო პოტენციალის შემცირების სიჩქარე დროის განსაზღვრული მონაკვეთის მიხედვით არის წარმოდგენილი. მოდელების შემუშავებისას ლანჩესტერზე გარკვეული გავლენა მოახდინა პირველ მსოფლიო ომში გამოყენებულმა საჰაერო საბრძოლო სცენარებმა.[40]

ლანჩესტერის განტოლებების საფუძველზე შემუშავებული ბოლო-დროინდელი ლიტერატურა მორგებულია ისტორიულ ბრძოლებზე. ეს დიფერენციალური განტოლებები გამოიყენება სივრცისა და ურთიერთქმედების ეფექტების დასაფიქსირებლად. მათ იყენებენ სხვადასხვა სფეროში, მაგალითად: ვიდეოთამაშებში, რეკლამებში, ბიოლოგიაში და სხვ.[39]

ასიმეტრიული ბრძოლების მათემატიკური მოდელირება საქართველოს ტიპის სახელმწიფოს საშუალებას აძლევს, მასზე საბრძოლო შესაძლებლობებით უპირატეს მოწინააღმდეგესთან ომის შემთხვევაში, განსაზღვროს ბრძოლაში თავდაცვის ძალების მოქმედების ეფექტიანობა. ბრძოლაში წარმატების მისაღწევად აუცილებელია სწორად დაიგეგმოს ოპერაციები საცეცხლე ზემოქმედების თავისებურებების, მოწინააღმდეგის დანაწევრებისა და მოულოდნელობის პრინციპის გათვალისწინებით. [40]

რაოდენობრივი ანალიზი ბრძოლის პროცესის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. მის საფუძველზე არსებითი დასკვნების გამოტანა შესაძლებელი, მაგალითად, დადგინდეს, როგორ შეიძლება ძალთა კონცენტრაციით დანაკარგების შემცირება, მოწინააღმდეგის დამარცხება. ლანჩესტერის განტოლებები წარმოადგენს საფუძველს ბრძოლის პროცესის მათემატიკური ანალიზისთვის. ბრძოლის ნებისმიერი მომენტისათვის მათი საშუალებით გამოითვლება მხარეების საბრძოლო ერთეულთა რაოდენობა: [39]

$$\frac{dB}{dt} = -aR \tag{1}$$

$$\frac{dR}{dt} = -\beta B$$

ამ განტოლებებში $R=R(t)$ და $B=B(t)$ ცვლადებია. ისინი t დროისათვის პირობითად გამოსახვენ ლურჯ და წითელ დაპირისპირებულ ძალებს. დამიზნებული ცეცხლის მოდელი არის ისეთი საბრძოლო ვითარება, როცა ლურჯი (წითელი) მხარის თითოეულ მებრძოლს აქვს ძალა განსაზღვრული ფიქსირებული სიჩქარით $\beta(\alpha)$ ეფექტურად შეამციროს წითელი (ლურჯი) ძალა. დამიზნებული ცეცხლის მოდელი განტოლებათა, რომელიც ასახვს ცვლადების გამოყოფით მიღებულ მდგომარეობას: [39]

$$\beta(B_0^2 - B^2) = a(R_0^2 - R^2) \quad (2)$$

სადაც B_0 და R_0 არის ბრძოლის დასაწყისში წითელი და ლურჯი ძალების რაოდენობა. კერძოდ, როცა ტოლია მონაცემები: B_0, R_0, β და a , ვიღებთ პარიტეტულ პირობას: $\beta B_0^2 = a R_0^2$ და ბრძოლა მთავრდება ურთიერთგანადგურებით. იმ შემთხვევაში, როცა ერთ-ერთი მხარეს, რომელიც უფრო მეტად არის დაზიანებული, ავიყვანთ კვადრატში, იგი ბრძოლას იგებს. იმის მიუხედავად, რომ ცვეთის (ანუ განადგურების) მონაცემს აქვს წრფივი ეფექტი, ზომის ეფექტი არის კვადრატული. [40] დანაკარგების პროპორციულად იზრდება განადგურების გაორმაგებული მაჩვენებელი, შესაბამისად საბრძოლო საშუალებებს აქვთ კვადრატული ზემოქმედების ეფექტი, რის გამოც უწოდეს კვადრატული კანონი მიზანმიმართული ცეცხლის მოდელს. ეს კანონი წარმოაჩენს ძალების კონცენტრაციის მნიშვნელობას და წარმოადგენს ერთ-ერთ სამხედრო პრინციპს. [40]

(1) განტოლებების სისტემის ამონახსნია:

$$R = R_0 ch\sqrt{a\beta} t - B_0 \sqrt{\frac{\beta}{a}} sh\sqrt{a\beta} t \quad (3)$$

$$B = B_0 ch\sqrt{a\beta} t - R_0 \sqrt{\frac{a}{\beta}} sh\sqrt{a\beta} t$$

ამ მათემატიკურ მოდელში იგულისხმება ბრძოლის პროცესის რამდენიმე დაშვება, რომლებიც მას საკმაოდ მარტივს, სქემატურს ხდის. ეს დაშვებებია, როდესაც:

1. მხარეებს თითო გვარეობის ძალები ჰყავთ.
2. a და β მუდმივები ეფექტური სწრაფსროლებია. ისინი ერთეულების სივრცით განლაგებასა და დროზე დამოკიდებული არ არის.
3. სივრცითი კოორდინატები, რომლებიც ასახვს საბრძოლო ერთეულებს, ბრძოლის პროცესზე გავლენას არ ახდენს. აქედან გამომდინარე იგულისხმება, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს ერთ წერტილში.

ასეთი სიმარტივის მიუხედავად, (1) სისტემიდან არაერთი დასკვნის გაკეთება მაინც არის შესაძლებელი. ტაქტიკის ზოგი საკითხის გარკვევისათვის მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ლანჩესტერმა რამდენიმე დაშვების საფუძველზე წრფივი კანონის ორი მოდელი შეიმუშავა. პირველ მოდელს უძველეს ბრძოლას უწოდებს. მისი აზრით, ბრძოლა იმ ინდივიდუალურ დუელთა კრებულია, რომლებიც ისტორიის ადრეული პერიოდისათვის არის ტიპური. ასეთ ბრძოლებში ძალების კონცენტრაცია არაარსებითია. ასე რომ, $\beta(B_0 - B) = a(R_0 - R)$ განტოლება აღწერს უძველეს ბრძოლას. ვინაიდან ზემოქმედების ძალა ამ შემთხვევაში წრფივია, მას ჰქვია ბრძოლის წრფივი კანონი. [41]

$$\frac{dB}{dt} = -a$$

(3)

$$\frac{dR}{dt} = -\beta$$

მეორე წრფივი კანონი განსხვავდება პირველისაგან იმით, რომ იგი არ აღწერს დამიზნებულ ცეცხლს, რომელიც დამოკიდებულია არა გადარჩენილი ძალის ზომაზე, არამედ მათი განლაგების სიმჭიდროვეზე. ვინაიდან ცეცხლი დამიზნებული არ არის, დაპირისპირებული ძალის დაზიანების ალბათობა ზემოქმედების რაიონში სამიზნეთა რაოდენობაზეა

დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ამ მოდელს უწოდებენ საცეცხლე რაიონის მოდელს. ასეთ შემთხვევაში დიფერენციალურ განტოლებათა წყვილია:

$$\frac{dB}{dt} = -aBR \tag{4}$$

$$\frac{dR}{dt} = -\beta BR$$

ლანჩესტერის კლასიკური მოდელის მიხედვით არსებობს წრფივი და კვადრატული განტოლებების სხვადასხვა ვარიანტი. არსებობს ზემოთ მოცემული ლანჩესტერულ განტოლებათა ალბათობის ვერსიები. ისინი უწყვეტი დროით მიმდინარე პროცესებს წარმოადგენენ. მართალია, მათ ბრძოლის ველზე განსაზღვრულ ალბათობათა გათვალისწინებით იყენებენ, მაგრამ შედარებით შეზღუდული შესაძლებლობისა და გამოთვლითი სირთულის გამო მაინც ნაკლებად გვხვდება. ისინი ისეთი არაერთგვაროვანი საბრძოლო სიტუაციებისას გამოიყენება, როგორც არის, მაგალითად, ასიმეტრიული ომი. [42]

3.2. საცეცხლე ზემოქმედების ეფექტი ასიმეტრიულ ბრძოლაში

ასიმეტრიულია ბრძოლა მაშინ, როდესაც დაპირისპირებული მხარეები განსხვავებულ ტაქტიკას მიმართავენ, ქვეყნის რეგულარული ძალები ებრძვიან აჯანყებულებს ან პარტიზანებს, რომლებიც ასიმეტრიულ საომარ ტაქტიკას იყენებენ. ეს ვითარება ლანჩესტერის განტოლების გამოყენებით პირველად აღწერა დეიჩმანმა. მან ფართობზე ცეცხლის შერეული და პირდაპირი ცეცხლის მოდელი შეიმუშავა, რომელსაც პარტიზანული ბრძოლის მოდელი უწოდა. ერთი მხრივ, კარგად შენიღბულ პარტიზანებს, რომლებიც ჩასაფრებული ან შერეული არიან მშვიდობიან მოსახლეობაში, დამიზნებული ცეცხლი აქვთ მიმართული რეგულარული ძალების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ფართობზე გახსნილი ცეცხლის გამოყენება პარტიზანების წინააღმდეგ მხოლოდ რეგულარულ ძალებს შეუძლიათ. აღნიშნული ძალის ეფექტიანობა პარტიზანი მებრძოლების

სიმჭიდროვეზეა დამოკიდებულია. განადგურების გამო იკლებს რა მათი რაოდენობა, რთულდება ცოცხლად დარჩენილი სამიზნის პოვნა. ასევე მცირდება ზემოქმედების ალბათობაც. თუ R წარმოადგენს რეგულარულ ძალას, ხოლო B – პარტიზანებს, ცვეთის განტოლებები იქნება: [42]

$$\frac{dB}{dt} = -pR \frac{B}{B_0} \quad (5)$$

$$\frac{dR}{dt} = -\beta B$$

მოცემული პირობების გათვალისწინებით ვიღებთ ტოლობას:

$$\beta(B_0^2 - B_0B) = \frac{a}{2}(R_0^2 - R^2) \quad (6)$$

მე-(6) ფორმულა კვადრატული და წრფივი კანონების (ლანჩესტერის ორი კანონის) ნაზავია:

როცა ბრძოლის ველზე პარტიზანები არ ჩანან, რეგულარული ძალები კი ღიად მოქმედებენ, პარტიზანებს რეგულარულ ძალებთან მიმართებით აქვთ უპირატესობა, რაც გამოიხატება მე-(6) განტოლებით:

$$\frac{\beta B_0^2}{aR_0^2} = \frac{1}{2} \quad (7)$$

ყურადსაღებია, რომ ბრძოლა მიმდინარეობს ერთნაირ პირობებში. რეგულარული ძალა (წითელი) საჭიროებს თავისი ეფექტურობის გაორმაგებას ან ძალების საწყისი რაოდენობის გაზრდას, რათა პარტიზანების შესაძლებლობის თანაფარდობას მიაღწიოს.

ნაშრომში წარმოდგენილი ვითარების მიხედვით, ძალები ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედებენ და ადეკვატურად მიმართავენ რელიეფის შემდეგ სამხედრო ასპექტებს: დაფარვას და შენიღბვას; თვალთვალსა და საცეცხლე ველებს; დაბრკოლებებს; საკვანძო ადგილებს; მიახლოების მარშრუტებს. მოწინააღმდეგის კონვენციური (სიმეტრიული) ტაქტიკის ეფექტიანობას მნიშვნელოვნად შეამცირებს საკომუნიკაციო ხაზებზე ჩასაფრებები, რეიდები, რომლებიც იწარმოება მაღალი ღირებულების სამიზნეების განადგურებისთვის. ასევე, ასიმეტრიულ ძალთა

მოქმედების თავისუფლებას მნიშვნელოვნად გაზრდის ადგილმდებარეობა, მაგალითად, მთაგორიანი რელიეფი, დასახლებული პუნქტები. [43]

ასიმეტრიული ხასიათის ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობს ვიწრო გადასასვლელებში (უღელტეხილებზე ან ხიდებზე). დამცავი ლურჯი B ძალა მოხერხებულად განლაგდება დომინირებულ ადგილებში, რათა შეძლოს ცეცხლის კონცენტრირება მოახლოებულ შემტევ, R წითელ, ძალაზე, რომელმაც შეზღუდული მდებარეობის გამო ვიწრო კორიდორში უნდა იმოძრაოს. ასე რომ, ლურჯი ძალა ყველა ქვედანაყოფიდან შეძლებს პირდაპირი ცეცხლის გამოყენებას, ხოლო წითელს ამის შესაძლებლობა ექნება მხოლოდ წინა მოძრავი იარაღიდან. ამ სცენარს შეესაბამება ლანჩესტერის განტოლებები: [43]

$$\begin{aligned}\frac{dR}{dt} &= -\beta B \\ \frac{dB}{dt} &= -a\end{aligned}\tag{8}$$

გატოლებით მიიღება $\frac{\beta}{2}(B_0^2 - B^2) = a(R_0 - R)$ და პარიტეტური პირობაა:

$$\frac{\beta B_0^2}{aR_0} = 2\tag{9}$$

იმისათვის, რომ პარიტეტს მიაღწიოს, არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფმა შემტევმა წითელმა ძალამ საწყისი ძალა კვადრატში უნდა აიყვანოს, რომ გაუტოლდეს ლურჯ ძალას. განტოლებათა ამ სისტემებში ბრძოლის ასეთი მოდელები ასიმეტრიის განსხვავებულ გამოვლინებებს წარმოადგენს. ამ დროს დაპირისპირებული მხარეები იყენებენ განსხვავებულ ტაქტიკას. [40]

როდესაც ერთი (წითელი) გვარეობის ძალა n რაოდენობის ქვედანაყოფისაგან (B_1, \dots, B_n) შემდგარ სხვადასხვა გვარეობის ლურჯ ძალას ებრძვის, ეს დამიზნებული ცეცხლის სიტუაციაა. n რაოდენობის ლურჯი ქვედანაყოფი განსხვავდება როგორც საცეცხლე დაცულობით, ისე ეფექტურობით. მოდით, წითლის (R_i) დაზიანების სიჩქარე აღვნიშნოთ a_i – ით ლურჯთან (B_i) მიმართებაში ($i = 1, \dots, n$). მართალია, ლურჯი წითლის საწინააღმდეგოდ ყველა თავის ერთეულს იყენებს, ეს უკანასკნელი მაინც

დგება დილემის წინაშე, კერძოდ, ის ეძებს გზებს, როგორ განათავსოს ცეცხლი დაპირისპირებულ ძალებს შორის დინამიკურად. მაშასადამე, მნიშვნელოვანია დადგინდეს დროის t მონაკვეთში ბრძოლაში ჩართვისთვის $R_i(t)$ რა ნაწილს – $p_i(t)$ – გამოყოფს.

ამ სიტუაციისთვის ლანჩესტერის განტოლება ასეთ სახეს მიიღებს:

$$\frac{dR}{dt} = - \sum_{i=1}^n \beta_i B_i(t) \tag{10}$$

$$\frac{dB}{dt} = -a_i(t)\beta_i B(t), \quad i = 1, \dots, n,$$

სადაც, ყველა t $\sum_{i=1}^n p_i(t) = 1$

მანამდე წარმოდგენილი მოდელები წმინდა აღწერითია. ეს განასხვავებს (10)-ის მოდელს, რომელსაც პირობითი ხასიათი აქვს. წითელმა ძალებმა უნდა გადაწყვიტონ, როგორ გაანაწილონ შეტევითი ძალები, ანუ განსაზღვრონ რა იქნება $p_i(t)$ -ის მისაღები მნიშვნელობები დროის ნებისმიერი t მონაკვეთისთვის. ასეთ პირობებში t დროისთვის წითლების საუკეთესო ტაქტიკა იქნება, ლურჯების გარკვეული ერთეულებისთვის i რაოდენობა ჩაერთოს ბრძოლაში – $p_i(t)=1$. წითელმა ძალამ მთელი ცეცხლი ერთდროულად არ უნდა გაანაწილოს გარკვეულ ტერიტორიაზე. საჭიროა მისი კონცენტრირება ლურჯი ძალების წინააღმდეგ ერთი მიმართულებით. უფრო მეტიც, ლურჯი ქვედანაყოფების შესამცირებლად წითელმა ძალებმა დროის ნებისმიერ მონაკვეთში ბრძოლაში უნდა ჩართონ $\beta_i \alpha_i$ ძალები, რომ ლურჯებზე წითელ ძალთა ცეცხლის კონცენტრირება მოახდინონ. [45]

ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედმა B ქვედანაყოფმა (პარტიზანებმა), რომელმაც R ძალის მოქმედებას უპასუხება, ორი მიმართულებიდან (B_x და B_y ანუ $B_x > B_y$) მაინც უნდა აწარმოოს დამიზნებული ცეცხლი კონკრეტულ წერტილში და არათანაბრად გადაანაწილოს ძალები. ამ შემთხვევაში მასირებული საცეცხლე ზემოქმედება, რომელიც R ძალაზე ერთდროულად არის გახსნილი, გაგრძელდება მოწინააღმდეგე მხარის საპასუხო ცეცხლის

კონცენტრირებამდე (რაც გულისხმობს ვითარებაში გარკვევას, საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას). ამ დროისთვის B_x ძალა სასწრაფოდ წყვეტს ცეცხლს, ტოვებს პოზიციებს, რომ ცეცხლის მასირება მოწინააღმდეგე B_y შედარებით მცირე ძალების წინააღმდეგ მოახდინოს. ასეთ ვითარებაში R ძალის მასირებული ცეცხლის ეფექტიანობა იკლებს, ხოლო მეორის, B -ს, გადარჩენის შანსები იზრდება.

3.3. რიცხოზრვად ჭარბი მოწინააღმდეგის დამარცხება დანაწევრებით

წარმოვიდგინოთ, ორ მოწინააღმდეგეს შორის B მხარეს რაოდენობრივად სჭარბობს R მხარე. რასაკვირველია, მათ პირისპირ შეტაკებაში R მხარე გაიმარჯვებს. იმ შემთხვევაში, თუ დაპირისპირებული სამხედრო ძალები სრულად არ ჩაერთვებიან ბრძოლაში, მაშინ B მხარე მისი რომელიმე ნაწილის დამარცხებას მაინც შეძლებს. იმისათვის, რომ B მხარემ ღირსეულად იბრძოლოს და სრულად გაანადგუროს R მხარე, საჭიროა მოწინააღმდეგე ძალების რაც შეიძლება მეტ ნაწილად დაშლა, რათა გაადვილდეს როგორც თითოეული ბრძოლის, ისე მთელი ოპერაციის მოგება.

დავუშვათ ასეთი პირობა: სხვა ყველა ფაქტორი (იარაღის ხარისხი, ეფექტური სროლის სიხშირე, სწრაფსროლა, მეზრძოლთა სულისკვეთება, ფსიქოლოგიური მომზადება, სხვა საკითხების უზრუნველყოფა, ლოგისტიკა და ა.შ.) თანაბარია.

B მხარის გამარჯვებად უნდა ჩავთვალოთ ის მომენტი, როცა დამთავრებულია ბრძოლები, მთლიანად განადგურებულია R მხარე, B მხარეს კი მეზრძოლთა რაღაც რაოდენობა დარჩა.

შევთანხმდეთ, ბრძოლის დაწყებამდე B მხარეს X_0 რაოდენობის ჯარი ჰყავს, R მხარეს კი – $Y_0 = K \cdot X_0$ (K ძალთა თანაფარდობის კოეფიციენტი).

ბრძოლის დინამიკის მათემატიკური მოდელირების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ B მხარე პირდაპირი შეზრძოლების დროს პირწმინდად წააგებს. ამიტომ იგი მოწინააღმდეგეს ანაწევრებს N ნაწილებად, რათა თითოეული მათგანი ცალ-ცალკე, ეტაპობრივად გაანადგუროს, ანუ

ჯერ უნდა შეებრძოლოს ყოველ $\frac{K \cdot X_0}{N}$ ნაწილს, ხოლო n რაოდენობის ბრძოლების შემდეგ სრულიად გაანადგუროს მოწინააღმდეგე. მოდით დავადგინოთ, რის ტოლია N .

ღანჩესტერის განტოლების მიხედვით, როდესაც B მხარე შეებრძოლება R მხარის $\frac{K \cdot X_0}{N}$ ნაწილს, პირველი ბრძოლის ბოლოს X_1 რაოდენობის ძალები რჩება, რაც ფორმულით ასე გამოისახება: [42]

$$X_1 = \sqrt{X_0^2 - \left(\frac{K \cdot X_0}{N}\right)^2} = X_0 * \sqrt{1 - \left(\frac{K}{N}\right)^2} \quad (11)$$

შემდეგ ბრძოლაში B მხარე X_1 ნაწილით ჩაებმება და R მხარე – $\frac{K \cdot X_0}{N}$ ნაწილით. ამ ბრძოლის შემდგომ X_2 ნაწილი დარჩება B მხარეს:

$$X_2 = \sqrt{X_1^2 - \left(\frac{K \cdot X_0}{N}\right)^2} = \sqrt{X_0^2 \left[1 - \left(\frac{K}{N}\right)^2\right] - \left(\frac{K \cdot X_0}{N}\right)^2} = X_0 * \sqrt{1 - 2\left(\frac{K}{N}\right)^2} \quad (12)$$

იმავე მეთოდით, $n-1$ ბრძოლის შემდგომ B მხარეს დარჩება:

$$X_{n-1} = X_0 * \sqrt{1 - (n-1) \left(\frac{K}{N}\right)^2}$$

ძალები, ხოლო მოწინააღმდეგეს – ბოლო $\frac{K \cdot X_0}{N}$ ძალები.

B მხარის დარჩენილ საბრძოლო ერთეულებს სურთ აღნიშნული ბრძოლის წინ სძლიონ და დაამარცხოთ R მხარის დარჩენილი $\frac{K \cdot X_0}{N}$ ნაწილი. ამოცანის გადასაჭრელად მოცემული პირობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. ანალიტიკური სტრატეგიის მიხედვით, ეს მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც R მხარე რიცხობრივად მეტია B მხარეზე (როგორც თავიდანვე შევთანხმდით, ყველა სხვა საბრძოლო მაჩვენებელი ერთნაირია), ანუ, როცა:

$$X_{n-1} \geq \frac{K \cdot X_0}{N}, \quad \text{ი.ე.,} \\ X_0 * \sqrt{1 - (n-1) \left(\frac{K}{N}\right)^2} \geq \frac{K \cdot X_0}{N} \quad (13)$$

თუ კვადრატში ავიყვანთ უტოლობის ორივე მხარეს და გავამარტივებთ, მივიღებთ:

$$1 - (n - 1) \left(\frac{K}{N}\right)^2 \geq \frac{K^2}{N^2} \quad (14)$$

თუ ბრძოლათა n რაოდენობას მივიჩნევთ მოწინააღმდეგის დანაწევრების N რაოდენობის ტოლად $n = N > 1$, უტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$1 \geq \frac{K^2}{N}$$

ანუ: (15)

$$N \geq K^2.$$

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, რამდენ ნაწილად უნდა დაყოს B მხარემ რაოდენობრივად ჭარბი მოწინააღმდეგე, რომელიც მას K -ჯერ აღემატება, რათა გაიმარჯვება მოიპოვოს მის ყოველ $\frac{1}{N}$ ნაწილზე, N რაოდენობის ბრძოლების შემდგომ კი საბოლოო გამარჯვებას მიაღწიოს. [40]

პირობითად, N კოეფიციენტს შეგვიძლია „დანაწევრების“ კოეფიციენტი ვუწოდოთ.

მაგალითად: B მხარეს ათი მეზობლი ერთეული ჰყავს, R მხარეს – ორმოცი (ანუ $K=4$), B მხარემ შეიძლება საბოლოოდ მოიგოს ბრძოლები იმ შემთხვევაში, თუ გაუმართავს მას არანაკლებ $N \geq K^2 \geq 16$ ბრძოლას და თითოეულ ამ ბრძოლებში შეეხება მის $1/16$ ნაწილს, რაც არაუმეტეს 2,5 საბრძოლო ერთეულს გულისხმობს.

მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, რომ B მხარე შეძლებს R მხარის დამარცხებას, თუ შეძლებს, რომ ყველა ბრძოლაში მოწინააღმდეგეს მიაყენოს არანაკლებ $R_d \geq \frac{K \cdot X_0}{N}$ დანაკარგი (ანუ რადგანაც $N \geq K^2$, R_d არ უნდა იყოს $\frac{X_0}{K}$ -ზე ნაკლები), ხოლო B მხარის დანაკარგი (B_d) არ უნდა აღემატებოდეს $X_0 - X_1$ -ს, ანუ:

$$B_d \leq X_0 - X_0 * \sqrt{1 - \left(\frac{K}{N}\right)^2} \leq X_0 * \left(1 - \sqrt{1 - \frac{1}{K^2}}\right) \quad (16)$$

იქმნება განტოლებათა (უტოლობათა) სისტემა.

$$\begin{cases} R_d \geq \frac{X_0}{K} \\ B_d \leq X_0 * \left(1 - \sqrt{1 - \frac{1}{K^2}}\right) \end{cases} \quad (17)$$

იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს საძებნი წინაპირობა, შეგვიძლია დავაკვირდეთ შეფარდებას ორივე მხარის დანაკარგებს შორის,

$$\frac{R_d}{B_d} = \frac{\frac{X_0}{K}}{X_0 * \left(1 - \sqrt{1 - \frac{1}{K^2}}\right)} = \frac{1}{K - \sqrt{K^2 - 1}} \quad (18)$$

(18) გამოსახულება არის მხარეთა ბრძოლის წინა ეტაპზე დანაკარგების შეფარდება, რომლიდანაც ჩანს, რომ ამ პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, როდესაც B მხარე ბრძოლის იმ მომენტში ერთი საბრძოლო ერთეულით თვითონ განიცდის დანაკარგს, ამ დროს მას R მხარისათვის მიყენებული ექნება ზარალი $R_d \geq \frac{1}{K - \sqrt{K^2 - 1}}$ ოდენობით. ასეთ ვითარებაში იგი მიაღწევს ომის საბოლოო შედეგს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი წააგებს.

განვიხილოთ მაგალითი:

$$\text{დავუშვათ, } \frac{R}{B} = K = 4$$

B მხარეს შეუძლია დაკარგოს ერთი საბრძოლო ერთეული და მას შემდეგ შეუძლია მოიგოს ომი საბოლოოდ (ან იმ პირობით), რაც R მხარე განიცდის დანაკარგს

$$R_d \geq \frac{1}{4 - \sqrt{16 - 1}} \geq \frac{1}{0,127} \geq 7,87 \approx 8$$

მსგავსად, შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ K სიდიდის სხვადასხვა შემთხვევა, რომლებიც უტოლობათა სისტემას დააკმაყოფილებს.

ქვემოთ მოყვანილია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია თითოეული ბრძოლის საწყის ეტაპზე R მხარის დანაკარგები. იგი გვიჩვენებს, თუ რა სიდიდეზე ნაკლები არ უნდა იყოს R_d , როდესაც $B_d=1$, სადაც, K იცვლება ერთიდან 10-ამდე, რათა B მხარემ შეასრულოს ამოცანა და საბოლოოდ გაანადგუროს ჭარბი ძალების მქონე მოწინააღმდეგე, როცა:

$$K = 1, \quad R_d \geq 1,0$$

$$K = 2, \quad R_d \geq 3,7320 \approx 4$$

$K = 3,$	$R_d \geq 5,8284 \approx 6$
$K = 4,$	$R_d \geq 7,8729 \approx 8$
$K = 5,$	$R_d \geq 9,8989 \approx 10$
$K = 6,$	$R_d \geq 11,9161 \approx 12$
$K = 7,$	$R_d \geq 13,9210 \approx 14$
$K = 8,$	$R_d \geq 15,9372 \approx 16$
$K = 9,$	$R_d \geq 17,9443 \approx 18$
$K = 10,$	$R_d \geq 19,9497 \approx 20$

3.4. მოულოდნელობის ეფექტი ასიმეტრიულ ბრძოლაში

ჭარბი ძალის მქონე მოწინააღმდეგე R-ის დამარცხება შესაძლებელია მცირერიცხოვანი B ძალის მიერ მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებით. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვანია, რომ მცირერიცხოვანმა ძალამ მოწინააღმდეგესთან ბრძოლები ისე აწარმოოს, რომ ყოველ შეტაკებაში თითოერთი f დანაკარგი იყოს K სიდიდის ორმაგი მნიშვნელობის ტოლი ან მასზე მეტი. ეს ნიშნავს, ის ზიანს ისე აყენებს მოწინააღმდეგეს, რომ თავად დანაკარგი ჯერ არ განუცდია. იმ დროს, როცა მოწინააღმდეგეთა ძალა შეძლებს B მხარეს მიაყენოს რაღაც f დანაკარგი, მაშინ მისი დანაკარგი აღემატება $B_d \geq 2 \cdot K \cdot f$ -ს და B მხარე იგებს ბრძოლას. მისი მთავარი ამოცანაა, ისე დაგეგმოს და აწარმოოს ბრძოლა, რომ მისთვის ხელსაყრელ პერიოდში მოწინააღმდეგეს „ამოაკლოს“ წინასწარ გათვლილი დანაკარგების რაოდენობა და გავიდეს კონტაქტიდან. ამის გათვალისწინებით გამოსახულება იძენს შემდეგ სახეს: [40]

$$\begin{cases} B_d \leq f \\ R_d \geq 2 \cdot K \cdot f \end{cases} \quad (19)$$


დავუშვათ, რომ არსებობს დროის Δt მონაკვეთი, როდესაც B მხარე R-ზე, იწყებს ზემოქმედებას, მაგრამ ამ უკანასკნელის მსროლელი ერთეულები ჯერ ვერ აწარმოებენ საპასუხო სროლას, რადგან საბრძოლო მდგომარეობაში არ იმყოფებიან ან სროლის ეფექტურობა მათი მხრიდან ნულის ტოლია.

დამიზნებით სროლა შეიძლება ვერ განხორციელდეს, სადაზვერვო ინფორმაციის არქონის გამოც. ესე იგი, დროის Δt მონაკვეთისათვის B მხარეს ისევე X_0 რაოდენობის საბრძოლო ერთეული ეყოლება, ხოლო R მხარის დანაკარგები გამოსახული იქნება წრფივი სიდიდით: [39]


$$R_d = X_0 \cdot \beta \cdot \Delta t \quad (20)$$

ამ განტოლებაში β წარმოადგენს B მხარის საბრძოლო ერთეულის ეფექტურ სწრაფსროლას.

მოცემული გამოსახულების „სწორხაზოვნება“ აჩვენებს იმას, რომ ამ ეტაპზე ლანჩესტერის განტოლებათა სისტემა „არ მუშაობს“. იგი „ამუშავდება“ Δt დროის შემდეგ, როცა R მხარე „გონს მოვა“, მოიძიებს გარკვეულ სადაზვერვო ინფორმაციას, მოემზადება საბრძოლველად და დაიწყებს დამიზნებით სროლას. რაღაც პერიოდის შემდეგ გარკვეული კანონზომიერების საფუძველზე მოხდება ისე, რომ მისი სწრაფსროლა გაუტოლდება თავის მაქსიმუმს. გრაფიკულად ეს დამოკიდებულება ასახულია ნახ. 9-ზე. აქვე ნაჩვენებია, როგორ შეიძლება ბრძოლის ნებისმიერი მომენტისათვის გრაფიკულად ზოგადად დახასიათდეს დაუზიანებელი (ანუ გადარჩენილი) ძალების რაოდენობა $X(t)$ და $Y(t)$.



ნახ. 9. R და B მხარეების დანაკარგების გრაფიკი



ნახ. 10. გადარჩენილი ძალების რაოდენობა დროში

Δt არის დროის მონაკვეთი, როდესაც B მხარე ცალსახად იგებს ბრძოლას. β მოცემული დროის განმავლობაში მაქსიმალურია. ამ დროს წარუმატებელია R-ის საბრძოლო ერთეულის სწარაფსროლა ($\alpha=0$). ბრძოლის სცენარში B მხარის მიერ ფარულობისა და მოულოდნელობის ელემენტების მაქსიმალურად გამოყენებით თეორიულადაც და პრაქტიკულადაც ეს სავსებით შესაძლებელია. სავარაუდოდ, R მხარე Δt დროის შემდეგ შეძლებს გარკვეული ინფორმაციის მოპოვებას, რის შემდეგაც α თანდათან გაიზრდება. თეორიულად დასაშვებია, რომ იგი ნულიდან მყისიერად ავიდეს მაქსიმუმზე, მაგრამ ეს არ არის არსებითი. მნიშვნელოვანია ის, რომ დროის t_1 მონაკვეთში B მხარეს ბრძოლის წარმოება ჯერ კიდევ შუძლია, მაგრამ t_1 დროის ამოწურვის შემდეგ B მხარე უკვე წაგებას იწყებს.

t_1 კრიტიკული დროა, როდესაც უტოლობათა სისტემას ჯერ კიდევ აკმაყოფილებს მოცემული ამონახსნები, ანუ როცა „ამოკლების“ კოეფიციენტის მოთხოვნა ჯერ კიდევ სრულდება.

t_1 დროის შემდეგ იზრდება B_d დანაკარგების რაოდენობა, ამიტომ B მხარე სასწრაფოდ უნდა გაერიდოს ბრძოლას ან დატოვოს ბრძოლა კონკრეტულ ადგილას და უკვე სხვა მონაკვეთზე მაშინვე შექმნას მოულოდნელობის ახალი ვითარება ფარულობის სრული დაცვით, ბრძოლა განაგრძოს ახალი სცენარით, თუმცა იმავე პრინციპების მიხედვით. ამიტომ

რაც შეიძლება მეტი ახალი სცენარი უნდა იყოს მომზადებული. თუ მოწინააღმდეგე ხშირად ჩავარდება მისთვის უცხო ვითარებაში, უფრო სწრაფად ამუშავდება მისი დამარცხების ის ფაქტორები, რომლებიც არ განისაზღვრება მხოლოდ მათემატიკური დანაკარგების სიდიდით. [39]

განვიხილოთ მაგალითი:

დავუშვათ, B მხარე თავს ესხმის დისლოკაციის ადგილზე კონცენტრირებულად განლაგებულ R მხარეს (ან მის კოლონას). B მხარეს აქვს სრული სადაზვერვო ინფორმაცია მოწინააღმდეგის შესახებ, ხოლო R მხარეს – არანაირი. შესაბამისად, მისი ეფექტური სროლის სიხშირე ნულის ტოლია. B მხარე სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია, R მხარე – არა. ვთქვათ, R მხარის სრულ მზადყოფნაში მოყვანას სჭირდება 3 წუთი, ხოლო ვითარებაში საბოლოოდ გარკვევა და ეფექტური სროლის სიხშირის მაქსიმუმამდე აყვანა დაიკავებს კიდევ ხუთ წუთს.

ბრძოლის წინ მებრძოლ ერთეულთა რაოდენობაა: B მხარისათვის ოცი ერთეული, ხოლო R მხარისათვის – ორასი ერთეული, ანუ $X_0=20$, $Y_0=200$, $K=10$.

(1) გამოსახულების თანახმად, თუ B მხარე საბრძოლო მოქმედებების დინამიკაში შეძლებს და β სიდიდეს გაუტოლებს 0,3 მაჩვენებელს ანუ, თუ მის სამ ერთეულს შეეძლება წუთში გაანადგუროს მოწინააღმდეგის ერთი საბრძოლო ერთეული, მაშინ $\Delta t=3$ -ს. ეს არის დრო, როდესაც R მხარე სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოვა (გაიღვიძებს, იარაღს აისხამს, პოზიციებს დაიკავებს, იარაღს გადატენის, სამიზნეს შეარჩევს ან მანქანიდან ჩამოქვეითდება, კოლონას საბრძოლოდ გადააწყობს და ა.შ.), B მხარე განაცდევინებს მას დანაკარგს:

$$R_d = 20 \cdot 3 \cdot 0,3 = 18 \text{ ერთეულს.}$$

თუ $\Delta t=3$ წუთის შემდეგ B მხარე შეინარჩუნებს გარკვეულ უპირატესობას (მაგალითად, ფარულობის მაღალ ხარისხს, მანევრუნარიანობას, საინჟინრო თვალსაზრისით ხელსაყრელ პირობებს და ა.შ.) და მიზანშეწონილად ჩათვლის კონტაქტის (ბრძოლის) გაგრძელებას, ის შეძლებს მოწინააღმდეგის კიდევ ორი ერთეულის განადგურებას მანამ, სანამ

თვითონ ერთ ერთეულს დაკარგავს ან არ დაკარგავს. სწორედ ეს წარმოადგენს t_1 -ს, რომლის წინასწარ გათვლა შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია მისი კონტროლი. იმ შემთხვევაში, თუ t_x დროისათვის $R_d=20$ -ს, ხოლო $B_d=1$ -ს, მაშასადამე, B მხარე ჯერ კიდევ იგებს ბრძოლას. მაგრამ თუ $B_d=2$ -ს, მაშინ – აგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ $t_x > t_1$ -ზე, ანუ კონტროლის წერტილი (ასე ვუწოდოთ ამ მომენტს) გავლილია, მოწინააღმდეგე ახერხებს უპირატესობის შემობრუნებას და პროცესის თავის სასარგებლოდ წარმართვას. ბრძოლის განგრძობის შემთხვევაში B მხარე უეჭველად დამარცხდება. ან, თუნდაც ერთ ეტაპზე მოიგოს ბრძოლა, იგი უნდა გაეცალოს ბრძოლის ველს ან რადიკალურად შეცვალოს მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების მიმართულება. ეს კი ფაქტობრივად ახალი ოპერაციაა.

3.5. სამიზნეზე ინფორმაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლანჩესტერის დამიზნებული ცეცხლის მოდელი მოწინააღმდეგეების მხრიდან სამიზნეების სრულ ხილვადობას გულისხმობს, ხოლო საომარ რაიონში კონკრეტულ უბანზე წარმოებული ცეცხლის მოდელი ხილვადობას არ ითვალისწინებს. ორივე მხარე ისვრის, თუმცა შედეგი დამოკიდებულია ცოცხალ სამიზნეთა სიმკვრივეზე. [45]

მაგრამ რა მოხდება, როდესაც:

1. ბრძოლაში ორივე შემთხვევა გამოიკვეთება?
2. მეორე მხარისთვის ძალის მხოლოდ ნაწილია ხილვადი, დანარჩენი ძალა კი დაფარულია?
3. არსებობს მოწინააღმდეგის სამიზნეებთან დაკავშირებით სიტუაციური ინფორმირებულობის გარკვეული დონე?

პარამეტრები, რომლებიც სიტუაციური ინფორმირებულობის დონეს განსაზღვრავს, აქვთ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს. ამ პარამეტრებით ე.წ. ვაჭრობა მხარეების საცეცხლე ძალის გამოყენებით ხორციელდება. ფორმალურად, ლურჯისთვის წითლების შესახებ ხელმისაწვდომი სამიზნე μ ინფორმაცია ზუსტდება მაშინ, როდესაც $0 \leq \mu \leq 1$, ამ შემთხვევაში ორივე

მიმართულებით სამიზნეები სრულად ხილვადია, ხოლო თუ ხილვადობას არ ითვალისწინებს გარკვეულ უბნებზე პარალელურად წარმოებული ცეცხლი, ასეთ შემთხვევაში სახეზეა შერეული მოდელი. $\mu = 0$ -ს ნიშნავს სამიზნე ინფორმაციის არარსებობას, $\mu=1$ -ს ნიშნავს სრულ ხილვადობას. μ -ს სამივე მდგომარეობა გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს წითელი ძალების ადგილმდებარეობისა და სამიზნე წერტილების შესახებ. ანალოგიურად განისაზღვრება ლურჯი ძალების სამიზნეებზე წითელი ძალებისთვის v , $0 \leq v \leq 1$ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. ამ შემთხვევაშიც დიფერენციალური განტოლებების წყვილები იქნება: [45]

$$\frac{dB}{dt} = -aR \frac{vB_0 + (1-v)B}{B_0} \quad (21)$$

$$\frac{dR}{dt} = -\beta B \frac{uR_0 + (1-u)R}{B_0}$$

იმ შემთხვევაში, როცა გვაქვს მონაცემი $\mu = v = 0$ (ე.ი. სიტუაციური ცოდნა არცერთ მხარეს არ აქვს), (21)-ე განტოლება იღებს (4) სახეს, ანუ ხილვადობა არ არის. როდესაც $\mu = v = 1$ (სრულყოფილი ხილვადობა), განტოლება (21)-ე იღებს (1) სახეს, ე.ი. დაპირისპირებული მხარეები აღმოაჩენენ ერთმანეთს. (1) განტოლებას ვიღებთ მაშინ, თუ $\mu = 0$, ხოლო თუ $v = 1$, მივიღებთ (10) განტოლებას. როდესაც გვაქვს დეიჩმანის პარტიზანული ომის მოდელი, ვიღებთ (5) განტოლებას. განსაკუთრებულ შემთხვევად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი მონაცემი: $v = 1$ და $0 \leq \mu \leq 1$. მას დეიჩმანის განზოგადებული მოდელი ეწოდება.

ეს მოდელები თანამედროვე პარტიზანთა საწინააღმდეგო ოპერაციებს წარმოადგენენ. აქ საოკუპაციო ძალა წითელია. ის აკონტროლებს ტერიტორიას. იმის მიხედვით, თუ რა რესურსს იყენებს მოწინააღმდეგე, პარტიზანებს შეუძლიათ მიმართონ დარტყმისა და გაქცევის ტაქტიკას. ეს რესურსებია: ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება, სათვალთვალო სისტემები და მოწინავე სენსორები.

$$\frac{dR}{dB} = \frac{\beta B}{ar(\mu + (1-\mu)B/B_0)} \quad (22)$$

მოცემული ტოლობიდან მივიღებთ პარიტეტული მდგომარეობის განტოლებას:

$$\frac{\beta B_0^2}{a R_0^2} = \frac{1-\mu}{2} \left(1 + \frac{\mu \log \mu}{1-\mu} \right)^{-1} \quad (23)$$

მართლაც, როდესაც $\mu = 0$ -ს, განტოლება (23) მიიღებს (7) განტოლების სახეს. როდესაც $\mu = 1$ -ს ვიღებთ (23)-ს, ეს განტოლება პარიტეტული პირობაა კვადრატული კანონისა $-\frac{\beta B_0^2}{a R_0^2} = 1$. დავუშვათ, წითლების მიერ შეგროვებული ინფორმაციის მიხედვით, $\mu = 0,5$ -ს, მაშინ ირკვევა, რომ დაუცველია პარტიზანთა სამიზნეების 50%. თუ, $\frac{\beta B_0^2}{a R_0^2}$ ოდნავ მაინც მეტია $4/5$ პარიტეტულ პირობაზე, მაშინ წითლებმა, განსხვავებულ ვითარებაში განადგურების მაჩვენებელი უნდა გაზარდონ 25%-ით, რათა პარიტეტს მიაღწიონ. როდესაც სამიზნე ინფორმაცია მწირია, მაგალითად, $\mu=0,1$, მაშინ წითლებმა პარიტეტის მისაღწევად განადგურების მაჩვენებელი უნდა გაზარდონ 65 და მეტი პროცენტით. თუკი $\mu=0,8$ -ს, წითლების განადგურების სიჩქარე 8%-ზე მეტად ვერ გაუმჯობესდება. ზოგადად, ინფორმაცია ნაკლებად „ღირებულია“ განადგურების მაჩვენებელთან შედარებით, განადგურების მაჩვენებლის მცირე ზრდა კი უფრო მეტად შესამჩნევი და ღირებულია სამიზნე ინფორმაციის ეკვივალენტურ პროპორციულ მატებასთან შედარებით.

თანამედროვე კონფლიქტებსა და საბრძოლო სიტუაციებს აქვთ რამდენიმე სპეციფიკური მახასიათებელი, რომლებიც უნდა აისახოს ლანჩესტერის ტიპის ახალ მოდელში. მათ საფუძველზე პარტიზანებს (ლურჯ ძალას) შესაძლებლობა ექნებათ სწორად გაანაწილონ საბრძოლო ძალა და ჩამოაყალიბონ მოწინააღმდეგე მხარის დანაწევრების, მისი დამარცხების ოპტიმალური მოდელი.

მნიშვნელოვანია ასიმეტრიული ტაქტიკის სწორად გამოყენება. მისი უპირატესობის სასარგებლოდ სამიზნეზე საჭირო ინფორმაციის მოპოვებისა და ძირითადი დასკვნების გაკეთების საშუალებას მათემატიკურად გამოანგარიშებული მოულოდნელობი იძლევა. ვინაიდან, მსოფლიოში

მომხდარი ბოლოდროინდელი კონფლიქტები უმეტეს შემთხვევაში ასიმეტრიული ხასიათისაა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ თავდაცვის ძალების შესაძლებლობები ასიმეტრიული ტაქტიკის საფუძველზე განვითარდეს, რაც შედარებით სუსტ ძალას გადარჩენისა და გამარჯვების საშუალებას მისცემს.

თავი IV. თავდაცვის ძალების გამოყენება ასიმეტრიულ ომში

4.1. სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა ასიმეტრიულ ომში

ასიმეტრიულ ომში, როგორც ყველა ტიპის სამხედრო კონფლიქტში, საბრძოლო მოქმედებების წარმოება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილმდებარეობის სამხედრო ასპექტებზე, როგორებიცაა: თვალთვალი და საცეცხლე ველები; შენიღბვა და დაფარვა; დაბრკოლებები; საკვანძო ადგილები; მიახლოების მარშრუტები. მათი გათვალისწინებით განისაზღვრება ბრძოლის წარმოების ხერხები, მეთოდები და იგეგმება ოპერაციები. შესაბამისად, სახელმწიფოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების საომარი კამპანიისთვის მომზადებას განაპირობებს სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გარემო პირობების ხელოვნულად შეცვლა.

ამდენად, სახელმწიფოს ტერიტორიის მომზადება ომისა და საბრძოლო მოქმედებებისთვის უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა, ხოლო მისი აღსრულების ორგანიზაცია, საშუალებები და ძალები მთლიანად წარმოადგენენ ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსს. თავისთავად არასწორია პოზიცია, რომ უშუალოდ საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების საინჟინრო უზრუნველყოფის ეფექტი ძირითადად განპირობებულია ტერიტორიის სრულყოფილი მომზადებით ომისათვის და ეს მიჩნეულია ტერიტორიის ომისათვის მომზადების უპირველეს ამოცანად. [9]

სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების სტრატეგიული მიზანი არა იმდენად კონკრეტული საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სათანადო პირობების წინასწარი და სრულყოფილი შექმნა, არამედ, უმთავრესად, სახელმწიფოსადმი მიმართული და მის ტერიტორიაზე წარმოშობილი აგრესიისა და საბრძოლო მოქმედებების საერთო ხასიათის, ფორმისა და შინაარსის მიზანდასახული შეცვლა და მოწინააღმდეგის ქმედებების ბლოკირებაა.

სხვა შემთხვევაში, თუ ტერიტორიის მომზადება წარიმართება ცალკეული, ყველა შესაძლო კონკრეტული ბრძოლისა და ოპერაციის საინჟინრო უზრუნველყოფის სცენარების შესაბამისად, იგი ვერ განხორციელდება ერთიანი სტრატეგიით, იქნება ფრაგმენტული და, რაც მთავარია, იმდენად რთული და გადატვირთული, რომ ტერიტორიის მომზადება პრაქტიკულად შეუძლებელიც გახდება და შეუსაბამო აღმოჩნდება ქვეყნის ინფრასტრუქტურისათვის.


ამდენად, სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადება არასრულყოფილი იქნება, თუ იგი დაეფუძნება მხოლოდ ერთიან სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკასა და საინჟინრო იდეოლოგიას. ომისთვის მომზადება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უმეტესწილად საომარი მოქმედებების პროგნოზირებადი მიმართულებებისა და მოსალოდნელი მასშტაბური დარტყმების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. [9]

ერთიანი სტრატეგიით ქვეყნის ტერიტორიის ომისათვის მომზადება, სამხედრო-საინჟინრო მოთხოვნების შესაბამისად ხელოვნური გარემოს შექმნა, რომელიც ძირითადად ხანგრძლივი დროის განმავლობაში მშვიდობიანობის დროს მიმდინარეობს, მიზნად ისახავს ქვეყანაში სტრატეგიული გაშლის უზრუნველყოფას. ამასთან შემდგომი სრულყოფისათვის, ძალების ოპერატიული გაშლის კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით დამატებით ხორციელდება გარემოს ხელოვნური ცვლილება. ამ დროს გარემოს შექმნა კონკრეტული საფრთხის პროგნოზირებისას მშვიდობიანობის, საგანგებო მდგომარეობისა და საომარი მდგომარეობის პირობებში ხორციელდება. იგი მოიცავს ისეთი ტერიტორიების საინჟინრო მოწყობას, რომლებიც არ მდებარეობენ საომარი მოქმედებების მიმართულების არც საბრძოლო ზონაში და არც საომარი მოქმედებების მიმართულების მოწინავე კომუნიკაციურ ზონაში. [43]

სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადების კონკრეტული ეტაპების წინა პლანზე წამოწევა და მათი რეალიზაციის აუცილებლობის დადგენა არ შეიძლება იდენტური იყოს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს

მიერ ანალოგიური ამოცანის გადაწყვეტის სქემის, შინაარსისა და ინტენსივობისა.

ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, საქართველოს ტიპის სახელმწიფოსთვის ტერიტორიის ომისათვის მომზადება, როგორც ცალკე სისტემა, ვერ დააკმაყოფილებს მის მიმართ სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოების მიერ წამოყენებულ სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მოთხოვნებს. სახელმწიფოს ერთიან სამხედრო-საინჟინრო კომპლექსში მათი რეალიზაცია მოითხოვს საერთო მეთოდოლოგიის საფუძველზე მათ ასახვას სახელმწიფო სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკაში და სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაში. ასიმეტრიული საომარი მოქმედებებისთვის ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ხელოვნური გარემოს შექმნის მოდელი წარმოდგენილია ეტაპების მიხედვით (იხ. ნახ. 11) და განსაზღვრულია საინჟინრო ფუნქციების პრიორიტეტი.



ნახ. 11. ხელოვნური გარემოს შექმნის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მოდელი ასიმეტრიული ომისთვის.

ოპერაციის რაიონის სამხედრო-საინჟინრო მომზადებით ხელოვნური გარემოს შექმნა წარმოადგენს I ეტაპს, რომლის დროსაც ხორციელდება სახელმწიფოს ტერიტორიის ომისათვის მომზადება სტრატეგიულ დონეზე. იგი მოიცავს უპირველესად ხანგრძლივ პერიოდს და ძირითადად მშვიდობიანობის დროს მიმდინარეობს. ამ მხრივ აღნიშნული მეთოდოლოგიის უმთავრესი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი ეტაპის მიმართულებათა განხორციელებისას განისაზღვროს მათი

უპირველესი ფუნქციები. სახელმწიფოს სამხედრო-საინჟინრო მომზადებამ ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების ფუნქციონირების გარანტიებით, გარემოს საინჟინრო ცვლილებითა და ბუნებრივ გარემოსთან სამხედრო ამოცანების შეთავსებით ხელი უნდა შეუწყოს თავდაცვის ძალების, მათი რეზერვების, ზურგის უზრუნველყოფისა და ტექნიკური უზრუნველყოფის რესურსების გადანაწილებასა და, საჭიროების შემთხვევაში, მოსახლეობის ევაკუაციას. [9]

ამ ეტაპზე მიღწევადი უნდა იყოს: მშვიდობიანი ვითარებიდან საგანგებო და საომარ მდგომარეობებზე გადასვლა სათანადო ღონისძიებების გატარებით; თავდაცვის ძალების აღჭურვა, ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გადაჯგუფებები და მათი ოპერატიული გაშლის საინჟინრო სიტუაციის მზადყოფნა სახელმწიფოს მასშტაბით. გარდა აღნიშნულისა, წარმატებით უნდა განხორციელდეს ხელოვნური გარემოს შექმნის II და III ეტაპები. ყოველივე ეს ძირითადად მოიცავს სტრატეგიულ გაშლას.

ოპერაციის რაიონში ხელოვნური გარემოს შექმნისთვის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის პრიორიტეტულ ფუნქციებს წარმოადგენენ: კონტრმობილურობა, მობილურობა და სიცოცხლის უნარიანობა. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს მოწინააღმდეგის სახმელეთო მოახლოების მარშრუტები, ბუნებრივი და ხელოვნური დაბრკოლებების კომბინაციით შეფერხდეს მოწინააღმდეგის სიღრმეში გადაადგილების შესაძლებლობები, რითაც მიიღწევა კონტრმობილურობა. შემდეგი პრიორიტეტული ფუნქციის – მობილურობის –სამუშაოების შესრულებისთვის სავარაუდო ოპერაციის რაიონებში ეწყობა და უმჯობესდება გადაადგილების დერეფნები როგორც სამანევრო ქვედანაყოფებისთვის, ასევე მხარდამჭერი ძალებისთვის, რამაც საბოლოოდ უნდა უზრუნველყოს ძალების ოპერატიულად გაშლა. სამუშაოების დაგეგმვისა და აღსრულების ბოლო ეტაპზე უნდა მოეწყოს საფორთიფიკაციო ნაგებობა თავდაცვის ძალების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით.

ხელოვნური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად, ოპერაციის მხარდამჭერი რაიონის სამხედრო-საინჟინრო მომზადება წარმოადგენს II ეტაპის ღონისძიებებს. იგი ხორციელდება კონკრეტული საფრთხის პროგნოზირებისას მშვიდობიან ეტაპზე ან საგანგებო მდგომარეობის დროს და საომარი მდგომარეობების პირობებში. ასეთ ეტაპებზე ხელოვნური გარემოს შექმნა მოიცავს ისეთი ტერიტორიების საინჟინრო მოწყობას, რომლებიც არ მდებარეობენ საომარი მოქმედების მიმართულებით, არც საბრძოლო ზონაში და საომარი მოქმედების მიმართულების მოწინავე კომუნიკაციურ რაიონში.

ხელოვნური გარემოს შექმნის I ეტაპის შემდგომი განვითარებით, სახელმწიფოს ცალკეული ტერიტორიებისა და გარემოს დამატებითი სამხედრო-საინჟინრო აღჭურვიტა და მოწყობით ხელოვნური გარემოს შექმნის II ეტაპმა უნდა უზრუნველყოს, საომარი მოქმედებების მიმართულების წინასწარი საინჟინრო სტრუქტურის ჩამოყალიბება შესატყვისი ღონისძიებების კომპლექსის ჩატარებით. საომარი მოქმედებების მიმართულებაში საბრძოლო მოქმედებების ზონისა და მოწინავე საკომუნიკაციო რაიონის ფუნქციური ამოქმედების შემდეგ, ზურგის საკომუნიკაციო რაიონში სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სისტემური გამართვა-მოწყობისათვის ძალების დაჯგუფებათა ფორმირება და სასტარტო პირობების შექმნა. ყოველივე ამით, საინჟინრო უზრუნველყოფის მხრივ, უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნები საბრძოლო მოქმედებებისა და ოპერაციების დაწყებისა და მათი წარმატებული განხორციელებისათვის.

ხელოვნური გარემოს II ეტაპის წარმატებული განხორციელება განსაკუთრებულ წინამძღვრებს ქმნის საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ ბრძოლებისა და ოპერაციების მაღალეფექტური ჩატარებისათვის. ამასთან აღნიშნული ეტაპი ყველაზე უფრო კონკრეტულად ასახავს და ახორციელებს იმ მიზნებს, რომლებიც აუცილებელია მოწინააღმდეგე მხარის საბრძოლო მოქმედებების შეზღუდვისა და, რიგ შემთხვევებში, სრული

ბლოკირებისათვის. გარდა ამისა, II ეტაპის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა ავლენს არა მარტო მოწინააღმდეგის მანევრის ხარისხისა და ბრძოლისუნარიანობის შეზღუდვის ხასიათს, არამედ მისი განადგურების ნიშან-თვისებებსაც.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამხედრო-საინჟინრო მოთხოვნებით, ხელოვნური გარემოს შექმნის II ეტაპი წარმოადგენს ღონისძიებების კომპლექსს, რომლის ინფრასტრუქტურასა და კომუნიკაციებზე ზემოქმედებით იქმნება გარანტიები ექსტრემალურ პირობებში საგანგებო და საომარი მდგომარეობების დროს მოსახლეობის ევაკუაციისა და დაცვისათვის. ხელოვნური გარემოს შექმნის II ეტაპის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა შეესაბამება ოპერატიული გაშლის კომპლექსურ მოთხოვნებს. ამასთან, ამ ეტაპმა უნდა უზრუნველყოს ხელოვნური გარემოს შექმნის III ეტაპის რეალიზაცია.

ოპერაციის მხარდამჭერ რაიონში ხელოვნული გარემოს შექმნისთვის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის პრიორიტეტულ ფუნქციებს წარმოადგენენ: მობილურობა, სიცოცხლისუნარიანობა და კონტრმობილურობა. სავარაუდო საფრთხეებზე დაყრდნობით განისაზღვრება ისეთი ადგილმდებარეობა, სადაც აქტიური საომარი მოქმედებების წარმოება არ იგეგმება და ეწყობა ზურგის რაიონისთვის შესაბამისი საკომუნიკაციო ხაზები და ინფრასტრუქტურა. [27] სამუშაოების შესრულების შემდეგ პრიორიტეტულია ამავე რაიონებში გადარჩენისუნარიანობისათვის ყველა საჭირო ღონისძიებების ჩატარება პირადი შემადგენლობისა და მოსახლეობის დაცვის მიზნით. ამ ეტაპზე კონტრმობილურობა არის თანამიმდევრობით ბოლო ღონისძიება, რომელიც ტარდება ოპერაციის მხარდამჭერ რაიონში მოწინააღმდეგის შეღწევის აღსაკვეთად.

ოპერაციის რაიონის სამხედრო-საინჟინრო მხარდაჭერით ხელოვნური გარემოს შექმნის III ეტაპმა უკვე, როგორც უშუალოდ ოპერატიულმა და საბრძოლო უზრუნველყოფამ, უნდა განაპირობოს საკუთარი სხვადასხვა


სახეობის ჯარების ბრძოლების შეუფერხებელი და წარმატებული დინამიკა მოწინააღმდეგის მანევრის შეზღუდვით, ბლოკირებითა და განადგურებით. ამასთან, საინჟინრო მოთხოვნების დაკმაყოფილებით III ეტაპმა უნდა დაიცვას ჩვენი თავდაცვის ძალები მოწინააღმდეგის შეიარაღების ზემოქმედებისაგან და, რაც უმთავრესია, უზრუნველყოს მათ მიერ დასახული მანევრის, ბრძოლებისა და ოპერაციების დროული და ეფექტური ჩატარება მიზნის მისაღწევად.

მე-3 ეტაპის ასევე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სათანადო სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფით პირადი შემადგენლობის, ტექნიკის, იარაღისა და საბრძოლო მასალების ფარული გაყვანა და გატანა პოზიციებზე და მათი შეუფერხებელი გამლა. სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის განხილულმა სისტემამ ფუნქციონირების ყოველ ეტაპზე ასევე უნდა განაპირობოს: მოწინააღმდეგის მობილურობის ბლოკირება; საკუთარი ძალებისა და საშუალებების მობილურობა და მანევრი; საკუთარი ძალებისა და საშუალებების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება; მოსახლეობის, პირადი შემადგენლობის, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შენიღბვის ღონისძიებათა კომპლექსი; სამოქალაქო ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების დაცვა და ფუნქციონირების პირობების შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უმეტესწილად სამხედრო-საინჟინრო მოთხოვნებით ხელოვნური გარემოს შექმნის I და II ეტაპის განხორციელების უმთავრესი ფუნქციონალური შედეგი უნდა გახდეს III ეტაპის წარმატებული განხორციელება. ასეთი მიდგომის სქემა მიმართულია დანახარჯების და რესურსების მინიმუმაციით მაქსიმალური ეფექტის შექმნისათვის, რაც მიიღწევა არა მთელი სახელმწიფოს ტერიტორიის ტოტალური, მრავალმხრივი და დეტალური მომზადებით ომისათვის, არამედ იმ ეტაპობრივობითა და თანამიმდევრობით, როდესაც I ეტაპზე ტერიტორია მზადდება საომარი მოქმედების მიმართულებებით, II ეტაპზე – საბრძოლო მოქმედების მიმართულებებით, ხოლო III ეტაპზე – ბრძოლებისა და ოპერაციების გათვალისწინებით.

ასეთი მიზნობრივად მიმართული სქემით სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის სამეტაპიანი ციკლის განხორციელება, გარდა აღნიშნული მოტივაციებისა, განპირობებულია სახელმწიფოსადმი მიმართული მრავალმხრივი, განსხვავებული ხასიათისა და სხვადასხვა შინაარსის სამხედრო საფრთხეებით.

ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსი სახელმწიფოში მოიცავს სამოქალაქო-საინჟინრო და სამხედრო-საინჟინრო სისტემების ამოქმედებას ქვეყნის თავდაცვისათვის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის იმ სახესხვაობით, რომ გარდა ტერიტორიული თავდაცვის ამოცანებისა, სამოქალაქო-საინჟინრო სისტემა წარმოადგენს აქტიურ ფუნქციონალურ ერთიან მექანიზმს. ის მოქმედებს ოპერატიული გაერთიანების დონეზე და კონკრეტულ შემთხვევაში სამოქალაქო ძალებითაც წყვეტს ბრძოლებისა და ოპერაციების სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კონკრეტულ ამოცანებს. სამოქალაქო საინჟინრო საშუალებების სამხედრო მიზნებისთვის ფუნქციურად სწორი გამოყენება (იხ. ნახ. 12) გაზრდის სამხედრო-საინჟინრო შესაძლებლობებს.



ნახ. 12. სამოქალაქო საინჟინრო საშუალებების გამოყენებით სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის ეფექტურობის გაზრდა.

ამდენად, ქვეყნის ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის კომპლექსის აქტიური მოქმედების ხელოვნება უნდა წარმოადგენდეს სამოქალაქო-საინჟინრო სისტემის მოქმედებისა და სამხედრო-საინჟინრო

ხელოვნების სინთეზს. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის საინჟინრო-სამხედრო უზრუნველყოფის სახელმწიფო კომპლექსის ერთიანი ფუნქციონალური მოქმედება შეესაბამება საგანგებო და საომარ მდგომარეობასა და სხვადასხვა ექსტრემალურ სიტუაციას, დომინანტს წარმოადგენს სწორედ სამხედრო ხელოვნება, კონკრეტულად კი სამხედრო-საინჟინრო ხელოვნება. ამასთან, სამოქალაქო სისტემის არასწორმა ამოქმედებამ და დისონანსმა შეიძლება გამოიწვიოს სამხედრო მზადყოფნის, ბრძოლებისა და ოპერაციების არა ნაწილობრივი ჩავარდნა, არამედ განსაკუთრებით დიდი მასშტაბის დანაკარგები არა მარტო თავდაცვის ძალებში, არამედ მშვიდობიან მოსახლეობაშიც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მოქმედების საერთო საინჟინრო ხელოვნების სისტემატიზაცია უნდა განხორციელდეს სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების პრინციპით და მისი ინტერესებისათვის. საომარი მოქმედებებისა და ცალკეული სამხედრო ოპერაციების სახეობები არ შეიძლება დახასიათდეს ერთიანი შეფასების სისტემით, რადგანაც მათი სახესხვაობა დამოკიდებულია საკუთარ და მოწინააღმდეგის მიზნებზე, ამოცანებზე, მათი მიღწევის შესაძლებლობებზე, მეთოდებზე, ხერხებზე, გეოგრაფიულ გარემოზე, წელიწადისა და დღე-ღამის დროზე, კონკრეტულ კლიმატურ-მეტეოროლოგიურ პირობებზე.

თანამედროვე საბრძოლო და საომარი მოქმედებები, რომლებიც შეიძლება სახელმწიფოს ტერიტორიაზე განვითარდეს, ნებისმიერი გაჭიანურებული და დროში გახანგრძლივებული წინაპირობის შემთხვევაშიც კი, თავისი სასტარტო პოზიციიდან იქნება სწრაფი და ვითარების მკვეთრი ცვლილების მატარებელი. ასიმეტრიული ომში თავდაცვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოწინააღმდეგის შეკავებას, მის უკუგდებას ან განადგურებას სწორედ სასტარტო ეტაპზე. სხვა შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე შეძლებს ქვეყნის გარკვეული ტერიტორიის დაკავებასა

და გამაგრებას, ქვეყნის თავდაცვის შესაძლებლობები თვისებრივად გაუარესდება.

4.2. საომარი კამპანიის ფაზირება

ფაზები ერთმანეთისგან განსხვავდება დროის, სივრცისა და მიზნის მიხედვით, თუმცა ისინი იგეგმება ურთიერთმხარდაჭერითა და წარმოადგენს კამპანიის ან ოპერაციის ბუნებრივ მიმდინარეობას ან დაყოფას. თითოეულ ფაზას აქვს საწყისი (ფაზის დაწყების განმსაზღვრელი) და საბოლოო გარემოებები (ფაზის დასრულების განმსაზღვრელი). წინა ფაზის საბოლოო გარემოებები არის მომდევნო ფაზის საწყისი გარემოებები. ერთ ფაზაში მოცემული მოქმედებები შესაძლოა სხვა ფაზაშიც გადავიდეს. ფაზებად დაყოფის ფაქტი ეხმარება მეთაურს ჩანაფიქრის ფორმულირებასა და დაქვემდებარებული მეთაურებისთვის დავალებების მიცემაში. ფაზების მიხედვით, ოპერაციებისა და მოქმედებების ორგანიზებით მეთაურს უკეთ შეუძლია დაქვემდებარებული ოპერაციების ინტეგრირება და სინქრონიზება დროის, სივრცისა და მიზნის შესაბამისად. თითოეული ფაზა უნდა წარმოადგენდეს კამპანიის/ოპერაციის უშუალო მიზნების ბუნებრივ ქვეჯგუფს. ფაზა არის განსაზღვრული ეტაპი, რომლის განმავლობაშიც ძალების დიდი ნაწილი ჩართულია მსგავს ან ურთიერთმხარდაჭერ მოქმედებებში. [10]

კამპანიის/ოპერაციის დაგეგმვის გააზრება აუცილებელია მოვლენებით მართვადი და არა დროით მართვადი მაჩვენებლებით. რესურსების ხელმისაწვდომობა დიდად არის დამოკიდებული დროში შეზღუდულ მოქმედებებსა და ფაქტორებზე. დაგეგმვის ჯგუფისთვის ერთგვარი გამოწვევაა ძალების დისლოცირებისა და მათი უზრუნველყოფის დროში ინტეგრირება ოპერაციების ფაზებად დაყოფასთან.

ფაზებად ეფექტური დაყოფა აჩვენებს გზებს, როგორ შეიძლება ძალამ აიცილოს თავიდან კულმინაცია, რომელიც არის დროსა და სივრცეში ისეთი წერტილი, რომელზეც ვერ ნარჩუნდება ოპერაციის ტემპი. შეტევის დროს


კულმინაციის წერტილი არის წერტილი, რომელზეც ეფექტურად შეტევა შეუძლებელია. ამ დროს მიიღება გადაწყვეტილება თავდაცვით პოზიციაზე დაბრუნების ან ოპერატიული პაუზის აღების შესახებ. თავდაცვაში მყოფი ძალა აღწევს კულმინაციას, როდესაც მას აღარ ძალუძს კონტრშეტევის გაგრძელება ან წარმატებით თავის დაცვა. წარმატება თავდაცვაში ნიშნავს თავდასხმელი ძალის თავდასხმის კულმინაციამდე მიყვანას და კონტრშეტევას მოწინააღმდეგის თავდაცვითი კულმინაციის დადგომის დასაჩქარებლად. უზრუნველყოფის ოპერაციების საბრძოლო ოპერაციებთან ინტეგრაციითა და სინქრონიზაციით შესაძლებელია კულმინაციის თავიდან აცილება და ოპერაციების ტემპის კონტროლი. ტაქტიკურ და ოპერატიულ დონეებზე შტაბები განჭვრეტენ რესურსების ამოწურვას, რასაც იწვევს ოპერაციების სიღრმე და მათი ჩატარების ხანგრძლივობა. სათანადო სამხედრო რესურსების გამოყოფით ისინი რეაგირებენ შესაბამის დროსა და ტერიტორიებზე, რათა სტრატეგიულ და ოპერატიულ მიზნებს მიაღწიონ კულმინაციის დადგომამდე. [10]

თუ საბოლოო შედეგის მისაღწევად ხელმისაწვდომი რესურსები საკმარისი არ არის, დაგეგმვისას გათვალისწინებული უნდა იყოს კამპანიის ან ოპერაციის ფაზებში შესაბამისი ოპერატიული პაუზები, რათა შენარჩუნებული იქნას საბრძოლო მოქმედებების უწყვეტობა ან თავიდან აცილებული იქნას კულმინაციის დადგომა. ამგვარი ოპერატიული პაუზები ძალების აღდგენის საშუალებას იძლევა როგორც საკუთარი, ასევე მოწინააღმდეგის ძალებისთვის.

სამხედრო საფრთხეებზე რეაგირებისთვის, როგორც წესი, სახელმწიფოებს აქვთ თავდაცვის გენერალური გეგმა. იგი ითვალისწინებს ომში სამხედრო ძალების გამოყენებასა და სასურველი ეფექტის მისაღწევად ფაზებში აღწერს საბრძოლო მოქმედებების თანამიმდევრობას. გამოყენებული ფაზების რაოდენობა განსხვავებული იქნება ოპერაციებისა და კამპანიის სპეციფიკის მიხედვით. ფაზები შემუშავებული და გადმოცემულია თანამიმდევრობით, მაგრამ ერთი ფაზის ზოგიერთი მოქმედება შეიძლება

გაგრძელდეს მომდევნო ფაზებში ან, ფაქტობრივად, წინა ფაზაში დაიწყოს. მაგალითად, მეთაურმა შეიძლება მიიღოს სტაბილიზების ფაზაზე გადასვლის გადაწყვეტილება იმ რაიონებში, რომლებშიც მან სრული უპირატესობა მოიპოვა მაშინ, როდესაც იმ რაიონ(ებ)ში, რომლებშიც მოწინააღმდეგე ჯერ არ დანებებულა, გრძელდება დომინირების ფაზა. იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ოპერაციები შეიძლება წინა ფაზაში დაბრუნდეს იმ რაიონში, სადაც ძალებადდგენილი ან ახალი მოწინააღმდეგე ბრძოლაში ჩაერთვება. მომდევნო ფაზაზე გადასვლის საჭიროება, ჩვეულებრივ, განისაზღვრება იმის შეფასებით, რომ მიზნების გარკვეული რაოდენობა მიღწეულია ან მოწინააღმდეგემ იმგვარად იმოქმედა, რომ საჭირო გახდა ძალის კონცენტრაციის შეცვლა. [45]

დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, რომ თავდაცვის გეგმებში ასახული იყოს საომარი კამპანიის წარმოების ფაზური მოდელი (იხ. ნახ. 13), რამაც უნდა უზრუნველყოს საერთო (ეროვნული) მიზნის მისაღწევად ტრადიციული და/ან ასიმეტრიული საომარი მოქმედებების ეტაპებად წარმართვა. ფაზირება ეხმარება თავდაცვის ძალებს ოპერატიული ცვლადების სინქრონიზებასა და ოპერაციების ინტეგრირებაში.



ნახ. 13. საომარი კამპანიის ფაზების მოდელი

შეკავების (I ფაზა) მიზანია სავარაუდო მოწინააღმდეგის მოქმედების აღკვეთა ძალების ერთობლივი შესაძლებლობებისა და გადაწყვეტილების დემონსტრირებით. კრიზისის განსაზღვრის შემდეგ როგორც ტრადიციული,

ასევე ასიმეტრიული ომისთვის ქმედებები შეიძლება შეიცავდეს: მობილიზაციას; ძალების წინასწარ განლაგებას; უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაზრდილ საქმიანობას; ძალების ჩვენებებს; საჰაერო (სარაკეტო) თავდაცვის ძალების გაშლას; დაზვერვის, თვალთვალისა და რეკოგნოსცირების გააქტიურებას რეალურ დროში ინფორმაციის უზრუნველყოფისათვის და სხვ. ეფექტიანი შეკავება მტერს აიძულებს სამხედრო აგრესიაზე უარის თქმას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შეუსაბამო დანაკარგების გამო. [10] მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შეკავების ფაზა სასურველ ეფექტს ვერ აღწევს, სამხედრო კონფლიქტი გადადის მომდევნო ფაზაზე. ეს არის „ინიციატივის აღება“ ტრადიციული ომის შემთხვევაში, ხოლო „დაუძლურება“ – ასიმეტრიული ომის შემთხვევაში.

ტრადიციულ ომში ინიციატივის აღება (II ფაზა) გულისხმობს მოწინააღმდეგისთვის კულმინაციის დადგომას გადამწყვეტი ოპერაციების საწარმოებლად, რათა შეჩერდეს ან შეფერხდეს დაპირისპირებული მხარის საწყისი აგრესია. თუ მოწინააღმდეგემ ვერ მიაღწია უახლოეს ამოცანას კონტრშეტევი ძალის ადრეული და სწრაფი გამოყენებით, შეიძლება მათი განდევნა დაკავებული პოზიციებიდან ან განადგურებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგემ შეასრულა უახლოესი და შემდგომი ამოცანები, გამოიყენება მობილური თავდაცვის პრინციპი, როგორცაა მტრის ძალებისთვის საშუალების მიცემა გადაადგილდეს ისეთი პოზიციებისკენ, სადაც ისინი დაუცველნი იქნებიან დამრტყმელი ძალის გადამწყვეტი კონტრშეტევის წინაშე.

ასიმეტრიულ ომში დაუძლურების (II ფაზა) მიზანია მოწინააღმდეგისთვის განგრძობითი წინააღმდეგობის გაწევა. ამ ფაზაზე არ ხორციელდება რიცხოვნობად და შეიარაღებით აღმატებულ მოწინააღმდეგესთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩაბმა, რათა შენარჩუნებული იქნას თავდაცვის ძალების ბრძოლისუნარიანობა. სამხედრო ქვედანაყოფების ხელშეწყობით მოსახლეობა იარაღდება და ერთიანდება პარტიზანულ რაზმებში, რომლებიც ოკუპირებულ რაიონებში ზემოქმედებენ

მოწინააღმდეგის საკომუნიკაციო ხაზებზე და საბრძოლო მხარდაჭერის ქვედანაყოფებზე. ფაზის წარმატება დამოკიდებულია პარტიზანული მოქმედებების რადიუსის გაზრდაზე, რასაც ხელი უნდა შეუწყოს გარე სახედრო და ფინანსურმა მხარდაჭერამ.

ტრადიციულ ომში დომინანცია (III ფაზა) ფოკუსირებულია მტრის ორგანიზებული წინააღმდეგობის ნების გატეხაზე. ამ ფაზაში წარმატება დამოკიდებულია კრიტიკულ დროსა და ადგილას ძალების კონცენტრაციაზე. ეს ეტაპი მოიცავს საერთო-საჯარისო ძალების შესაძლებლობების სრულად გამოყენებას ოპერაციის რაიონის მთელ სიღრმეზე. როდესაც კამპანია ან ოპერაცია ორიენტირებულია მტრის ძალებზე, დომინანტური ეტაპი ჩვეულებრივ მთავრდება გადამწყვეტი ოპერაციებით, რაც მოწინააღმდეგეს კულმინაციისკენ უბიძგებს და აღწევს ოპერატიულ მიზნებს. ასიმეტრიული საფრთხეების საწინააღმდეგოდ, გადამწყვეტი ოპერაციები ხასიათდება ოპერატიული გარემოს კონტროლით. სტაბილურობის ოპერაციები ტარდება საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოს მომდევნო ფაზაზე იოლად გადასვლა. არასაბრძოლო სიტუაციებში ერთობლივი ძალები ცდილობენ გააკონტროლონ სიტუაცია ან ოპერატიული გარემო. დომინაციის ფაზაზე შეიძლება შეიქმნას პირობები ოპერაციების ადრეული ხელსაყრელი დასრულებისათვის ან მომდევნო ფაზაზე გადასვლელად.

სიმეტრიულ ომში დამარცხება (III ფაზა) მიიღწევა, როცა მტერი დროებით ან სამუდამოდ დაკარგავს ბრძოლის ფიზიკურ უნარს ან ნებას. ფაზის წარმატება დამოკიდებულია წინააღმდეგობის ძალების (თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების, პარტიზანების) მიერ მოწინააღმდეგის სამხედრო ბაზების განადგურებასა და სახმელეთო საკომუნიკაციო ხაზების კონტროლზე. ამ ეტაპზე მთელი პარტიზანული ძალები გადის საიდუმლო ბაზებიდან, ქალაქის იატაკქვეშეთიდან და მტრის რეგულარულ ჯარს იწვევს ბრძოლაში. პარტიზანული ფორმირებები, საკუთარი ძალებით ან რეგულარულ ჯართან ერთად, დარტყმაზე უპასუხებს დარტყმით,

ტერიტორიის კონტროლის მიზნით აფართოებს ოპერაციებს. ასეთ მოქმედებას შესაძლებელია ვუწოდოთ სტრატეგიული შეტევა რამდენიმე ოპერატიულ მიმართულებაზე. როგორც წესი, ბრძოლები დიდ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებში მთავრდება მოწინააღმდეგის გარნიზონების ბლოკირებით, თუმცა არც ამ ფაზაში არ იბრძვიან საერთო-საჯარისო წესდებებით. აქ არ იქნება არც გენერალური ბრძოლა, არც „საბოლოო იერიში“: პარტიზანები რჩებიან არჩეული სტრატეგიის ერთგულები და პატარ-პატარა გამარჯვებების დაგროვებით მიისწრაფვიან საერთო გამარჯვებისკენ.

სტაბილურობის დამყარება (IV ფაზა) საჭიროა მაშინ, როდესაც არ არსებობს სრულად ფუნქციონალური, ლეგიტიმური სამოქალაქო მმართველი ორგანო. თავდაცვის ძალას შეიძლება მოეთხოვოს შეზღუდული ადგილობრივი მმართველობა, სანამ ლეგიტიმური ადგილობრივი ერთეულები არ იფუნქციონირებენ. ეს მოიცავს მოსახლეობის ძირითადი სერვისებით მომსახურების გაწევას ან დახმარებას, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება კონტრაქტორების მეშვეობით შესრულდეს. ამ ფაზის განმავლობაში მუდმივად ფასდება უფლებამოსილების ლეგიტიმური სამოქალაქო ორგანოსთვის გადაცემის შესაძლებლობა, რაც ფაზის დასრულებას გამოიწვევს.

სამოქალაქო ხელისუფლების აღდგენის (V ფაზა) მიზანია თავდაცვის ძალებმა უზრუნველყონ სამოქალაქო ხელისუფლების ძირითად მომსახურებათა აღდგენაში მხარდაჭერა. ამ პროცესში თავდაცვის ძალა შეასრულებს დამხმარე როლს ლეგიტიმური სამოქალაქო ხელისუფლებისათვის სამოქალაქო უფლებამოსილების გაძლიერების ფაზაში. მიმდინარე ოპერაციები წარიმართება სამოქალაქო ხელისუფლების ფუნქციონირების მხარდაჭერისთვის. პასუხისმგებლობის რაიონებში სამხედრო სამოქალაქო თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს ადგილობრივი თვითმმართველობების კოორდინირებით მოსახლეობის დახმარება.

ოკუპირებული ქვეყნის მიერ ასიმეტრიული ომის წამოწყებისა და წარმოებისთვის ფაზები მნიშვნელოვნად განსხვავდება სუვერენული სახელმწიფოების სრულმასშტაბიანი კონფლიქტის ფაზებისგან. ომი პარტიზანული მოძრაობის სახით ხუთ ფაზაში წარიმართება. ეს ფაზებია: ფარული ორგანიზაციის ფაზა; ფსიქოლოგიური შეტევითი ფაზა; გაფართოების ფაზა; პირდაპირი მოქმედებების ფაზა; კონსოლიდაციის ფაზა.

ფარული ორგანიზაციის ფაზა (ასევე მოიხსენიება როგორც მოსამზადებელი ან პასიური ორგანიზაციული ფაზა) მოიცავს პარტიზანული მოძრაობის ორგანიზებასა და შენარჩუნებას. „მიწისქვეშა მოძრაობა“ დიდ სტიმულს იძლევა პარტიზანებისთვის და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის ორგანიზებასა და კოორდინაციაში. მისი საშუალებით ტარდება ფსიქოლოგიური ოპერაციები, ასევე მიმდინარეობს დაზვერვა, ბრძოლის ველზე ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება. პარტიზანულ კამპანიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია მიწისქვეშა პოლიტიკური ინფრასტრუქტურა. აჯანყების მოძრაობის შეჩერება რთულია მას შემდეგ, რაც შეიქმნება ფართომასშტაბიანი მიწისქვეშა პოლიტიკური ინფრასტრუქტურა, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მასობრივი მობილიზაცია. ეს საწყისი ეტაპი ოკუპანტი ძალების მიერ დანიშნულ მთავრობას საშუალებას აძლევს მწირი რესურსის გამოყენებით აღმოფხვრას ან ჩაახშოს აჯანყება, თუმცა ეს ნაკლებად მოსალოდნელია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ეს ფაზა ხასიათდება არამალადობრივი საქმიანობით და არ წარმოადგენს მთავრობისათვის აშკარა საფრთხეს. ამ ფაზის განმავლობაში მთავრობა ან იგნორირებას უკეთებს მოძრაობას, შეაფასებს მის ძალასა და მნიშვნელობას, ან შეიძლება საერთოდ არ იცოდეს ამის შესახებ.

მეორე საფეხური არის ფსიქოლოგიური შეტევითი ფაზა. ზოგადად, ფარული ოპერაციები ტარდება იქ, სადაც ამ ფაზის საქმიანობა მოიცავს აგიტაციას და მანევრს, ინტენსიურ პროპაგანდისტულ კამპანიებს და პოლიტიკური, სამხედრო და სადაზვერვო უჯრედებისა და კადრების ფორმირებას. სამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციებში შედგენილია

აგენტურა. ბაზის მოწყობილია მოწინააღმდეგის მიერ ნალებად კონტროლირებად სოფლებში, სადაც ხდება პერსონალის რეკრუტირება და წვრთნა. ფაქტობრივად იქმნება უსაფრთხოების დამცავი სარტყელი თითოეული საბაზისო ზონის ირგვლივ. ადგილობრივი მოსახლეობა მზადაა დახმარება აღმოუჩინოს პარტიზანებს საკვების მიწოდებით, სადაზვერვო ინფორმაციის უზრუნველყოფითა და მოხალისეების გაწევრიანებით გასამხედროებულ ფორმირებაში. ორგანიზაციის გაფართოებასთან ერთად, განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართულია საზოგადოების პროფესიული სექტორის პერსონალის დასაქირავებლად. [28] მიზანი არის საზოგადოების მასობრივი მობილიზება.

პროპაგანდა და ფსიქოლოგიური ოპერაციები მიზნად ისახავს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებასა და შენარჩუნებას, ხოლო მოწინააღმდეგის (ოკუპანტების) მხარდამჭერი მთავრობის და მათი ძალების დისკრედიტაციასა და ნდობის დაკარგვას. ჩამოყალიბებულია პოლიტიკური და სამხედრო დაზვერვის ქსელი. ინფორმატორები შედგენულია საზოგადოების ყველა სექტორში და შეუძლიათ ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა თემაზე, განურჩევლად დასმული ამოცანებისა.

მიწისქვეშა ადგილები ასევე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი დროებითი ან „ჩრდილოვანი მთავრობების“ ჩამოყალიბებაში. შესაძლოა დროებითი მთავრობები იყოს ორგანიზებული, რათა მოძრაობას მიანიჭოს ლეგიტიმურობა. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა დახმარების თხოვნით მიმართონ უცხოური ქვეყნების მთავრობებს, რომლებმაც შეიძლება აღიარონ ის ლეგიტიმურად. ეს „ჩრდილოვანი მთავრობები“ შეიძლება შეიქმნას სკოლების, ჯანდაცვის დაწესებულებების ფუნქციონირებისთვის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კონტროლირებად ტერიტორიებზე მოქმედი მთავრობის ნაცვლად. მიწისქვეშა რევოლუციური მოძრაობების წარმატება თუ წარუმატებლობა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც თავად პარტიზანული ერთეულების მოქმედებები. [27]

მესამე ეტაპი, გაფართოების ფაზა, ხასიათდება აქტიური წინააღმდეგობით, სადაც საბოტაჟი, იძულება, დივერსია და მკვლევლობები მაქსიმალურად იზღუდება. თავდასხმები ტარდება დაუცველი სამხედრო და უსაფრთხოების ძალების საგუშაგოებზე. ამ ფაზის განმავლობაში საქმიანობის ძირითადი სფეროა იარაღის, საბრძოლო მასალისა და სხვა აუცილებელი მარაგის შესყიდვა. სამხედრო მოქმედებების საწყის ეტაპზე იერიში მიიტანება სამხედრო კოლონებზე, თავდაცვით და ეკონომიკურ ინფრასტრუქტურაზე. აღნიშნული აიძულებს მოწინააღმდეგეს გაშალოს თავისი ძალები და გადავიდეს სტატიკურ თავდაცვაზე, რაც ზრდის პოტენციური სამიზნეების რაოდენობას.

ამ ფაზის მეორე ეტაპზე რეგიონალურ, რაიონულ და ადგილობრივ დონეებზე ყალიბდება სამხედრო ორგანიზაციები. მთავარი შტაბი კოორდინაციას უწევს სამივე დონეს საერთო სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ხშირად ამ ეტაპზე პარალელური პოლიტიკური იერარქია (ან ჩრდილოვანი მთავრობა) და სამხედრო ორგანიზაცია უკვე არსებობს უსაფრთხოების დონის მიუხედავად. სწორედ ამ ეტაპზე პარტიზანები თვლიან, რომ სტრატეგიულ ჩიხში არიან და ამიტომ ისინი ჩვეულებრივ თავს იკავებენ პოზიციური ბრძოლებისგან ან ბაზის ტერიტორიების დაცვისგან. გაფართოების ფაზის მესამე ეტაპზე ძირითადად მიმდინარეობს ფართომასშტაბიანი პარტიზანული თავდასხმები, რომლებიც განხორციელებულია უსაფრთხო ბაზის ტერიტორიებიდან.

მეოთხე ეტაპი არის პირდაპირი მოქმედების ფაზა, სადაც ოპერაციები ტარდება ადგილობრივი ქვედანაყოფების პარტიზანული ტაქტიკის გამოყენებით. ამ საქმიანობის შედეგები არის ის, რომ პარტიზანებმა მოიპოვეს მნიშვნელოვანი კონტროლი მოსახლეობაზე. მოწინააღმდეგე მუდმივ ზეწოლას განიცდის და უშუალოდ პარტიზანული კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიები ფართოვდება. ამ ფაზის შემდეგ, როდესაც პარტიზანული საქმიანობა იწყება, მიწისქვეშა მხარე დამატებით როლს შეასრულებს ყველა საჭირო დახმარების გაწევაში, როგორცაა: დაზვერვა, ახალწვეულები,

საკვები, ტანსაცმელი, იარაღი, საბრძოლო მასალები, მედიკამენტები და სხვა მარაგი პარტიზანების დასახმარებლად.

კონსოლიდაციის (ან ღია შეტევითი) ფაზა იწყება მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ ბალანსი პარტიზანული ძალების სასარგებლოდაა. სწორედ ამ ეტაპზე ხდება პარტიზანული ძალების მნიშვნელოვანი ნაწილის გარდაქმნა ჩვეულებრივ ძალად, რომელსაც შეუძლია მოწინააღმდეგესთან გადამწყვეტ ბრძოლაში ჩართვა და, შესაბამისად, მას ახასიათებს ჩვეულებრივი მობილური ოპერაციები. ეს ფაზა იღებს მთავრობის წინააღმდეგ გაჭიანურებული ომის სახეს. პარტიზანები დომინირებენ ფართო ტერიტორიებზე. ჩვეულებრივი ომის მეთოდები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მძიმე ტექნიკის მარაგი მოიპოვება და რეგულარული წვრთნის შესაძლებლობა არსებობს.

ზემოთ აღწერილი ფაზები არის სარეკომენდაციო ვარიანტი, რომელსაც სხვადასხვა სამხედრო თეორეტიკოსები განსხვავებულად აჯგუფებენ. მათ აღწერს მოძრაობას სამ ფაზაში, რომელიც აერთიანებს ზემოთ აღწერილ პირველ სამ ფაზას ერთში. გალაჰერი იყენებს სამ ფაზურ მიდგომას რევოლუციური პარტიზანული მოძრაობების ევოლუციის აღსაწერად და გამოყოფს ლატენტურ და საწყის ფაზას, პარტიზანული ომის ფაზასა და მოძრაობის ომის ფაზას.

4.3. პოზიციის მნიშვნელობა და ოპერაციების განვითარების დინამიკა ასიმეტრიულ ბრძოლებში

ომის ოპერატიული დონე აკავშირებს ტაქტიკური ძალების გამოყენებას სტრატეგიული საბოლოო მდგომარეობის მისაღწევად. ომში საწყისი სიტუაცია (პოზიცია) უნდა გარდაიქმნას მოცემული წერტილიდან იმ საბოლოო წერტილამდე, რომელიც ომის მიზნებს შეესაბამება. ალგორითმებს ამ წერტილებს შორის ჰქვია ომის გეგმა, ხოლო მათ შორის მოცემულ წერტილებსა და პოზიციებს ოპერატიული მიზნები და ოპერატიული გეგმები ეწოდება.

საბრძოლო მოქმედებებისას დაპირისპირებულ მხარეებს აქვთ სხვადასხვა მიზანი, ამიტომ განსხვავდება მათი გეგმებიც. უკეთესად უნდა იყოს მიჩნეული ის გეგმა, რომლის საბოლოო პოზიციის, როგორც პირობითი მათემატიკური სიდიდის, შეფარდება საწყის პოზიციასთან მეტი იქნება. თუ ორივე მხარე დაახლოებით თანაბარია და „სწორად“ იბრძვის, მათი პოზიციებიც თანაბრად უნდა გარდაიქმნას, ანუ გადაწყვეტილებათა სივრცეც ერთნაირად შეიცვლება და ამოცანა ორივე მხარისათვის შეუსრულებელი აღმოჩნდება, „ომი ჩიხში შევა“, რასაც ანალიტიკური ჩიხი ეწოდება.

„პოზიციად“ განვიხილოთ მოწინააღმდეგეთა შეიარაღებული ძალებისა და მათი საბრძოლო უზრუნველყოფის საშუალებების ურთიერთობათა სისტემა. ამ სისტემას მოწინააღმდეგეთა შეხების ადგილას აქვს ფრონტი და ფრონტის ხაზი. დავუშვათ, რომ მოწინააღმდეგეთა საორგანიზაციო საშუალო სტრუქტურა და შეიარაღება ერთგვაროვანია. მაშინ შესაძლებელი იქნება შემოვიტანოთ დაგეგმვის ერთიანი ერთეულის (დივიზია, ბრიგადა, პოლკი, ბატალიონი) მნიშვნელობა. შევთანხმდეთ, რომ საბრძოლო ერთეულები (ქვედანაყოფები) დაპირისპირებული მხარეებისათვის ერთნაირია.

ჩვენი მიზანია, თვალი ვადევნოთ ე. წ. სტანდარტული ბრძოლის დინამიკას, რომელიც მიახლოებით აღიწერება ლანჩესტერის განტოლებათა სისტემის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში დამგეგმავები (ანალიტიკური სტრატეგიის ჩარჩოებში) მიმართავენ მარტივ ხერხს, ზრდიან სტანდარტულ საბრძოლო ერთეულებს და მათ მიხედვით აფასებენ პოზიციას. უმეტეს შემთხვევაში „სწორ“ ბრძოლაში ამ ხერხს გამარჯვების უზრუნველყოფა შეუძლია. ამიტომ, ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამობილიზაციო რესურსებსა და სტრატეგიული გაშლის ტემპებს. [44]

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი „პოზიციის გეომეტრიაა“. ამ ცნების ქვეშ წარმოვიდგინოთ ოპერატიული ვითარება. პოზიციის გეომეტრია ხასიათდება პოზიციის ბმულობის გაგებით: პოზიციის ბმულობის ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც უფრო სწრაფად უზრუნველყოფს იგი სტანდარტული საბრძოლო ერთეულის გადასროლას პოზიციის ნებისმიერ

წერტილში. ნათელია, რომ ბმულობის სიდიდე (მათემატიკური მნიშვნელობა) განისაზღვრება თვითონ პოზიციის მოხაზულობითა და კომუნიკაციების მდგომარეობით. ვფიქრობ, აქ ტექნიკის გამავლობის ხარისხიც გარკვეულ როლს თამაშობს, ანუ ბმულობა გულისხმობს პოზიციის კავშირს ზურგთან, წინა ხაზსა და მანევრთან.

საგულისხმოა, რომ თუ ერთი მხარის ბმულობის ხარისხი მნიშვნელოვნად აღემატება მეორისას, ეს უპირატესობა შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს მიზნისთვის ბრძოლაში. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პოზიციის ბმულობის ხარისხი ზუსტად ის მაჩვენებელია, რომლითაც მოწინააღმდეგეზე გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვებაა შესაძლებელი, რაც შეიძლება ყველაზე ოპტიმალურად იქცეს საბოლოო გამარჯვების გასაღებად.

ისეთ პუნქტებს, რომელთა დაკარგვას ან მოპოვებას შეუძლია იმოქმედოს პოზიციის ბმულობის ხარისხზე, ვუწოდოთ პოზიციის საკვანძო წერტილები. თუ წარმოდგენაში ფრონტის ხაზს ოდნავ „შევცვლით“, შევამჩნევთ, რომ პოზიციების ბმულობის ხარისხი ორივე მხარისათვის შეიცვლება. შევთანხმდეთ: თუ ფრონტის ხაზის მცირედი შეცვლით ორივე მხარის ბმულობის ხარისხი თანაბრად იკლებს, ასეთ პოზიციას დავარქვათ მდგრადი. [46]

თუ პოზიციის ბმულობის ხარისხი იკლებს შეტევისას და არ იცვლება უკან დახევისას (მხედველობაშია ფრონტის მცირედი ცვლილება), ასეთ პოზიციას დავარქვათ შებოჭილი. ურთიერთშებოჭილი პოზიციის დროს მოწინააღმდეგე მხარეებს თანაბარი წარმატებით შეუძლიათ (ან არ შეუძლიათ) სტანდარტული ერთეულების გადაადგილება პოზიციის შიგნით და ფრონტის გასწვრივ, ანუ მათ თანაბარი ბმულობის ხარისხი აქვთ.

პოზიციურ ბრძოლაში პოზიციები ხშირად ეწყობა ისე, რომ ისინი ან მდგრადია, ან ურთიერთშებოჭილი. ამ შემთხვევაში პოზიციის ცენტრები (ყველაზე მნიშვნელოვანი საკვანძო წერტილები) ფრონტის ხაზიდან სიმეტრიულად განლაგებულნი აღმოჩნდებიან.

იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს უპირატესობას სტანდარტული ერთეულების რიცხვში, გარღვევა ხდება ძლიერის მხრიდან, თუმცა შეტევაზე გადასვლასთან ერთად იგი უფრო სწრაფად კარგავს ბმულობის ხარისხს. მაგრამ ბმულობის დაქვეითებასთან ერთად სტანდარტული ერთეულების ეფექტიანობის ხარისხი იკლებს, რის გამოც შეტევა ჩერდება, ამოიწურება.

კლასიკურ სამხედრო თეორიაში მიღებულია, რომ შეტევის შვერილის სიგრძე მერყეობს მისი სიგანის 50-100%-ში. თუ ბრძოლის მიზანი მოწინააღმდეგის პოზიციის ცენტრის დაკავებით გამოისახება, მაშინ ძლიერი წინასწარ შეეცდება, თავისი ცენტრი ფრონტის ხაზთან ახლოს მისწიოს. ეს მისთვის დიდ რისკთან არ იქნება დაკავშირებული. მაგრამ თუ იმავეს გაიმეორებს სუსტი მხარე, მაშინ იგი უეჭველად წააგებს ბრძოლას. [47]

საინტერესოა ასიმეტრიული (პარტიზანული) ბრძოლის ზეგავლენა პოზიციის ბმულობის ხარისხზე. დავუშვათ, ფრონტის რომელიმე მონაკვეთზე იმყოფება ოთხი სტანდარტული ბრიგადა, რომელთა უზრუნველყოფაც ორი ძირითადი მაგისტრალით შეიძლება. დავუშვათ, ერთი კვირის დამაბული ბრძოლების შუალედში მხოლოდ ორი დღის განმავლობაში მოქმედებს მხოლოდ ერთი მაგისტრალი, რომლის სიგრძეც 70 კილომეტრია. ამ მაგისტრალზე ზემოქმედება შეუძლია არაუმეტეს ას პარტიზანს. ასეთ შემთხვევაში სტანდარტული ბრიგადის ეფექტიანობის მაჩვენებელი ერთი ბრიგადით მოიკლებს, ანუ აქტიური საბრძოლო მოქმედებებიდან ამოვარდება 5-7 ათასი სამხედრო მოსამსახურე, თუ არ ჩავთვლით გამოყოფილ ძალებს გზის უაზრო დაცვისა და უფრო მეტად უაზრო ბრძოლისათვის პარტიზანების წინააღმდეგ. ამდენად, პარტიზანების მოქმედება ზეეფექტიანია, თუმცა გარკვეული სირთულეები იქნება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი ძალებისთვის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

საგულისხმოა, რომ ბრძოლა კომუნიკაციებით „მდიდარ“ ხმელეთსა და ზღვაზე (სადაც პოზიციების ბმულობა თავისთავად ძალიან მაღალია)

ერთმანეთს იმით წააგავს, რომ მათთვის დამახასიათებელია ბრძოლა ერთმანეთის განადგურებისათვის.

სამაგიეროდ, საჭაერო ბრძოლა და ბრძოლა მთებში ერთმანეთს წააგავს იმით, რომ აქ ძირითადად მიმდინარეობს ბრძოლა ბმულობის კვანძების განადგურებისათვის (ავიაციისათვის ბმულობის კვანძი აეროდრომია, ხოლო მთებში ასეთი ბმულობის კვანძია გაბატონებული სიმაღლე. თუმცა, აქვე უნდა დაემატოს, რომ თუ აეროდრომი დიდი ხნით შეიძლება გამოვიდეს მწყობრიდან, გაბატონებული სიმაღლის განადგურება პრაქტიკულად შეუძლებელია).

დაბოლოს, თუ პოზიციის ცალკეული მონაკვეთის ან წერტილის პირდაპირი ბრძოლით აღება გართულებულია (რელიეფის, კომუნიკაციების, დაცვის სიძლიერის ან სხვა მიზეზების გამო), ასეთ მონაკვეთს ან წერტილს ეწოდება ძლიერი და თუ პირიქითაა – სუსტი წერტილი. შესაძლოა, ძლიერი წერტილები პოზიციის ცენტრებს ან საკვანძო წერტილებს ემთხვეოდეს, თუმცა ეს აუცილებელი არ არის.


რიგ შემთხვევაში სუსტი მხარის ნაკლის კომპენსირება შესაძლებელია პოზიციის ძლიერი წერტილებით, მაგრამ თუ პოზიციაში რამდენიმე სუსტი წერტილია, მათი კომპენსირება უკვე სერიოზულად რთულდება. ხოლო თუ ეს სუსტი წერტილები გეოგრაფიულადაც დაშორებულია ერთმანეთისაგან, მაშინ თვითონ პოზიციის დაცვა აღმოჩნდება კრიტიკულ მდგომარეობაში. მას უწევს ანგარიშის გაწევა არა მარტო სუსტი წერტილებისათვის, არამედ მათ შორის არსებული საკომუნიკაციო ხაზისათვისაც, რაც თავისთავად მოქმედებს ეფექტიანი საბრძოლო ერთეულების რაოდენობაზე. ისინი, უბრალოდ, ვეღარ თავისუფლდებიან ბრძოლისათვის, ხოლო ბრძოლა იწყება და მთავრდება სუსტ წერტილებს შორის გარღვევით. შედეგად იკარგება საკვანძო წერტილებიც, პოზიციის ცენტრიც, ფრონტიც და, თავისთავად ცხადია, სუსტი წერტილებიც.

მეთაურის ამოცანაა, მოცემული პოზიცია ისეთ ახალ პოზიციად გარდაქმნას, რომელიც ომის (ბრძოლის) საბოლოო მიზანთან რამდენადმე

მიახლოებული იქნება. მაგრამ, თუ საწყისი პოზიცია მდგრადია, მეთაური დგება დილემის წინაშე: საწყის ეტაპზე იძულებულია, თვითონ „გააფუჭოს“ პოზიცია, შეგნებულად წავიდეს მისი მდგრადობის ხარისხის დაქვეითებაზე.

მოწინააღმდეგის დაცვის ხაზს შეუძლია საერთოდ ჩაახშოს შეტევა, მიაყენოს ზარალი და უკუაგდოს იგი, მაგრამ მდგრადობის დაქვეითება შესაძლებელია გარღვევის ფრონტზე უფრო მეტი ძალების თავმოყრით. შესაბამისად დაძლეული იქნება მოწინააღმდეგის თავდაცვის მთლიანობა. ამ ეტაპზე პოზიციები დაკარგავენ სტატიკურ მდგრადობას და შეიძენენ დინამიკურ ფორმას, რომელსაც თავისი განსხვავებული მდგრადობის მაჩვენებელი აქვს. [10]

გარკვეული დროის შემდეგ ირღვევა დინამიკური მდგრადობაც. შემტევი მხარის ბმულობის ხარისხი საკუთარი უზრუნველყოფის ბაზებიდან დაშორებასთან ერთად მცირდება, თავს იჩენს კომუნიკაციების გადატვირთვის მომენტი. ოპერაციის ტემპი მკვეთრად მცირდება და ბოლოს ქრება. ვითარება ახალ სტატიკურ მდგომარეობაში გადადის. მოძრაობის შეჩერებასთან ერთად იზრდება პოზიციის სტატიკური მდგრადობის მდგომარეობა. საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის მაგალითი აღწერილია ოპერაციის დიაგრამით (ნახ. 14).



ნახ. 14. ოპერაციის დიაგრამა

X ლერძი ასახავს ოპერაციის მიერ მოთხოვნილ რესურსს (მაგ., დროს), ხოლო Y ლერძი – ოპერაციის ეფექტურობას (მაგ., შეტევის ტემპს ან მოწინააღმდეგის დანაკარგების შეფარდებას საკუთარ დანაკარგებთან).

ოპერაციის პირველ ეტაპზე შემტევის ამოცანაა პოზიციის მდგრადობის მდგომარეობიდან გამოყვანა. კლასიკურ ბრძოლაში შემტევი მხარე ამის მისაღწევად მიდის საკუთარი მხრიდან უფრო მეტ დანაკარგებზეც კი (ასეთ შემთხვევაში ვირტუოზი სამხედრო ხელოვანი ცდილობს, პოზიციის მდგრადობა გადალახოს მოწინააღმდეგის ხარჯზე, ანუ წამოაგოს იგი პროვოკაციაზე და შემხვედრი ბრძოლის წამოწყებისაკენ უბიძგოს მას). „სწორი“ ბრძოლის დროს დიაგრამას ასეთი სახე აქვს, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ამ დიაგრამაში პირველ და მეორე კრიტიკულ წერტილებში სისტემა „ბრძოლას“ არც პოზიციების სტატიკური და არც ოპერაციის დინამიკური მდგრადობის ხარისხი არ გააჩნია. ეს ყველაზე სუსტი წერტილებია და ყველაზე მეტად სწორედ აქ შეიძლება მოხდეს „სასწაული“, ანუ ის, რაც არ გაითვლება წესდებებითა და თანამედროვე სამხედრო სახელმძღვანელოებით.

ბრძოლის დაწყებისას თავიდანვე სუსტი მხარისათვის ზუსტად ეს კრიტიკული წერტილებია მნიშვნელოვანი, განსაკუთრებით, მეორე წერტილი. თუ სუსტი მხარე მოახერხებს, პოზიციასა და მანევრს ისე დაგეგმავს, რომ მოწინააღმდეგესთან რეალურ კონტაქტში შევიდეს (კონტრშეტევაზე გადავიდეს) არა პირველ წერტილში, არამედ მეორეში (დანარჩენი იქნება მხოლოდ ფარული მანევრი), მისი შანსები ბრძოლის მოგებისა მნიშვნელოვნად გაიზრდება. შემხვედრი ბრძოლის მომენტში მნიშვნელოვანია, რომ მოწინააღმდეგეს მიაყენო დარტყმა პირველ კრიტიკულ წერტილში (ამ მომენტისათვის იგივე სტადია უკვე გავლილი იქნება). ოდნავმა დაგვიანებამ შესაძლოა მოწინააღმდეგის დინამიკური მდგრადობის პირისპირ დაგაყენოს. ეს კი შესაძლოა ფატალურად დამთავრდეს დაგვიანებულებისათვის.

მეორე კრიტიკული წერტილი ოპერაციის კულმინაციურ წერტილად იწოდება. მისი გავლის მომენტში ახალი მდგრადობის შექმნა აუცილებელია. მომენტის გაშვება არ შეიძლება, ვინაიდან ამ წერტილს აბსოლუტურად არ გააჩნია მდგრადობის ხარისხი, იქმნება სუსტისთვის კონტრშეტევაზე გადასვლის საუკეთესო პირობები. შედეგად, ყველაფერი, რაც მოპოვებული იყო მეორე ეტაპზე, ანუ აღმასვლის, განვითარების სტადიაში, შეიძლება ერთბაშად დაიკარგოს. ეს წერტილი საუკეთესო წერტილია სუსტი მხარისათვის. მითუმეტეს, რომ იგი მნიშვნელოვნად არ რისკავს. როგორც წესი, ორგანიზებული უკან დახევის შემთხვევაში იგი ინარჩუნებს მდგრადობისა და ბმულობის უკეთეს მაჩვენებელს, ხოლო შემტევს ჯერ არც ერთი აქვს და არც მეორე.

დიაგრამა, რომელიც ნახაზზეა წარმოდგენილი, მიესადაგება არა მარტო პოზიციას სამხედრო გაგებით, იგი „სწორია“ ნებისმიერი დაპირისპირების შემთხვევაშიც. სიცხადისათვის განვიხილოთ მოჭიდავეების მაგალითი. სანამ ორი მოჭიდავე ერთმანეთის პირისპირ დგომში იმყოფება, სისტემა მდგრადია. ორივე მოჭიდავის მდგრადობა განპირობებულია ფეხებზე სიმძიმის გადანაწილებით (ბმულობის კვანძები). ის, რომელიც იწყებს შეტევას, იძულებულია, პირველმა დაარღვიოს სისტემის მდგრადობა – ერთი ფეხი მოსწყვიტოს ხალიჩას ან გადაიხაროს რომელიმე მხარეს. ამ მომენტში მისი პოზიცია სუსტდება. იგი გადის პირველ კრიტიკულ წერტილს. იმ შემთხვევაში, თუ თავდაცვაში მყოფს ეყოფა რესურსი (სისწრაფე, ძალა, დრო), შეუძლია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მომენტი და ჩაატაროს სწრაფი კონტრილეთი. [31]

მეორე ვარიანტში შესაძლოა კონტრილეთი არ ჩატარდეს, მაგრამ არც შემტევს ეყოს რესურსი წონასწორობის დასარღვევად მდგრადობიდან გამოსაყვანად. ასეთ შემთხვევაში პოზიცია იქნება შებოჭილი (ან ურთიერთშებოჭილი – თუ კონტრილეთს შეაჩერებს პირველი საკუთარი წონასწორობის არასაკმარისად დარღვევით).

მაგრამ თუ შემტევმა შეძლო დაცვაში მყოფის წონასწორობის დარღვევა, მაშინ სისტემა გადადის დინამიკური მდგრადობის რეჟიმში და შემტევი დინამიკაში უტევს მოწინააღმდეგეს, თუმცა ბრძოლა ჯერ მოგებული არ არის. მას ახალ პოზიციაში ფიქსირება ესაჭიროება. მოჭიდავეების ხალიჩასთან შეხებისას ჭიდაობის სისტემას გააჩნია ინერცია. როგორც წესი, დაცვაში მყოფი უფრო ადრე იძენს საყრდენს, ხოლო სისტემა განაგრძობს მოძრაობას ინერციით. ეს სისტემის მეორე კრიტიკული წერტილია. აქ კონტრშეტევას აქვს პერსპექტივა, რომლის გამოყენებაც დამცველს შეუძლია, მაგრამ ამისათვისაც რესურსია საჭირო. თუ სუსტმა ეს რესურსი ვერ მოიძია, შემტევი აფიქსირებს ახალ მდგომარეობას – მოწინააღმდეგეს ხალიჩაზე აკრავს. სისტემა ისევ სტატიკური მდგრადობის მდგომარეობაში გადადის (შებოჭვა, მტკივნეული ილეთი ან სუფთა გდება) – ბრძოლა მთავრდება ერთი მხარის გამარჯვებითა და მეორე მხარის მიერ ამის აღიარებით.

ასეთივე სისტემებია კრივი, ორი ერთმანეთის პირისპირ მდგარი ფეხბურთელი და ა. შ. (მთლიანად ფეხბურთი და საერთოდ, კოლექტიური თამაშები უფრო რთული სისტემებია, მაგრამ პრინციპი აქაც იგივეა).

ოპერატიული მანევრი წარმოადგენს ყველანაირი შეტევის (ოპერაციის) არსსა და ღერძს. ეს ჯარების ისეთი გადაადგილებაა, რომელიც მოწინააღმდეგის ბმულობის წერტილებს უქმნის საფრთხეს (სხვათა შორის, ბმულობის წერტილებისათვის გარანტირებული საფრთხის შექმნა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი საქმეა, ვიდრე ამ წერტილებთან მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ფორმირებებთან კონტაქტში შესვლა, ბრძოლის გამართვა და, თუნდაც, მისი მოგება). მას მოწინააღმდეგემ უნდა უპასუხოს. მანევრი „სწორია“, თუ მოწინააღმდეგე თავისი პასუხით ვერ შეუქმნის ანალოგიურ საფრთხეს შემტევის ბმულობის წერტილებს. [27]

ჯარების ამ გადაადგილებასა და დაჯგუფებას უწოდებენ გაშლას. მაგრამ თვითონ ეს გადაადგილება ძალზე ყურადღებით არის ჩასატარებელი და დასაცავია, ვინაიდან ამ დროს ბევრი სუსტი ადგილი იჩენს თავს. გაშლა ტარდება, როგორც წესი, საკუთარ ტერიტორიაზე, თუმცა გამონაკლის

შემთხვევაში შესაძლოა ჩატარდეს მის გარეთაც, მაგრამ ყოველთვის დაცვის ძალების საფარქვეშ.

თუ გადაადგილების შემდეგ ჯარების საერთო რაოდენობის რაღაც $K\%$ იყრის თავს ფრონტის საერთო სიგრძის რაღაც $M\%$ -ზე, მაშინ $S=K/M$ იქნება ოპერატიული სიმძლავრე. ცნება „ოპერაციის დატვირთვის“ შინაარსი დაკავშირებულია შემდეგთან: დავუშვათ, ოპერაციის დაწყების წინ ერთ მხარეს ჰყავს 10 ბრიგადა, მოწინააღმდეგეს კი – 6. მაშინ, ლანჩესტერის განტოლების თანახმად (ე.ი. თუ ბრძოლა წარიმართა „სწორად“), ბრძოლა გაგრძელდება სამი დღის განმავლობაში და დამთავრდება იმით, რომ სუსტი დაკარგავს 3 ბრიგადას, ხოლო ძლიერი 1,1-ს, ანუ 2,8-ჯერ ნაკლებს. მაშინ, ვინაიდან ეს ბრძოლა „სწორია“, შეიძლება ითქვას, რომ მას დატვირთვა არა აქვს და იგი მიმდინარეობს სტანდარტულ რეჟიმში.

დავუშვათ, ძლიერი მხარის მეთაური იღებს გადაწყვეტილებას, რომ ბრძოლის შემდეგ დანაკარგებს შორის შეფარდება იყოს არა 2,8/1, არამედ – 4/1, მაშინ ოპერაციის დატვირთვა იქნება $4/2,8=1,43$, ხოლო თუ ამასთან ერთად გვინდა, რომ დრო შემცირდეს სამიდან ორ დღემდე, მაშინ ოპერაციის დატვირთვა გამოისახება შემდეგნაირად: $(4/2,8)*(3/2)=2,14$ (იგულისხმება, რომ პოზიცია და მისი ყველა ელემენტი განიხილება, როგორც ხაზობრივი სიდიდეები).

ასე რომ, ოპერაციის დატვირთვა არის სიდიდე, რომელიც ტოლია პოზიციის საბოლოო სიდიდეების სხვაობის შეფარდებისა სტანდარტულთან. ამ დროს ოპერაციის რისკის მაჩვენებელი ოპერაციის დატვირთვის შებრუნებული სიდიდეა. ზემოთ მოცემული დიაგრამის (ნახ. 8) მიხედვით, ოპერაციის დატვირთვის ძირითადი როლი მოდის მეორე, დინამიკურ ფაზაზე. ამ ფაზის ეფექტიანობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ შეტევის ტემპის გაზრდით. მაგრამ გვახსოვს, რომ რისკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძირითადად პირველ კრიტიკულ წერტილამდე და მეორე კრიტიკული წერტილის შემდეგ (ჩათვლით). ოპერაციის ტემპის გაზრდასთან ერთად რისკი თავისთავად იზრდება იმდენად, რამდენაც იზრდება ინერციის მომენტები კრიტიკულ წერტილებში.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ თვითმფრინავის ანალოგი. რაც უფრო სწრაფია თვითმფრინავი, მით მეტია დატვირთვა ფრთაზე, მაგრამ ეს აქვეითებს მის ასაფრენ-დასაშვებ მახასიათებლებს. საჭირო ხდება ასაფრენი ბილიკის სიგრძის გაზრდა. ავიაციაში ამ ამოცანის გადასაჭრელად გამოგონებულია ცვალებადი გეომეტრიის მქონე ფრთები. ოპერაციის მსვლელობისას ეს ნაკლი შეივსება ოპერატიული სიმძლავრეების მანიპულირებით, რაც თავისთავად უნდა მოხდეს ოპერატიული მანევრის ხარჯზე.

ტემპის განმარტებისას ყურადღება გასამახვილებელია არა ჩვეულებრივ ასტრონომიულ დროში განვითარებულ სიჩქარეზე, არამედ ოპერაციის „შინაგან“ დროზე. ოპერაციის არსი ამ ტემპისათვის ბრძოლას უკავშირდება. სუსტი ცდილობს შეაკავოს შეტევა და შეაჩეროს იგი მანამ, სანამ პოზიციის სტრუქტურა შეიცვლება, ანუ სანამ მოწინააღმდეგე საფრთხეს შეუქმნის ბმულობის კვანძებს. რთულ ოპერაციებში ბრძოლა ტემპებისათვის მიმდინარეობს ორივე მხრიდან შეტევით, ანუ ადგილი აქვს ურთიერთსიმეტრიულ კვანძებზე ზემოქმედების მცდელობას. იგებს ის, ვინც ასწრებს ამ კვანძებისა და პოზიციის ცენტრის აღებას. პოზიციის ახალი ფორმირება ხორციელდება მის სასარგებლოდ.

4.4. ძალთა ორგანიზება ასიმეტრიული ომისთვის

სამხედრო შესაძლებლობით ძლიერ სახელმწიფოსთან კონფლიქტის აქტიური ფაზა ხშირ შემთვევებში ასიმეტრიული ომის სახით წარმართება. შესაბამისად, წინააღმდეგობის მოძრაობისთვის თავდაცვის ძალებს უნდა ჰქონდეთ მოქნილი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიზანული მოძრაობის წარმოებას საბოლოო მიზნის მისაღწევად. ორგანიზაციის სტრუქტურა დიდად არის დამოკიდებული ხელთ არსებულ რესურსზე, უსაფრთხოებასა და მოსახლეობის მიერ მხარდაჭერაზე. ყველა პარტიზანული ბრძოლა განსაკუთრებულია და იშვიათად იმეორებს რომელიმე კონკრეტულ მოდელს. [27] ნაკლებად

სარწმუნოა, რომ პარტიზანული ძალის სტრუქტურა ისეთივე იქნება, როგორც ერთგვაროვანი ორგანიზაციისა, მაგალითად, სამხედრო სფერო, სადაც ყველა ქვედანაყოფი თითქმის ერთნაირია. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია წინააღმდეგობის მოძრაობაში ჩართულმა ძალებმა სინქრონულად იფუნქციონირონ, ხოლო ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო ასპექტების გათვალისწინებით. დამგეგმავები უნდა იცნობდნენ ორგანიზაციის: სხვადასხვა დაქვემდებარებულ კომპონენტებსა და მათ მიმართულებას; მმართველობებს ქვემოთ ყველაზე დაბალ ტაქტიკურ დონემდე; მხარდამჭერ ინფრასტრუქტურას. [48]

მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია ადგილობრივი მოსახლეობა, რომელთა საშუალებითაც ძლიერდება და ნარჩუნდება წინააღმდეგობის მუხტის. ადგილობრივი დონის ზედა ეშელონები უზრუნველყოფენ ყველა დონეზე კოორდინაციას (პოლიტიკური, სამხედრო, საგარეო მხარდაჭერა და ა.შ). საერთო მმართველობა უზრუნველყოფს მიზნის დასახვასა და მიმართულების განსაზღვრას. [28]

ოკუპანტი ძალის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გამოიყენება სამი კომპონენტი. იატაკქვეშეთი ყოველთვის არსებობს და სწორედ ეს წარმოადგენს მისი ფორმირების პირველ კომპონენტს. წინააღმდეგობის მოძრაობის მიზნები და ამოცანები განსაზღვრავს განვითარების დონეებს: იატაკქვეშეთის; დამხმარე ძალების; პარტიზანული მოძრაობის.

იატაკქვეშა წინააღმდეგობის მოძრაობაში შემავალი უჯრედული ორგანიზაციაა. ის მოქმედებს მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და აქვს უნარი, შეასრულოს ოპერაციები ადგილობრივი უსაფრთხოების ძალების მიერ კონტროლირებად დასახლებულ იმ რაიონებში, რომლებიც პარტიზანებისთვის მიუწვდომელია. აღნიშნულ

რაიონებში იატაკქვეშა მოძრაობას შეუძლია ფუნქციონირება, რადგან ის მოქმედებს ფარულად და უზრუნველყოფს:

- დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ქსელებს;
- რადიოსადგურების დივერსიულ მოქმედებას;
- პროპაგანდის ქსელს, რომელიც აკონტროლებს გაზეთებისა და სააგიტაციო ფურცლების სტამბებსა და ვებგვერდებს;
- სპეციალური მასალების ფაბრიკაციას, როგორცაა: ყალბი საიდენტიფიკაციო მასალები, ასაფეთქებელი ნივთიერებები, შეიარაღების სისტემები და საბრძოლო მასალები;
- პირადი შემადგენლობისა და ლოგისტიკური გადაადგილების მარშრუტების კონტროლს;
- ინდივიდებსა და დაჯგუფებებს, რომლებიც დასახლებული რაიონების ცენტრებში აწყობენ საბოტაჟს;
- საიდუმლო სამედიცინო შენობა-ობიექტებს.

იატაკქვეშა მოძრაობის წევრები საზოგადოების აქტიური წევრები არიან, აქვთ სამსახური, საზოგადოებრივი მდგომარეობა. ისინი ფრთხილად, დისტანციურად მოქმედებენ და რისკის შემცველ მოქმედებებს დამხმარე პერსონალს ასრულებინებენ. იატაკქვეშა მოძრაობის ფუნქციები საშუალებას აძლევს წინააღმდეგობის მოძრაობას, გავლენა მოახდინოს ინტერესის დასახლებულ რაიონებზე.

დამხმარე ძალაში შედის მოსახლეობის ნაწილი, რომელიც აქტიურ ფარულ მხარდაჭერას უცხადებს იატაკქვეშა პარტიზანულ ძალას. დამხმარე ძალის წევრები „არასრულ განაკვეთზე მყოფი მოხალისეები“ არიან, რომლებსაც საზოგადოებაში მათი მდგომარეობის მიხედვით გარკვეული ფუნქცია აქვთ. მეზობლებმა ისინი უნდა მიიჩნიონ არა ცალკეულ დაჯგუფებად, არამედ განსხვავებული ტიპის ფუნქციების შემსრულებელ ინდივიდებად, რომლებიც ერთად ახორციელებენ კონკრეტულ ფუნქციებს დასახლებული რაიონის იატაკქვეშა ან პარტიზანული მოძრაობის ქსელში. ეს ფუნქციები შეიძლება იყოს ლოგისტიკური მხარდაჭერა, სამუშაო ძალისხმევა

ან სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება. დამხმარეებს, მათი კონკრეტული ფუნქციების გარდა, არ ეცოდინებათ სხვა ფუნქციების ან საქმიანობების შესახებ, რომლებიც მხარს უჭერს ორგანიზაციის ქსელს ან კომპონენტს. დამხმარე ძალის პირად შემადგენლობას ხშირად უწევს უდიდესი რისკის გაწევა. ასიმეტრიულ ომში ის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. ზოგჯერ ახალწვეულთა ერთგულების შემოწმების მიზნით პარტიზანების ლიდერები იყენებენ დამატებით ფუნქციებს, სანამ მათ დაჯგუფების სხვა ნაწილს წარუდგენენ. დამატებითი ფუნქციები ემბრიონის სითხეს ჰგავს, რომელიც ქმნის დამცავ საფარს და უზრუნველყოფს იატაკქვეშა და პარტიზანული ძალის სიცოცხლის დაცვას. კონკრეტული ფუნქციებია:

- ლოგისტიკური შესყიდვები (მომარაგების ყველა კლასი);
- ლოგისტიკური განაწილების პუნქტები (მომარაგების ყველა კლასი);
- კონკრეტული მასალის ფაბრიკაციისათვის მუშახელის აყვანა;
- იატაკქვეშა შენობა-ნაგებობებისა და პარტიზანული ბაზების უსაფრთხოების დაცვა და ადრეულ ეტაპზე გაფრთხილება;
- სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვება;
- მოძრაობის რიგების პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება;
- საკომუნიკაციო ქსელების პერსონალის დაკომპლექტება, როგორცაა: კურიერები და ტექსტური შეტყობინებების მიმწოდებლები;
- პროპაგანდის გავრცელება;
- კონსპირაციული ადგილის მენეჯმენტი;
- ლოგისტიკისა და პერსონალის ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

პარტიზანული მოძრაობა წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი დაუფარავი სამხედრო კომპონენტია. პარტიზანებს, როგორც ცალკე ძალას, რომელიც უშუალოდ ერთვება მოწინააღმდეგესთან სამხედრო ოპერაციებში, შესამჩნევი ხარვეზები აქვთ საბრძოლო წვრთნების, აღჭურვილობისა და საცეცხლე საშუალებების თვალსაზრისით; მაგრამ მათ აქვთ ერთი უპირატესობა, რაც ათანაბრებს ამ არასასურველ ბალანსს – ინიციატივა. ნებისმიერი მცდელობისას პარტიზანთა მოძრაობის მეთაური უნდა

მიისწრაფოდეს უპირატესობის შენარჩუნებისა და დაცვისაკენ. პარტიზანული მოძრაობა მოწინააღმდეგეს ებრძვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის მოიპოვებს სათანადო ან დროებით უპირატესობას. პარტიზანული მოძრაობის მეთაური უნდა შეეცადოს, არ ჩაებას მოწინააღმდეგესთან გადამწყვეტ ბრძოლაში და ამგვარად არ მისცეს მას ძალების აღდგენის, უპირატესობის კვლავ მოპოვებისა და პარტიზანთა წინააღმდეგ გამოყენების საშუალება. პარტიზანულ ძალას მხოლოდ იმ რაიონებში შეუძლია საწყისი უპირატესობის მოპოვება და შენარჩუნება, სადაც კარგად იცნობს რელიეფს და კავშირი აქვს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც ასევე უზრუნველყოფს მის ფარულ მხარდაჭერასაც.


[31]

ადგილობრივ გარემოზე კონტროლის დონის მიხედვით, პარტიზანთა ელემენტების მასშტაბი შეიძლება იწყებოდეს ოცეულის და ადიოდეს ლეგიონის დონის ქვედანაყოფამდე ან უფრო დიდ შენაერთამდე. ამბოხების ადრეულ ეტაპზე პარტიზანთა ძალის თავდასხმითი პოტენციალი შეიძლება შეზღუდული იყოს დისტანციური შეტევებისას. რაც უფრო იზრდება მოსახლეობის მიერ პარტიზანთა ძალის მხარდაჭერა, სამთავრობო უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ მათი მოძრაობა უფრო ღია და ფართო მასშტაბს იძენს. წინააღმდეგობის მოძრაობის ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტულ რაიონებში პარტიზანულმა ძალამ თანაფარდობით მოწინააღმდეგე ძალების დონეს შეიძლება მიაღწიოს. ასეთ შემთხვევებში ქვედანაყოფები შეიძლება სრულად, და არა როგორც პარტიზანთა რაზმები, ჩაერთონ ერთმანეთთან აშკარა ბრძოლაში. ყველა წარმატებული ბრძოლის შემთხვევაში მანამდე იზოლირებული წინააღმდეგობის კერები აქტიურად უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან გათავისუფლებულ ტერიტორიებს. ასევე შესაძლებელია მათი მხრიდან მეგობრულად განწყობილ ან მოკავშირე მოსაზღვრე სახელმწიფოსთან დაკავშირება.

სახელმწიფოს სრული ოკუპაციის შემთხვევაში არსებობენ დამატებითი ელემენტები, რომლებიც წინააღმდეგობის მოძრაობაში არიან ჩართულნი.

ზოგიერთ დამატებით ელემენტში შედის: განდევნილი ხელისუფლება, ჩრდილოვანი მთავრობა, რეგიონული მმართველობა. [27]

ხელისუფლება ყოველთვის განდევნილი არ არის. ასეთი ვითარება მაშინ იქმნება, როცა კონკრეტული ელემენტი განდევნის ხელისუფლებას ქვეყნიდან, მაგრამ ხელისუფლება მაინც რჩება აღიარებულ ლეგიტიმურ სუვერენულ ორგანოდ. ხელისუფლება იქნება თუ არა განდევნილი, მეამბოხეები მაინც წარმოადგენენ ქვეყანაში ჩრდილოვანი ხელისუფლების გარკვეულ ფორმას. ნახ. 15-ზე ნაჩვენებია წინააღმდეგობის მოძრაობის სტრუქტურა განდევნილ ან ჩრდილოვან ხელისუფლებასთან ერთად.



ნახ. 15. წინააღმდეგობის მოძრაობის სტრუქტურა.

ჩრდილოვანი მთავრობა არის ქვეყანაში იატაკქვეშა ფორმით წარმოდგენილი ორგანიზაცია. ოპტიმალურ შემთხვევაში ჩრდილოვან ხელისუფლებას შეუძლია ჩვეულებრივი სამთავრობო ფუნქციების შესრულება ფარულად და აღნიშნული ფუნქციების წინააღმდეგობის მოძრაობასთან სინქრონიზება. მისი როლი განსაკუთრებულია, რადგან ის განსაზღვრავს მართვის ხარისხს, ზედამხედველობას, მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულებას ნებისმიერ დონეზე (რაიონი, ქალაქი, სოფელი და ა.შ.) და ასევე არსებული ხელისუფლების მიმართ უნდობლობასა და დელეგიტიმაციას.


ასიმეტრიულ ომში სახელმწიფოს სრულ ან ნაწილობრივი ოკუპაციის შემთხვევაში მხარის მმართველად იგულისხმება ლიდერი, რომელიც

ხელმძღვანელობს, მართავს, აერთიანებს და მხარს უჭერს ყველა მოქმედებას ადმინისტრაციულ რეგიონში. მისი მეთაურის ადგილსამყოფელი ისე უნდა შეირჩეს, რომ მან უსაფრთხოდ შეძლოს პარტიზანებისა და მისი მოქმედებების კონტროლი. მოქნილობა, დაზვერვა, მობილურობა და ოპერაციების უსაფრთხოება მნიშვნელოვანია გადარჩენისა და წარმატებისათვის. თუ პარტიზანული მოძრაობა დაყოფს სამხარეო მმართველობას რაიონის მმართველობებად, მისი შემადგენელი ქვედანაყოფები დაექვემდებარებიან რაიონის მმართველობებს.

თავდაცვის ძალების აღმშენებლობის ყოველმხრივ გაწონასწორებული გეგმის შემუშავება რთულია სავარაუდო საფრთხეზე ადეკვატური რეაგირებისთვის. ისტორიაში ცნობილია ბევრი მაგალითი იმისა, რომ სამხედრო მშენებლობის მიმართულებით დაშვებულ შეცდომებს ბევრი მოწინავე ქვეყანა ომის დროს კატასტროფამდე მიჰყავდა. ცხადია, საქართველოს, მსგავსი შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე სახელმწიფოს, ყველა სამხედრო საფრთხეზე რეაგირებისთვის გაუჭირდება თანამედროვე შეიარაღებითა და ტექნიკით თავდაცვის ძალების აღჭურვა და წვრთნა. [48]

ზემოთ აღნიშნული დისბალანსის შემცირება შესაძლებელია ასიმეტრიული მოქმედებების ტაქტიკით, რომელიც ხშირ შემთხვევაში წარმართება პარტიზანული ბრძოლების სახით. ნახაზ 16-ზე წარმოდგენილი წინააღმდეგობის მოძრაობის ძირითადი სტრუქტურა მორგებულია საქართველოს პირობებს, კერძოდ:


- ოპერატიული თვალსაზრისით, სახელმწიფო გაყოფილია ორ ნაწილად, აღმოსავლეთ და დასავლეთ სარდლობად;
- თითოეული სარდლობა შედგება ლეგიონებისაგან, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია ადმინისტრაციულ მხარეებზე;
- იატაკქვეშეთის მოძრაობა იერარქიურად პირდაპირ ექვემდებარება წინააღმდეგობის მოძრაობის ძალების მეთაურს.



შენიშვნა: სარდლობებში ლეგიონების რაოდენობას დამოკიდებულია ადმინისტრაციული რეგიონების რაოდენობაზე

ნახ. 16. ასიმეტრიული ომზე მორგებული თავდაცვის ძალების სტრუქტურა.

ასიმეტრიული ბრძოლისთვის შექმნილი ადმინისტრაციული ლეგიონის შემადგენელი ქვედანაყოფები წარმოადგენენ პარტიზანთა ბატალიონებს, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია ოპერაციის რაიონის მასშტაბსა და დაკისრებულ ამოცანებზე. თითოეული ბატალიონი შეიძლება შედგებოდეს 300-500 პარტიზანისგან (სამხედრო მოსამსახურე/არალეგულარული მებრძოლი). იხ. ნახ. 17.



ნახ. 17. პარტიზანთა ბატალიონის სტრუქტურა.

ასიმეტრიული ომის საწარმოებლად, ზემოთ მოყვანილი სტრუქტურების შესაბამისად, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს თავდაცვის ძალებს ჰქონდეს ისეთი ფორმა, რომელიც მთლიანად მორგებული იქნება ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად. თუ ამ საკითხს საერთო კონტექსტში განვიხილავთ, საქართველოს, როგორც მცირე სამხედრო რესურსების მქონე სახელმწიფოს, ტოტალური ომის წარმოება მოუწევს ერთიანი ფრონტის სახით. სადაც დასავლეთ საქართველო ზღვის სანაპიროდან რიკოთის უღელტეხილამდე (ჩათვლით) შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ერთი სამხედრო ერთეულის – „გაერთიანების“ – ბრძოლის ადგილი. მშვიდობიან პერიოდში მას, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულს, შეგვიძლია დავარქვათ „დასავლეთის ოპერატიული მიმართულება“. თავისი არსით დასავლეთის სამხედრო მიმართულება ალბათ უფრო მნიშვნელოვანი (უფრო მაღალი კატეგორია) იქნება ასიმეტრიული მოქმედებებისთვის, ვიდრე აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ოპერატიული მიმართულებები. [27]

რიკოთიდან აღმოსავლეთით ზონები გაყოფილია ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებებად. გაყოფა პირობითია და მეზობელი სახელმწიფოების მოსაზღვრეობითაა განპირობებული. როგორც ადმინისტრაციული ერთეულები, ისინი შეიძლება იწოდებოდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ოპერატიულ მიმართულებებად. თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით ისინი კატეგორიებით ალბათ ერთი საფეხურით უფრო დაბალი რანგის სამხედრო მიმართულებებად უნდა მივიჩნიოთ, იმიტომ რომ თავდაცვის მთლიან სისტემაში ერთიანი თავდაცვის სიღრმეს წარმოადგენენ. ბრძოლების პირველ და მეორე ეტაპებზე ისინი კეტავენ გადასასვლელებს მცირე საბრძოლო ერთეულებით და სრულმასშტაბიან ბრძოლებში ებმებიან მოწინააღმდეგის მიერ რიკოთის გადმოლახვის შემდეგ. მათი საბრძოლო მოქმედებები იქნება ასიმეტრიული მტკვრის ხეობის ჩრდილოეთით და ხეობიდან სამხრეთით.

საბრძოლო მოქმედებების ერთიანი კოორდინაციის მიზნით შეიარაღებულ ძალებს უხელმძღვანელებს გენერალური შტაბი. სამხედრო ნაწილები, მოწინააღმდეგის მოძრაობის მიუხედავად, თავიანთი დისლოკაციის ადგილებიდან მნიშვნელოვან მანძილზე არ გადაადგილდებიან. უფრო სწორად, პარალელების გასწვრივ, დასავლეთში – მდინარე რიონის ხეობის, ხოლო აღმოსავლეთში – მდინარე მტკვრის ხეობის გასწვრივ მოწინააღმდეგის გადაადგილებისას საქართველოს თავდაცვის სისტემის ნაწილები მოძრაობენ ვერტიკალურად, მერიდიანების გასწვრივ, პარალელების გასწვრივ მოძრავ მოწინააღმდეგესთან მიმართებაში.

4.5. თავდავის ძალებით ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებების წარმოება

ასიმეტრიული საომარი მოქმედებების ჭრილში უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ წარმოებული ომის ანალიზიდან ჩანს, რომ შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკით აღმატებულ მტერთან ბძოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწორად შერჩეულ ტაქტიკასა და პროცედურებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის ოპერაციები, გაშლა, შენიღბვა და დასახლებულ ტერიტორიაზე ქვედანაყოფების აქტიური მოქმედებები. ამასთანავე, გამოიყენება ტექნოლოგიური კონტროლები: კიბერშეტევა და გლობალური პოზიციონირების სისტემების ჩახშობა, რათა მათ ვერ შეძლონ ვითარებაში გარკვევა, ინიციატივის ხელში ჩაგდება და ტაქტიკური წარმატების გაერთიანება მათთვის სასარგებლო შედეგებში. მოწინააღმდეგის დამარცხების მიზნით, ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფის მეთაურმა და შტაბმა უნდა განსაზღვრონ მისი მიზნები და გაიაზრონ ის მრავალმხრივი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და საინფორმაციო განზომილებები, რომლებშიც მოქმედებს. [49]

ასიმეტრიული ტაქტიკით მებრძოლ ძალებს საომარი მოქმედებების წარმოება მოუწევს კომპლექსურ რელიეფზე, რათა თავი აარიდოს

მოწინააღმდეგის შეიარაღებული სისტემების ზემოქმედებას. მათ უნდა იმოქმედონ დასახლებულ პუნქტებში ან მათ სიახლოვეს, რათა ვერ მოხდეს მათი აღმოჩენა, დაზოგონ საბრძოლო შესაძლებლობები და შეინარჩუნონ გადაადგილების თავისუფლება.

შეცდომაში შეყვანად გამოყენებული უნდა იქნეს დაფარვისა და შენიღბვის, დაკვამლიანებისა და კვამლის ფარდის წარმომქმნელი საშუალებები. გამომჟღავნების თავიდან აცილების მიზნით, გადაადგილდნენ მცირე, გაშლილ ქვედანაყოფებად, შენაერთებად, ჯგუფებად ან უჯრედებად. გამოიყენონ მცირემასშტაბიანი მოქმედებები სამიდან ათ კაცამდე შემადგენლობის ელემენტებით, რომლებიც მანამდე წყვეტენ კონტაქტს/გამოდიან შეხებიდან, სანამ მოწინააღმდეგე შეძლებს არაპირდაპირი ცეცხლის მხარდაჭერით უზრუნველყოფას ან საჰაერო-სადესანტო დარტყმების პლატფორმების გამოყენებას. ასევე საჭიროა ბრძოლის ველზე სიმულაციური საშუალებებით ძალების დემონსტრირება, რათა ადვილად აღმოჩნდეს და განადგურდეს მოწინააღმდეგის ინფორმაციის შეგროვების საშუალებები. მიწისქვეშა ობიექტების გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის ძალთა დაცვის შესაძლებლობას.

ოპერატიული გარემოს ფორმირების მიზნით, პარტიზანული ტაქტიკით მოქმედმა ძალებმა უნდა გააერთიანონ ლეტალური და სხვა მოქმედებები მოწინააღმდეგის ძალების ძალისხმევის შესაფერხებლად. ლეტალური მოქმედებები გადამწყვეტი ძალის გამოყენებით შესაძლებელია იყოს თავდასხმითი და თავდაცვითი ხასიათის. სხვა მოქმედებებია: აგიტაცია, პროპაგანდა და ადგილობრივი მოსახლეობის გამოყენება. მათ შეუძლიათ ასევე იმოქმედონ მცირე ზომის, გაფანტულ, ათეულის ზომის ჯგუფებად, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან ტექნოლოგიურად მოწინავე ლეტალური შეიარაღების სისტემებით. ასეთი შეიარაღებაა: ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები და გადასატანი საჰაერო თავდაცვის სისტემები, კონტრუპილოტო და უპილოტო საფრენი აპარატის სისტემები.

[31]

ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მოწინააღმდეგის დაუცველი მიზნებისკენ, როგორცაა: მცირე ზომის საბრძოლო დაცვა, ქვეითი პატრული და ლოჯისტიკური კონვოი, სადაც გადამწყვეტ ბრძოლაში მცირე რისკებით ადვილად მიიღწევა გამარჯვება. დაცვისა და საცეცხლე სიძლიერის გაზრდის მიზნით აუცილებელია ჯავშანტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება. მცირე ზომის საერთო-საჯარისო ჯგუფების ტაქტიკურ შესაძლებლობებს აძლიერებს იაფფასიანი/ადვილად ხელმისაწვდომი კონტროლებების განხორციელება, როგორცაა: ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები, მოლოტოვის კოქტილები, დაკვამლიანების საშუალებები. ამ კონტროლებით იზღუდება მოწინააღმდეგის გადაადგილება და მანევრი.

შესაბამისად, ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებებით შესაძლებელია მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება, დროის მოგება, საკვანძო ადგილმდებარეობის გაკონტროლება. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წარმატებით ჩატარებული ასიმეტრიული ბრძოლები საშუალებას იძლევა გადავიდეთ თავდასხმით ან სტაბილურობის ოპერაციებზე. წარმატებული ასიმეტრიული ომის მახასიათებლებში შედის შეფერხება, მოქნილობა, მანევრი, თავმოყრა (მასირება) და კონცენტრირება, სიღრმისეული ოპერაციები, მომზადება და უსაფრთხოება. [26]

შეფერხება. ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედმა ძალებმა უნდა შეაფერხოს მოწინააღმდეგის ოპერაციის ტემპი და სინქრონიზაცია, რითიც მის ინიციატივას დაუპირისპირდება და ხელს შეუშლის საბრძოლო ძალის კონცენტრირებას ასიმეტრიული ძალის ნაწილის წინააღმდეგ, საბოლოოდ კი აიძულებს მას, წავიდეს იქ, სადაც მათი განადგურება იოლი იქნება. შეფერხება მიიღწევა იმით, რომ ვამარცხებთ ან არასწორი მიმართულებით ვუბიძგებთ წასვლას მოწინააღმდეგის რეკოგნოსციების ძალებს, რაც ხელს უშლის მათ მანევრს, აფერხებს რეზერვებს, ანეიტრალებს ცეცხლით მხარდაჭერას და შლის მართვასა და კონტროლს. ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედ ძალებს უსაფრთხოების გასაზრდელად ძლიერი უსაფრთხოების ელემენტები სჭირდება, რომლებიც დაამარცხებენ მოწინააღმდეგის

რეკონსტრუქციის ძალებს, შექმნიან ცრუ საწყის პოზიციებს და დაბრკოლებებს. იმისათვის, რომ მეთაურმა მოწინააღმდეგეს ხელი შეუშალოს თავდაცვაში ასიმეტრიული ძალების მიმართ ჭარბი ძალის კონცენტრირებაში, ის იყენებს კონტრშეტევას, ცრუ შეტევებს; დაბრკოლებებს და ინარჩუნებს საკვანძო ან გადამწყვეტ ადგილმდებარეობას.

მოქნილობა. მოქნილობის შესანარჩუნებლად საჭიროა საფუძვლიანი და დეტალური დაგეგმვა, საგულდაგულო მომზადება, სიღრმისეული ოპერაციები და ამოცანით მართვა. მოქნილობა მოითხოვს ბრძოლის ველის წარმოსახვას, რათა დროულად გამოვლინდეს მოწინააღმდეგის მანევრის სქემა, მისი მისამართით გაიხსნას ცეცხლი. მოწინააღმდეგეზე ინფორმაციის შეგროვება მხოლოდ კონტაქტში მყოფ ძალებზე არ ვრცელდება. მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სიღრმეში მყოფ ძალებზე, რადგან ისინი შეიძლება შეეცადონ გვერდი აუარონ იმ რაიონებს, სადაც ძლიერი ასიმეტრიული თავდაცვის რაიონებია მოწყობილი. აქედან გამომდინარე, მიახლოების ყველა სავარაუდო მარშრუტზე მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის რეკონსტრუქციის ძალების აღმოჩენა და დამარცხება.

მანევრი. ასიმეტრიულ ბრძოლაში მანევრი საშუალებას იძლევა ოპერაციების რაიონში მოხდეს რესურსების სწორი გადანაწილება და კონცენტრაცია. თავდაცვის ძალების ქვედანაყოფები მოწინააღმდეგის სამოქმედო გეგმის საპასუხოდ უნდა გაიშალონ ბრძოლის ველზე. ზოგ ვითარებაში მნიშვნელოვანია თავდაცვაში სუსტი ადგილების დატოვება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში რისკის შესამცირებლად აუცილებელია უსაფრთხოების ზომების გაზრდა. აღნიშნული ტერიტორიებზე გამოიყენება თვალთვალის საშუალებები, უსაფრთხოების ძალები და პატრული.

თავმოყრა და კონცენტრაცია. მოწინააღმდეგის დასამარცხებლად და ინიციატივის დასაბრუნებლად მნიშვნელოვანია საბრძოლო ძალის თავმოყრა საჭირო დროსა და ადგილას. ამის მისაღწევად შეიძლება ზოგ რაიონში ძალების დაზოგვა, რეზერვის შენარჩუნება, საცეცხლე პრიორიტეტების შეცვლა და განმეორებითი მანევრი გახდეს საჭირო. ზოგ

რაიონში, რისკზეც მიდიან, რომ გადამწყვეტი მოქმედებისთვის ძალთა კონცენტრაცია უზრუნველყონ. ამ რისკების შესამცირებლად და ძალების დასაზოგად, დაბრკოლებებს, უსაფრთხოების ძალებსა და ცეცხლს იყენებენ.


სიღრმისეული ოპერაციები. ოპერაციის რაიონში ყველა საბრძოლო ძალის გაერთიანება ზრდის წარმატების შანსს და ამცირებს საკუთარ ძალთა დაშავების ალბათობას. ქვედანაყოფების ოპერაციების რაიონში სწრაფ, მძლავრ და ერთდროულ მოქმედებას შეუძლია ზიანი მიაყენოს, დააზიანოს და პარალიზებამდე მიიყვანოს მოწინააღმდეგის ძალები მაშინ, როდესაც ისინი ყველაზე დაუცველნი და მოწყვლადნი იქნებიან. ამგვარი მოქმედებები აქვეითებს მოწინააღმდეგის საბრძოლო სულისკვეთებას და საშუალებას არ აძლევს რომელიმე ადრეულ წარმატებას, რომ მათი თავდაჯერებულობა აღადგინოს. სიღრმისეული ოპერაციები ხელს უშლიან მოწინააღმდეგეს შეტევისას ტემპის აკრეფაში. ოპერატიულ მონახაზში მოცემული მოქმედებების სინქრონიზაცია აადვილებს ამოცანის წარმატებით განხორციელებას.

მომზადება. ასიმეტრიული ომისთვის სათანადოდ მოსამზადებლად მეთაური მოწინააღმდეგის შესაძლებლობებსა და ნაკლოვანებებს უნდა იცნობდეს. ამ ინფორმაციაში იგულისხმება მოწინააღმდეგის ძალთა სტრუქტურა, თავდასხმის დოქტრინა (ტაქტიკა, მეთოდები და პროცედურები), იარაღის სისტემები და აღჭურვილობა. ინფორმაციის შეგროვების, რეკოგნოსირების, თვალთვალის, უსაფრთხოებისა და დაზვერვის ოპერაციები მეთაურსა და შტაბს საშუალებას აძლევს, გაიაზრონ და გაზარდონ ასიმეტრიული ბრძოლის ეფექტურობა.

მეთაურებმა ყველა პერსპექტივიდან დეტალურად უნდა გაანალიზონ ადგილმდებარეობა და შემდეგ შეარჩიონ ბრძოლაში ჩაბმის რაიონები და პოზიციები, რომლებიც მოწინააღმდეგის სავარაუდო მიახლოების მარშრუტებზეა, რაც ცეცხლის მასირებისა და ძალთა კონცენტრაციის საშუალებას მისცემს. მთავარი ყურადღება პოზიციების, მარშრუტების, დაბრკოლებების, ლოგისტიკური მხარდაჭერისა და ამოცანით მართვის,

შენობებისა და ქსელების მომზადება-შენიღვისკენ არის მიმართული. შტაბისა და დაქვემდებარებული პერსონალის მიერ ოპერაციების კონცეფციისა და მეთაურის ჩანაფიქრის გასაცნობიერებლად, მეთაური გეგმავს, კოორდინაციას უწევს და ამზადებს სამხედრო შეცდომაში შეყვანის პროცესს, ამასთან, იყენებს რეპეტიციებსაც.

ჩასაფრება. ასიმეტრიული მოქმედებების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩასაფრება საბრძოლო ამოცანის ერთ-ერთ ძირითად ოპერაციად რჩება (იხ. ნახ. 18). იგი ხორციელდება შენიღბული პოზიციიდან მოძრავ ანდროებით გაჩერებულ მოწინააღმდეგეზე დაგეგმილი უკან დახევით, რომლის მთავარი მიზნები შეიძლება იყოს: მოწინააღმდეგის განადგურება, ტერორი, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება, ლოგისტიკური მარაგების დაუფლება. [27]



ნახ. 18. ჩასაფრების ორგანიზება.

ძალები, რომლებიც გამოიყოფა ჩასაფრების მოსაწყობად, დამოკიდებულია ვითარების პირობებზე და შესაძლებელია შეადგენდეს 30-40 კაცს, ზოგჯერ მეტსაც. ჩასაფრების მოწყობისას ოპერაციის მეთაური, მოწინააღმდეგის მოძრაობის მიმართულებით, განსაზღვრავს ჩასაფრებისა და ნაღმების დაყენების ადგილს, საბრძოლო წყობას, ცეცხლის გახსნის წესრიგს,

მებრძოლების მოქმედებებს ტექნიკის, ტყვეების, ალაფისა და დოკუმენტების ხელში ჩასაგდებად, ასევე შეკრების ადგილზე უკანდახევის რიგითობას და ამოცანის შესრულების შემდეგ საჭირო წესრიგს.

ჩასაფრების ადგილი შეირჩევა მოძრაობის იმ მონაკვეთებზე, სადაც მოწინააღმდეგე იძულებულია შეანელოს გადაადგილების ტემპი, აქვს ხედვის მცირე არეალი და მანევრირების საშუალება. ამიტომ ჩასაფრების მოსაწყობად ყველაზე მისაღებია ისეთი ადგილები, სადაც ვიწროვდება გზები, ასევე არის ხევები და ქვაბულები. [27]

ჩასაფრებაში საბრძოლო წყობა განისაზღვრება 1-2 მოიერიშე ჯგუფით, უზრუნველყოფის ჯგუფითა და რეზერვით. ჩასაფრების ეფექტურობაში მთავარ როლს ასრულებს ცეცხლის გახსნის წესრიგი. ამისთვის უნდა განისაზღვროს სპეციალური სიგნალი. თუ ჩასაფრება ეწყობა კოლონის პირდაპირ, ცეცხლი ჯერ იხსნება სათავო და ჩამკეტი მანქანების მიმართულებით, შემდეგ კი სხვა ობიექტების მიმართულებით. ასევე ცალკეული სიგნალი გამოიყენება მონიშნულ ობიექტებზე შეტევისთვის. ჩასაფრება შესაძლებელია იყოს მოძრავიც; მოძრავი ჩასაფრების მოწყობისას ყველა საბრძოლო ელემენტი მოძრაობს. მოწინააღმდეგის ფორმაში გადაცმული პარტიზანები უახლოვდებიან ჩასაფრების ობიექტს, უსწრებენ მას და მოულოდნელად ესხმიან თავს.

თანამედროვე პირობებში მნიშვნელოვანია უპილოტო საფრენი აპარატებისა და შვეულმფრენების დაცვა, რადგან სწორედ მათი გამოყენებით კონტროლდება მოწინააღმდეგის გადაადგილების მარშრუტები. საიმედოდ შენიღბულებსა და შეიარაღებულებს გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსითა და დრონების საწინააღმდეგო იარაღით შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ მტრის საფრენ საშუალებებს. მთლიანობაში, ჩასაფრების ოპერაციის წარმატება დამოკიდებულია ადგილის სწორად შერჩევასა და ჩატარების ხანგრძლივობაზე, შენიღბვაზე, მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი დარტყმების მიყენებაზე, სტრატეგიულ განლაგებაზე, საცეცხლე საშუალებების ეფექტურ გამოყენებასა და სწრაფ მოქმედებებზე. [17]

თავისი მიზნობრივი გამოყენების მიხედვით, ჩასაფრებები არის შემაკავებელი და გამანადგურებელი. ჩასაფრების ტიპის შერჩევა პირდაპირ გამომდინარეობს საომარი მდგომარეობიდან, ძალთა შეფარდებიდან, ადგილმდებარეობის პირობებიდან და სხვა ფაქტორებიდან. შემაკავებელი ჩასაფრების მოსაწყობად, რომლის ამოცანაში შედის გადაადგილების ტემპის შენელება, გადაადგილების მიმართულების შეცვლა, დროზე ადრე საბრძოლო წყობებში გაშლის იძულება, საჭიროა უფრო ნაკლები ძალები, ვიდრე გამანადგურებელი ჩასაფრებისას. თუ მოწინააღმდეგის ასეულის შეკავებას გარკვეული დროის განმავლობაში ესაჭიროება რამდენიმე კაცი, მის ეფექტურ განადგურებას, რიცხობრივი შეფარდებიდან გამომდინარე, სჭირდება მეტი რაოდენობის მებრძოლი. ადგილმდებარეობის, საბრძოლო წყობისა და მოქმედების საშუალებების მიხედვით, გვხვდება შემხვედრი, პარალელური და წრიული ჩასაფრებები. [27]

შემხვედრი ჩასაფრება, ჩვეულებრივ, უმოძრაოა. ეწყობა ქვედანაყოფის მოძრაობის მარშრუტზე მათი შებოჭვის ან ავანგარდის განადგურების მიზნით. ის ხშირად გამოიყენება პატარა ქვედანაყოფებისა და სატრანსპორტო საშუალებების (გადაადგილდებიან დაცვის გარეშე) წინააღმდეგ. ჩასაფრების ადგილი ეწყობა წინასწარ, ასევე კეთდება სათადარიგო და ცრუ პოზიციები, განისაზღვრება უკანდახევის გზები. შემხვედრი ჩასაფრება ასევე ხშირად გამოიყენება რომელიმე ობიექტზე თავდასხმის დემონსტრირებასთან ერთდროულად, რათა გამოიწვიონ რეზერვების ინიცირება მისი მიმართულებით.

პარალელური ჩასაფრება ხასიათდება იმით, რომ კოლონის გადაადგილებისას მის გასწვრივ მოძრავი პარტიზანების თავდასხმის ობიექტები ხშირად არიან: დაზვერვა, სათავო ან გვერდითი კოლონის დაცვა, ლოგისტიკური კოლონები და, შესაძლებელია, მთავარი ძალებიც. ამ შემთხვევაში პარტიზანების მთავარი ძალები თავმოყრილია და განლაგებულია მარშრუტის გასწვრივ, ერთი მხრიდან ან გზის ორივე მხარეს.

წრიული ჩასაფრება ყველაზე რთულია როგორც მოსამზადებლად, ისე ჩასატარებლად. მისი ორგანიზებისას მოწინააღმდეგის ლოდინში მებრძოლები ადრეულად განლაგდებიან მონიშნულ პერიმეტრზე, შერჩეულ რაიონში. პირველი მათგანი ცეცხლს უხსნის კოლონის ფლანგს და შედის ბრძოლაში, ამით ცეცხლი და ყურადღება გადააქვს თავის თავზე. ასე მოქმედებენ სხვა ჯგუფებიც. ისინი თანმიმდევრულად ერთგებიან ბრძოლაში და აიძულებენ მოწინააღმდეგეს ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ჩაერთოს საბრძოლო მოქმედებებში, მაგრამ გარკვეულ პერიოდში შესაძლებელია მდგომარეობაზე, ძალებისა და საშუალებების მართვაზე კონტროლის დაკარგვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი განადგურება.

მდგომარეობისა და დავალების შესაბამისად ჩასაფრებაში დასაშვებია მონაწილეობდეს ათიდან ოცამდე, ზოგჯერ კი ას მებრძოლზე მეტიც. ბოლო შემთხვევაში ისინი განლაგდებიან რამდენიმე ზღუდეზე. ჩასაფრებაში მოქმედი რაზმის შემადგენლობა იცვლება მიზნისა და დამცავი ძალების მიხედვით. მისი შემადგენლობაა: ცეცხლით მხარდაჭერის (დამრტყმელი) ჯგუფი; უსაფრთხოებისა და ყურადღების (გატყუების) გადამტანი ჯგუფი; მოწინააღმდეგის მანევრისა და მისი უკანდახევის ბლოკირების ჯგუფი (შემბოჭავი); სარეზერვო ჯგუფი; თვალთვალის, კავშირისა და ინფორმირების ჯგუფი. ტექნიკის არსებობის შემთხვევაში, რაზმის შემადგენლობაში შედის სატრანსპორტო ჯგუფი.

მოულოდნელი თავდასხმა. იგი წარმოადგენს მტრის ობიექტზე დაცემას დაპყრობის ან განადგურების მიზნით. მოულოდნელი თავდასხმა ობიექტის გასანადგურებლად და ხელში ჩასაგდებად ეფექტური მოქმედებაა, მოსამზადებლად მოითხოვს დიდ დროს და დაკავშირებულია საკუთარი ცოცხალი ძალის დანაკარგებთან. უპირატესობა ენიჭება მოკლე (დროის თვალსაზრისით) და უეცარ თავდასხმებს (პარტიზანების პატარა ჯგუფების მიერ სუსტად გამაგრებულ ობიექტებზე).

თავდასხმის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია მოულოდნელობა და სისწრაფე. თუ თავდასხმის განმავლობაში მოწინააღმდეგემ

შემლო ადრეულად მომზადებული და მოწყობილი პოზიციების დაკავება, მაშინ კლასიკური შეტევით ბრძოლებში მოქმედებები შეიძენს პარტიზანებისთვის სრულ „უკუჩვენებით“ ხასიათს. თავდასხმისას საბრძოლო წყობის სწორად ორგანიზება მეთაურისგან მოითხოვს გამომგონებლობასა და სიმტკიცეს. საბრძოლო წყობა შედგება მოიერიშე (დამრტყმელი), ცეცხლით მხარდაჭერისა და უსაფრთხოების ჯგუფებისგან.

მოულოდნელ თავდასხმას წინ უძღვის ობიექტის დეტალური დაზვერვა იმ მიზნით, რომ დაზუსტდეს ობიექტის დაცვის ხასიათი, მნიშვნელობა და რეჟიმი, განისაზღვროს დაფარული მიახლოების მარშრუტების არსებობა, ღობურების განლაგება, ახლომყოფი რეზერვების ადგილმდებარეობა და მათი გადაადგილების მარშრუტი.

მოულოდნელი თავდასხმა უმეტესად მძევლებისა და იარაღის ხელში ჩაგდებას ითვალისწინებს ე. წ. „ჩეკპოინტებზე“. თავდასხმა მიმდინარეობს იმ საგუშაგოებზე, რომლებიც გადაადგილებისას სერიოზულ პრობლემებს უქმნის პარტიზანებსა და მათ ქარავნებს. საგუშაგოს მნიშვნელობისა და დაცვის რაოდენობიდან გამომდინარე, თავდასხმაში ჩართულია 5-10-კაციანი ჯგუფი, ასევე დაჯგუფება 100 მეტრძოლის შემადგენლობით. 1995 წლის დეკემბერსა და 1996 წლის მარტში ჩეჩენმა პარტიზანებმა ხელში ჩაიგდეს რუსეთის 245-ე მოტომსროლელი პოლკისა და 166-ე ცალკეული ბრიგადის ბლოკსაგუშაგოები. ორივე შემთხვევაში პარტიზანების მოქმედებები იყო იდენტური. რამდენიმე კვირის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობა რუს ჯარისკაცებთან აგვარებდა ურთიერთობას, მიჰქონდათ საკვები პროდუქტი, სიგარეტი, სპირტიანი სასმელი, მათგან კი ყიდულობდნენ საწვავს. და ასეთი ქმედებებით რუსების ყურადღება მოადუნეს. განთიადზე ჩეჩენებმა განაიარაღეს გუშაგები, ხოლო საბრძოლო ჯგუფებმა დაიკავეს ბლოკსაგუშაგოები და გამართული ტექნიკა კი გაიტაცეს.

დივერსია. მოწინააღმდეგის ზურგში სახელმწიფო და სამხედრო დანიშნულების ობიექტების მწყობრიდან გამოყვანა სპეციალური საშუალებების გამოყენებით არის დივერსია. ის წარმოადგენს ისეთ

საბრძოლო მოქმედებებს, რომლებიც ყველაზე მეტად მისაღებია პარტიზანებისთვის, რადგან საბრძოლო შეხებაში შეუსვლელად განაპირობებს მოწინააღმდეგისთვის მნიშვნელოვანი ზარალის მიყენებას. დივერსიის ობიექტებს წარმოადგენს მართვის პუნქტები, მტრის ადმინისტრაციული ერთეულები, ელექტროსადგურები, კავშირგაბმულობის სადგურები, აეროპორტები, შეტყობინების საშუალებები, ელექტრო-გადაცემის ხაზები და ა.შ. დივერსია უზრუნველყოფს მოწინააღმდეგეზე ზემოქმედებას, რაც მაქსიმალურად მიიღწევა საკუთარ, რეგულარულ ჯარებთან ურთიერთქმედებისას. პარტიზანულ რაზმებს, რომლებიც ორიენტირებული არიან დივერსიებზე, საბრძოლო მოქმედებების დროს არ გააჩნიათ ცოცხალი ძალის დიდი დანაკლისი, ინარჩუნებენ საბრძოლო პოტენციალს და განუწყვეტლივ შეუძლიათ მოწინააღმდეგისთვის ძლიერი დარტყმების მიყენება. დივერსიული მოქმედებები უნდა გაფართოვდეს პარტიზანული მოძრაობის გაშლასთან ერთად. არც ღია ადგილმდებარეობა, არც პოლიციური მძიმე რეჟიმი დივერსანტებისთვის არ წარმოადგენს წინაღობას.

დივერსიების ეფექტურობა დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, კერძოდ, პარტიზანების მომზადებიდან დივერსიებამდე; დივერსიის მოსაწყობი საშუალებების ადგილზე მომზადების შესაძლებლობებზე; დივერსიის ობიექტის შესახებ დროულ და ზუსტ მონაცემებზე; დროის, ხერხებისა და საშუალებების სწორად შერჩევაზე; კონსპირაციისა და შენიღბვის წესების დაცვაზე. დივერსიისთვის გამოიყოფა პარტიზანების ჯგუფი ან ცალკეული შემსრულებელი. დავალების მიღებისას მეთაურმა უნდა უზრუნველყოს ობიექტის განმეორებითი შემოწმება და დაზვერვა, რათა დააზუსტოს მისი ადგილმდებარეობა, გამოავლინოს სუსტი მხარეები, დაცვის სისტემა, ასევე შიგნით შეღწევის შესაძლებლობები. განმეორებითი დაზვერვის შემდეგ, ჯგუფის მეთაური იღებს ობიექტზე დივერსიის გადაწყვეტილებას, განსაზღვრავს შეღწევის წესრიგს, დივერსიის მოწყობის

ხერხებს, დავალების შემსრულებლებს, მართვის სიგნალებს, კავშირს, უკანდახვევის გზებსა და შეკრების ადგილს.

დივერსიისთვის საუკეთესო საშუალებებს წარმოადგენს ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები, საშტატო ასაფეთქებელი საშუალებები, ასევე სამოქალაქო წარმოებაში გამოსაყენებელი სპეციალური დივერსიული ტექნიკა. გარდა ამისა, დივერსიებისთვის პარტიზანებმა შესაძლებელია გამოიყენონ ობიექტების მექანიკური დაზიანება: დაწვა, დატბორვა და ა.შ. დივერსიული საშუალებებიდან ყველაზე მისაღებია ნაღმები შენელებული მოქმედებით და რადიომართული ნაღმები (ფუგასები). დივერსიული და საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობისას პარტიზანებმა არ უნდა დაუშვან შეცდომა, მნიშვნელოვანია გამოავლინონ მოხერხებულობა და საზრიანობა.

[31]

ცეცხლით თავდასხმა. ეს არის მოწინააღმდეგის ობიექტის (შეზღუდული ზომის), სატრანსპორტო კოლონის განადგურება ყუმბარსატყორცნებისა და არტილერიის ცეცხლით. ამ დროს საბრძოლო დავალება სრულდება მოწინააღმდეგის ობიექტზე შეუღწევლად, რაც გამორიცხავს დიდ დანაკარგებს. თუმცა პარტიზანულ რაზმს შესაძლებელია ჰქონდეს დანაკარგები იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგემ სწრაფად განსაზღვრა პარტიზანების პოზიციები და საპასუხო ცეცხლით ან ავიაციის გამოყენებით დაიწყო მისი საცეცხლე საშუალებების ჩახშობა. ყველაზე მისაღებია ცეცხლით თავდასხმა მოწინააღმდეგის მართვის პუნქტებზე, რადიოსადგურებზე, ცალკეულ ნაგებობებზე, რკინიგზის ხაზებსა და სხვა მიმოსვლის საშუალებებზე.

ცეცხლით თავდასხმისას საბრძოლო წყობა შედგება ცეცხლით მხარდაჭერის, უზრუნველყოფისა და რეზერვის ჯგუფებისგან. საბრძოლო მასალების პოზიციებზე გადასაზიდად გამოიყოფა გადამზიდების ჯგუფი, ვითარების შესაბამისად შესაძლებელია საპალნე პირუტყვისა და ავტომობილების გამოყენებაც. ცეცხლით მხარდაჭერის ჯგუფი იმლება ერთ ან რამდენიმე საცეცხლე პოზიციაზე და ქმნის რამდენიმე სათვალთვალო

პუნქტს ცეცხლის კორექტირებისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცეცხლის წარმოებას ღამით. სროლისთვის საწყისი მონაცემები მზადდება წინასწარ, ჯგუფის საცეცხლე პოზიციებზე გასვლამდე. ამისთვის ობიექტის განლაგების რაიონში ადრეულად იგზავნება სპეციალური სადაზვერვო ჯგუფები ან ცალკეული მზვერავები. უზრუნველყოფის ჯგუფები იკავებენ ზღუდეებს იმ მიმართულებებზე, საიდანაც სავარაუდოა მოწინააღმდეგის თავდასხმა. [50]

მთლიანობაში, ცეცხლით თავდასხმის წარმატება დამოკიდებულია ობიექტისა და ადგილმდებარეობის დეტალურ დაზვერვაზე, სროლის საწყისი მონაცემების მომზადებაზე, გათვლების გამოცდილებასა და ცოდნაზე, საცეცხლე პოზიციებზე გადაადგილების ფარულობასა და დავალების შესრულების შემდეგ სწრაფ გამოსვლაზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ასიმეტრიულ ომში შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკით აღმატებული მტრის დასამარცხებლად მნიშვნელოვანია ტაქტიკის სწორად შერჩევა და გამოყენება. თანამედროვე ტექნოლოგიური შესაძლებლობები წარმოადგენს უმთავრეს ბერკეტს მოულოდნელობის ეფექტის მისაღწევად და მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად, დასახლებულ პუნქტებში და რთულ რელიეფზე წარმოებული სამხედრო მოქმედებები კი გაზრდის თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების ბრძოლისუნარიანობას.

დასკვნა

ბოლო პერიოდში მსოფლიოში წარმოებულ სამხედრო კონფლიქტებს ასიმეტრიული ომის ხასიათი აქვთ, რასაც განაპირობებს დაპირისპირებული ძალების შესაძლებლობების, ტექნოლოგიებისა და ტაქტიკის დისბალანსი.

ასიმეტრიული ომის დროს თავდაცვაში მყოფი მხარის ძირითადი ძალისხმევა მიმართულია მოწინააღმდეგეზე ინფორმაციული და ფსიქოლოგიური წნეხის გაძლიერებასა და მოსახლეობის დაშინებაზე. აღნიშნული გარემოებები უბიძგებს პატარა და შედარებით ნაკლები შეიარაღების მქონე სახელმწიფოების თავდაცვის ძალებს, ბრძოლის წარმოების ახალი მეთოდების გათვალისწინებით განავითარონ ასიმეტრიული შესაძლებლობები, რადგან სწორედ ასიმეტრიული ომი იძლევა რიცხობრივად აღმატებულ მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვების საშუალებას.

ნაშრომში შესწავლილია ასიმეტრიული ომი, როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. დადგინდა, რომ ასიმეტრიული ომის მეთოდებს (ფარულობას, სიჩქარეს, მოულოდნელობასა და სწრაფი გადაწყვეტილების მიღებას) აქვს უნარი გაითვალისწინოს ევოლუციური პროგრესი. ასევე გამახვილდა ყურდღება იმ გარემოებაზე, რომ ასიმეტრიული მოქმედებების უპირატესობა ყოველთვის არ არის რესურსებით ძლიერი ძალის მხარეს. კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ ასიმეტრიულ ომში პარტიზანული ბრძოლა წარმოადგენს წინააღმდეგობის მოძრაობის ლოკომოტივს, ხოლო მოსახლეობის ფართო მასების ჩართვას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დადგენილია, რომ კლასიკური სტრატეგიებიდან ასიმეტრიულ ომში მხოლოდ გამოფიტვის სტრატეგიით არის შესაძლებელი შეიარაღებითა და ტექნიკით სუსტმა სახელმწიფომ მიაღწიოს სასურველ მიზნებს. ეს სტრატეგია ითვალისწინებს გენერალური შებრძოლებისთვის თავის არიდებას და მოწინააღმდეგესთან შემაწუხებელი ბრძოლების წარმოებას. ასევე

შესწავლილია ახალი ტექნოლოგიების: ხელოვნული ინტელექტის, ავტომატიზირებული მართვის სისტემებისა და მართული ელექტრომაგნიტური ენერჯის – გავლენა ასიმეტრიულ ომზე.

გამოკვლევულია ლანჩესტერის დიფერენციალური განტოლების საფუძველზე რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგის დამარცხების შესაძლებლობა დანაწილების მეთოდით. განტოლებათა სისტემაში გამოყენებულია ძალთა თანაფარდობის კოეფიციენტის კვადრატი და დადგენილია მოწინააღმდეგის ძალების დანაწევრების ოპტიმალური რიცხვი. გამოანგარიშებულია თითოეულ დანაკარგზე მტრისთვის მიყენებული ზიანის რაოდენობა.

შესწავლილია მათემატიკური მოდელებით მოულოდნელობის ეფექტის გავლენა ბრძოლაზე. აღებულია პირობა, როდესაც X მხარე ცეცხლით ზემოქმედებს Y მხარეზე, ხოლო ეს უკანასკნელი ვერ ახორციელებს საპასუხო მოქმედებას Δt დროის მონაკვეთში. ამ შემთხვევაში ასიმეტრიული ტაქტიკით მებრძოლ ძალას შესაძლებლობა აქვს რიცხობრივად აღმატებულ მოწინააღმდეგესთან მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებით ჩაებას ბრძოლაში, ხოლო მისი შეწყვეტა დამოკიდებული იქნება წინასწარ დადგენილი საპასუხო რეაგირების დროის მონაკვეთზე.

გამოკვლევულია ადგილმდებარეობის სამხედრო ასპექტების გავლენა ასიმეტრიულ ომზე და შემუშავებულია ხელოვნური გრემოს შექმნის სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფის მოდელი. დადგენილია, რომ ერთიანი სტრატეგიით სახელმწიფოს ტერიტორიის ომისთვის მომზადება ცვლის საბრძოლო მოქმედებების ხასიათს და ოპერაციები წარიმართება თავდამცველებისთვის ხელსაყრელ პირობებში. სამოქალაქო-საინჟინრო ტექნიკის სწორი დაგეგმვა და გამოყენება ზრდის სამხედრო-საინჟინრო შესაძლებლობების მნიშვნელობას.

შემუშავებულია დროისა და სივრცის პარამეტრებით ასიმეტრიულ საომარ კამპანიაზე მორგებული ფაზები, რომლებიც სახელმწიფოს ერთიან

თავდაცვის გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული და უპასუხებდეს საერთო ეროვნულ მიზნებს.

შემუშავებულია ასიმეტრიული ომის საწარმოებლად თავდაცვის ძალების სტრუქტურა, რომელშიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციული მხარეების მიხედვით ძალთა ორგანიზება. ძირითადი ტაქტიკური ქვედანაყოფის დონეზე განსაზღვრულია ბატალიონის ორგანიზაციური სტრუქტურა და კრიტიკული დავალებები, რომელთა შესრულება მოუწევთ ასიმეტრიულ ბრძოლებში.

ჩატარებული კვლევისა და დასკვნის საფუძველზე ჩამოყალიბდა რეკომენდაციები, რომელთა თანახმად, საქართველოს სამხედრო ძალებმა უნდა შეძლონ გამოფიტვის სტრატეგიით აწარმოონ საბრძოლო მოქმედებები; ასიმეტრიულ ტაქტიკურ შესაძლებლობებს მოარგონ თავდაცვის ძალების სტრუქტურა; მოწინააღმდეგის დასამარცხებლად გამოიყენონ ძალთა დანაწევრებისა და მოულოდნელობის პრინციპები. ასევე მნიშვნელოვანია განხორციელდეს ასიმეტრიული საომარი მოქმედებების მხარდამჭერი სამხედრო-საინჟინრო კომპლექსური ღონისძიებები, რომლებშიც აქტიურად ჩაერთვება სამოქალაქო საინჟინრო პერსონალი.

ბიბლიოგრაფია

1. თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025. თბ., 2021, გვ. 82.
2. Steven D. Smith, Clarence R. Geier. Partisans, Guerillas, and Irregulars: Historical Archaeology of Asymmetric Warfare. 2019, 268 p.
3. Mikael Weissmann, Niklas Nilsson, Per Thunholm, Björn Palmertz. Hybrid Warfare: Security and Asymmetric Conflict in International Relations. 2021, 312 p.
4. მაისურაძე ლ. ასიმეტრიული ომის წარმოების თავისებურებები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული თემაზე: გლობალურ-რეგიონური უსაფრთხოების გამოწვევები და თავდაცვის ძალები. ეთა, გორი, 2020, გვ. 25-29.
5. Deshpande V. Hybrid Warfare: The Changing Character of Conflict. 2018, 200 p.
6. Ralph Thiele. Hybrid Warfare: Future and Technologies. 2021, 230 p.
7. Raphael S. Cohen, Nathan Chandler. The Future of Warfare in 2030: Project Overview and Conclusions. 2022, 102p.
8. Robert Johnson, Martijn Kitzen, Tim Sweijjs. The Conduct of War in the 21st Century: Kinetic, Connected and Synthetic. 2021, 304 p.
9. მემმარიაშვილი ე. თავდაცვის გარემო და შეიარაღებული ბრძოლის საფუძვლები სამხედრო ინჟინრებისთვის. თბ., 2018, გვ. 357.
10. FM 3-0, Operations. 6 December, 2017, 366 p.
11. მაისურაძე ლ. საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების სისტემა სამხედრო ხელოვნების კრილში. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული თემაზე: შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები, ეთა. გორი, 2020. გვ. 36-41.
12. Grossman N. Drones and Terrorism: Asymmetric Warfare and the Threat to Global Security. 2018, 220 p.
13. Georgia 2008, Ukraine 2014: Is Moldova Next? Commission on Security and Cooperation in Europe. Washington, 2017, 26 p.
14. The Fight For Nagorno-Karabakh: Documenting Losses on The Sides Of Armenia and Azerbaijan. <https://www.oryxspioenkop.com/2020/09/the-fight-for-nagorno-karabakh.html> (21.03.2021)

15. ანთაძე გ. ყარაბაღის გაკვეთილები. ჯეოქეისი, 2020.
<https://www.geocase.ge/ka/publications/266/yarabaghis-gakvetilebi>
(27.03.2021)
16. Reuben Steff, Simona R. Soare, Joe Burton. Emerging Technologies and International Security: Machines, the State, and War. 2020, 312 p.
17. Michael J. Boyd. The Drone Age: How Drone Technology Will Change War and Peace. 2020, 400 p.
18. მაისურაძე ლ. ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ასიმეტრიულ ომში. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული თემაზე: ახალი ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა შეიარაღებულ კონფლიქტებში. ეთა, გორი, 2021, გვ. 26-29.
19. Sumbal M. Tovuz to Karabakh: A Comprehensive Analysis of War in South-Caucasus. 2021, 206 p.
20. Elinor C. Sloan. Modern Military Strategy: An Introduction. 2016, 194 p.
21. მაისურაძე ლ. რეგიონში წარმოებულ სამხედრო კონფლიქტებში თავდაცვის ძალების ასიმეტრიული შესაძლებლობების გამოყენების მნიშვნელობა და სამომავლო პრესპექტივები. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული თემაზე: დიდი თამაშები კავკასიის რეგიონში. ეთა, გორი, 2021, გვ. 36-42.
22. McNeilly M. Sun Tzu and the Art of Modern Warfare. Oxford University Press, 2015, 311 p.
23. კაციტაძე კ. სტრატეგიის საფუძვლები. თბ., 2007, გვ. 640.
24. სპენსი ჯ. მაო ძედუნი. თბ., 2017, გვ. 256.
25. Ofer Fridman. Russian "Hybrid Warfare": Resurgence and Politicization. 2018, 237 p.
26. Джон Армстронг. Партизанская война. Стратегия и тактика. 1941-1943. 2022, 1154 p.
27. ლომოური მ. პარტიზანული ომები, ტაქტიკა, ხერხები და პროცედურები. თბ., 2018, გვ. 311.
28. ლურცკაია კ. პარტიზანული მოძრაობა. თბ., 2015, გვ. 191.
29. Washburn, A., Kress M. Combat Modeling; Springer. 2019, 280 p.
30. ანთაძე გ. ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“ – 30 წელი გამორჩეული სამხედრო კამპანიიდან. <https://geocase.ge/ka/publications/353/operacia->

udabnos-qarishkhali-30-tseli-gamorcheuli-samkhedro-kampaniidan
(25.10.2021)

31. Борисов В.Н. Партизаны вчера, сегодня, завтра. Москва, 2013, с.477.
32. Schroefl J. Political Asymmetries in the Era of Globalization, 2017, 205 p.
33. Lowther A. Asymmetric Warfare and Military Thought. 2016, 72 p.
34. Scott C. Farquhar. Back to Basics: A Study of the Second Lebanon War and Operation CAST LEAD. 2019, 146 p.
35. Sudhir M. R. Asymmetric War: A Conceptual Understanding. CLAWS Journal, Summer 2008, pp 58-66.
36. Lawrence T.E. Seven Pillars of Wisdom. 2017, 548 p.
37. The Rising Threat from Armed Drones. January 12, 2018. <https://thesoufancenter.org/tsc-intelbrief-rising-threat-armed-drones> (25.04.2021).
38. სვიმონიშვილი გ. რუსული რადიოელექტრონული ბრძოლის სისტემები თურქული დრონების წინააღმდეგ. <https://iberiamagazine.com/krasukha-dronebis-winaagmdeg> (25.03.2021).
39. მაისურაძე ლ. მათემატიკური მოდელები ასიმეტრიული ომისთვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები N4(522). თბ., 2021, გვ. 80-91.
40. მაისურაძე ლ. მათემატიკური მოდელები და თავდაცვის ძალების საბრძოლო მოქმედებების ოპტიმიზაცია. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული თემაზე: ეროვნული უსაფრთხოება ადგილობრივ და გლობარულ კონტექსტში. ეთა, გორი, 2021, გვ. 46-53.
41. Митюков Н.В. Имитационное моделирование в военной истории. Изд. 2. –М.: Изд-во ЛКИ, 2011, 279 с.
42. Turkes T. Fitting Lanchester equations to the battles of Kursk Data. 2019, 118 p.
43. John A. Dinges. Exploring the Validation of Lanchester Equations for the Battle of Kursk. 2011, 122 p.
44. Baczko A., Dorronsoro G., Quesnay A. Civil War in Syria: Mobilization and Competing Social Orders. 2017, 321 p.
45. Герасимов В. Ценность науки в предвидении. Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий. 26 февраля. 2013. <https://vpk-news.ru/articles/14632> (15.03.2021)

46. Max G. Manwaring. The Complexity of Modern Asymmetric Warfare. Oklahoma 2012, 224 p.
47. William C. Banks. New Battlefields/Old Laws: Critical Debates on Asymmetric Warfare. 2018, 304 p.
48. თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030. თბ., 2021, გვ. 19.
49. Wilson A. Ukraine Crisis: What It Means for the West. 2017, 248 p.
50. Oliker O. Russia's Chechen Wars 1994-2000: Lessons from Urban Combat. 2016, 102 p.